საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№027 (12706) 4 თებერვალი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




# კობის 61

# ბრაიანტმა მედისონი დაიპყრო

>> 14

# კახა კალაძე: გუნდთან ვიქნები

## კაპიტანმა ხვალ მუხლი მილანში უნდა გააშალოს



იქნება თუ არა გუნდთან ერთად საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ირლანდიასთან 11 თებერვლის შესარჩევ მატჩში? - ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი უცნობი იყო. წუხელ კალაძეს მილანში შევეხმიანეთ. აი, რა გვითხრა მან:

„ჯანმრთელობის საქმე უკეთესადაა, ჯერაც ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, ხუთშაბათს კი გუნდთან ერთად შევუდგები წვრთნას... ვნახოთ, მუხლი როგორ მექნება. მოკლედ, ირლანდიაში ნაკრებთან ერთად ვიქნები. რა თქმა უნდა, საუკეთესო ფორმაში არ ვარ, თითქმის ერთი თვე გამიცდა, სათამაშო პრაქტიკაც მაკლია, მაგრამ მთავარი ალბათ ის არის, რომ ეროვნული გუნდისგან განზე ყოფნა არ მომინევს. 7 თებერვალს სერია A-ში „რეჯინას“ ვმასპინძლობთ და შესაძლოა, კარლო ანჩელოტიმ ბოლო 20 წუთი მათამაშოს. ახლა მნიშვნელოვანია, ხუთშაბათიდან საერთო ჯგუფთან ერთად უპრობლემოდ თუ ვივარჯიშებ“.

გუშინ „მილანმა“ სპეციალური წვრთნა ჩაატარა. გუნდთან ერთად არ იყო კალაძე, რომელმაც ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა. დღეს „როსონერი“ გლაზგოში ამხანაგურ მატჩს მართავს ადგილობრივ „რეინჯერსთან“. ანჩელოტი კალაძეს მილანში ტოვებს...

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი მუხლის ქრონიკული ტკივილის გამო ბელგიაში ოპერაციის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ქირურგიული ჩარევა საჭირო არ გახდა, მხოლოდ თერაპიული კურსი დაუნიშნეს...

დავით თავართქილაძე



# გადავარჩით

## ჩემპიონატი სრულყოფილი იქნება

>> 2

# როგორ მოვემზადეთ ჩემპიონატისთვის...



>> 3

რამაზ შუმლაძე

## ქუპერმა ბოდიში მოგვიხადა და წავიდა...

ბადრი კილასონია

## შესაძლოა, ერთი ცნობილი მოთამაშე ავიყვანოთ



>> 3



>> 2

გია გეგუჩაძე

## ამ ეტაპზე განლაგების ცვლა მისაღებია

ვიტ ჯორჯია, ოლიმპი და ზესტაფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფლიგა

# მორჩა, ჩემპიონატი თერთმეტგუნდიანი იქნება!

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ჩემპიონატის განახლებისთვის ემზადებიან. 7-8 თებერვალს ეროვნული პირველობის მეორე ეტაპი იწყება. საიუბილეო, XX ჩემპიონატი საზეიმოდ ვერავის განაწყობს - ცალკე რუსული ბომბები გვექცა უბედურებად და მერე - ამ ბომბებისგან დაშინებული ინვესტორები. ფული არ არის და კლუბები დაშლის პირას მივიდნენ - ლამის ყოველდღე გვესმის. თუმცა ფული ისედაც არ გვქონდა და ახლა მთელი ძალისხმევა გუნდების ფიზიკური გადარჩენისკენაა მიმართული.

კიდევ კარგი, ახალციხის „მესხეთს" პატრონი გამოუჩნდა და ეს სიმპათიური გუნდი ასპარეზობას მოკრძალებული ფინანსებით, მაგრამ მაინც გააგრძელებს. ყველაზე მეტი კითხვა „ბორჯომის" გამო იბადებოდა - კლუბს პატრონი აღარ ჰყავდა, მოთამაშეები კი გასული წლის მარტის შემდეგ ხელფასს კვლავ უშედეგოდ ელოდებიან. იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ „ბორჯომი" ჩემპიონატს ველარ გააგრძელებდა, ან უსახსრობის გამო პროფლიგა მოკვეთდა გათამაშებიდან. ლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი მოვლენათა ამგვარ განვითარებას უარყოფს...

- ბუნებრივია, თვალყურს ვადევნებთ უმაღლესი ლიგის კლუბებში მიმდინარე მოვლენებს. ძალიან გვადარდებდა „ბორჯომის" ბედი. კლუბის წარმომადგენლებს ხშირად ვეხმიანებოდით და მიხარია, რომ გუნდმა ცოტათი მაინც ამოისუნთქა. კლუბის უფროსმა ვახტანგ მაისურაძემ მითხრა - ფული გამოჩნდა და მალე მთავარ მწვრთნელსაც დავნიშნავთო. ასე რომ, „ბორჯომის" მოკვეთაზე ლაპარაკი არც არის.

**- სახელმწიფომ აღიარა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და რუსული აგრესიისგან მოყენებული ზარალის გამო, ფეხბურთს 2 მილიონი ლარით ვერ დაეხმარება. ვითომ, ასეთ ვითარებაში 200 ათასი ლარის გადმორიცხვას მოახერხებენ?**

- სხვათა შორის, 2 მილიონი ლარი წლევანდელ ჩემპიონატზე არც იყო გათვლილი. რაც შეეხება 200 ათასს, ეს უკვე შეთანხმებულია და ჩაგვერიცხება. ანუ საქართველოს საკლუბო ტურნირების საპრემიო ფონდს, გარდა უკვე დაგეგმილი 200 ათასი ლარისა, ეს 200 ათასიც დაემატება. სხვათა შორის, დეკემბერში 200 ათასი კლუბებს უკვე გადავეცით. არსებულ ვითარებაში ერთი ამდენის დამატება, მერწმუნეთ, დიდი საქმე იქნება. 200 ათასი როგორ განაწილდება, ახლა წყდება. არ არის გამორიცხული, ამ თანხის ნახევარი - თასისა და სუპერთასის საპრემიო ფონდში აღმოჩნდეს.

**- ანუ, წელს ლიგის თასის ჩატარება გამოირიცხა?**

- წელს გამორიცხულია, მალე მეორე წრე დაიწყება და საამისოდ დროც აღარ რჩება. ვფიქრობ, გაჭირვებაში ჩავარდნილი ქვეყნისთვის ეს პოზიტიური მომენტია - უმაღლესი ლიგის 11 კლუბიდან 8 - მიიღებს პრემიას, თითოეული - მინიმუმ 30 ათას ლარს მიიღებს. სხვათა შორის, ჩვენ ერთი დღითაც არ შეგვიყოვნებია მსაჯების, დამკვირვებლებისა და დელეგატებისთვის ხელფასების გაცემა. გამოირიცხა ის ვარაუდიც, თითქოს სეზონს 10 გუნდით ჩავამთავრებდით... თუმცა მომავალი სეზონიდან სწორედ 10-გუნდიანი ჩემპიონატი გვექნება. ეს იყო ჩვენი დიდი ხნის წინანდელი იდეა. ანალოგიური სისტემა იქნება დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში.

**- საფეხბურთო პრობლემებს შევეხეთ და იქნებ, აქვე გვითხრათ - ბათუმის სტადიონის მშენებლობას ხომ არ დაადგა საშველი?**

- არანაირი მშენებლობა არ მიმდინარეობს...

**მერაბ მამულაშვილი**

პრესკონფერენცია

# არველაძეების ფონდმა ევროპისკენ ფანჯარა გაჭრა

## გადააქცევენ ბავშვები ფანჯარას დერეფნად?



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**„არველაძეების ფონდს"** მეტსახელად „ფანჯარა ევროპაშიც" შეიძლება ვუწოდოთ. ფონდის ჩამოყალიბებამდეც და მას მერეც ძმები ქართველი ბავშვებისა თუ მწვრთნელების ევროპაში წაყვანასა და დაკვალიანებას ცდილობენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ - გიორგი დიასამიძე, დავით დევდარიანი, ზაქარია ბეგლარიშვილი, დავით თარგამაძე... ეს ბიჭები ძლიერ და სოლიდურ კლუბებში გაუშვეს. ახლა კი ევროპას „ბითუმად" შეუსევენ ქართველებს და იმედი აქვთ, რომ ეს „ფანჯარა" მათი კარგი თამაშისა და ნიჭის წყალობით, „დერეფნად" გადაიქცევა. გუშინ „სპორტკაფეში" გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ თემას მიეძღვნა...

*რევაზ არველაძე, ფონდის დამფუძნებელი, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*

- ჩვენი ფონდი ბავშვებს ყოველგვარი ანგარების გარეშე გზავნის ევროპაში. ეს არის ქველმოქმედება, რომლის მიზანიც მათი დიდ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაა. დღეს ფონდს უკვე გააჩნია საკუთარი ოფისი თავისუფლების მოედანზე, რაშიც „საქართველოს ბანკი" დაგვეხმარა. ოთხი არაჩვეულებრივი ბავშვი ფონდიდან სტიპენდიასაც იღებს - ზარანდია, მესხი, ქორიძე და მესხია. ახლა მთავარზე მოგახსენებთ: ამსტერდამის „აიაქსი" 1997 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის ტურნირს ატარებს. ჩვენი გუნდის მწვრთნელი შესანიშნავი სპეციალისტი ნოდარ აკობია იქნება. შეჯიბრებაზე მაისში უნდა გავემგზავროთ. ტურნირი 15-17 მაისს ჩატარდება. ბავშვების შერჩევა უკვე დავიწყეთ. აკობიასთან კი მაისამდე ხელშეკრულება გავაფორმეთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ გუნდს, საიდანაც ბავშვები ავიყვანეთ - თითოეული მათგანი ბავშვს უპრობლემოდ აგზავნის და ისინი ერთად ვარჯიშობენ.

» 4

ზესტაფონი

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან



გია გეგუჩაძე

# ქუპერში სისტემურობა დავინახე

## ვფიქრობ, ამ ეტაპზე განლაგების ცვლა მისაღები იქნება

**გია გეგუჩაძე „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად შარშან, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოს დაინიშნა. მისი გუნდი ახლა მეხუთე ადგილზეა და ცხადია, უკეთესი შედეგისთვის იბრძვის. რას მოუტანს გეგუჩაძე „ზესტაფონს"? ეს იმიტომაცაა საინტერესო, რომ საქმე გვაქვს არაორდინარულ მწვრთნელთან, რომელსაც თავისი მკაფიო ხელწერა აქვს და ის მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი მწვრთნელებისგან...**

**„ზესტაფონი" სეზონის განახლებისთვის მოსამზადებლად თურქეთშიც იყო წასული, ითამაშა საკონტროლო მატჩები, რომლებშიც წარმატებული ვერ იყო, მაგრამ ეს ბევრს არ უნდა ნიშნავდეს - მოსამზადებელ ეტაპზე ხომ მთავარი სწორად, ნაყოფიერად მომზადებაა.**

**თუ როგორ მივიდა „ზესტაფონი" ჩემპიონატის მეორე ეტაპამდე, ამას ყველაზე კარგად შედეგები დაგვანახვებს. ჩემპიონატის განახლებამდე სამი დღეღა დარჩა, მანამდე კი „ლელოს" კითხვებს ზესტაფონელთა თავკაცი პასუხობს...**

**- სეზონის პირველი ეტაპის ბოლო მონაკვეთი, მოსამზადებელი პერიოდი და თურქული შეკრება - როგორ ფიქრობთ, დრო საკმაოდ გქონდათ, ფეხბურთელებამდე თქვენი იდეები ბოლომდე რომ მიგეტანათ?**

- ზოგადად, მწვრთნელისთვის ყველაზე დიდი დეფიციტი არის დრო - მწვრთნელს ის არასდროს ჰყოფნის. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ ფეხბურთელები კარგად ითვისებენ ჩემს მითითებას და ამით კმაყოფილი ვარ. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც „ზესტაფონში" კარგი ტემპით მიდის.

**- როგორც უნდა იყოს, თქვენგან ასევე ელიან იმას, რომ „ზესტაფონი" უწინდელისგან მკვეთრად განსხვავებულ ფეხბურთს ითამაშებს - შეგიძლიათ თქვათ, რომ ამას უკვე მიაღწიეთ?**

- როცა „ზესტაფონის" თამაშებს ნახავთ, ეს თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა განსაჯოთ, გარედან უფრო ადვილია ამის შემჩნევა.

**- გასაგებია, მაგრამ თქვენ უკეთ აფასებთ სიტუაციას შიგნიდან და უკეთესადაც შეგიძლიათ იმის დაახლოებით მაინც განსაზღვრა, როდის ითამაშებს „ზესტაფონი" იმ ფეხბურთს, რომელიც თქვენ გსურთ?**

- ამისთვის დრო არის საჭირო. რაც მთავარია, პროცესი უკვე მიდის. ამ ეტაპზე გუნდი ისეთ თამაშს ჯერ ვერ აჩვენებს, როგორიც მე მინდა. იმედია, ამას მალე მივაღწევთ.

**- „ზესტაფონში" რამდენიმე ფეხბურთელს ცოტათი შეუცვალეთ ამპლუა, არის მკვეთრი ცვლილებაც - გიორგი ხიდეშელი ნახევარდაცვიდან დაცვის ცენტრში გადასწიეთ. კმაყოფილი დარჩით მისი ახალი ამპლუით?**

- ეს მართლაც ერთ-ერთი ცვლილებაა. ხიდეშელით კმაყოფილი ვარ, საკონტროლო მატჩებიც კარგად ითამაშა და თუ ასე გააგრძელებს, ძალიან ძლიერი ფეხბურთელი გახდება.

**- თურქეთში „ზესტაფონის" ახალწვეულებიც წაიყვანეთ. ორ მათგანზე გკითხავთ: როგორ ფორმაში არიან ამ დროისთვის ლევან მელქაძე და მიხეილ კაკალაძე?**

- სასურველისგან ჯერაც შორს არიან, მაგრამ მათი იმედი კვლავინდებურად მაქვს, რადგან კარგად ვიცი ამ ფეხბურთელების შესაძლებლობები. ფიზიკური კონდიციების აღდგენა გარკვეულ დროში შესაძლებელია, მაგრამ ამ ფეხბურთელებს ყველაზე უფრო ახლა სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ და ეს გათვალისწინებული იქნება.

**- ანუ ოფიციალურ მატჩებში ათამაშებთ ისეთ ფეხბურთელებს, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო სასურველ ფორმაში რომ არ არიან? „ზესტაფონისთვის" ხომ ახლა უკვე უმთავრესი - შედეგია...**

- რა თქმა უნდა, პირველ რიგში შედეგზე ვიფიქრებთ, მერე კი იმაზე, რომ ამ ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ. ამით გუნდში კონკურენციაც გაიზრდება.

**- თურქულ შეკრებაზე ჯერ 4-3-3 განლაგებას ხვენდით, მერე 4-2-2-ც გამოსცადეთ. „ზესტაფონი" ერთი და იმავე ტაქტიკით ითამაშებს თუ განლაგება ცვალებადი იქნება? და კიდევ: როგორ ფიქრობთ, ტაქტიკის ხშირი ცვლა გუნდის სტაბილურობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს?**

- ვფიქრობ, ამ ეტაპზე განლაგების ცვლა მისაღები იქნება, ამით ფეხბურთელები ტაქტიკურ განათლებას მიიღებენ. როცა „ზესტაფონის" თამაში დასტაბილურდება, შესაძლოა, მერე ერთ სქემაზე შევჩერდეთ. თურქული შეკრების ბოლო მატჩში, ყაზახურ „ლოკომოტივთან", 3-4-3 განლაგებითაც კი ვითამაშეთ, ფეხბურთელებმა ერთი ახსნით ყველაფერი გაიგეს და დავალება გარკვეულწილად შეასრულეს კიდეც, ოღონდ, დაცვაში შეგვექმნა პრობლემები.

**- სამი მცველით დღეს ძალიან ცოტა მწვრთნელი თამაშობს...**

- ასეა, მაგრამ პრობლემები უფრო იმან გამოიწვია, რომ მცველები - შალვა ლონლაძე და გიორგი ელბაქიძე, ტრავმირებულები იყვნენ.

» 5

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ოლიმპი

ინტერვიუ ვარლამ კილასონიასთან

# კილასონიამ ინტრიგა დაგვიტოვა

უმაღლესი ლიგის პირველი ხუთეულის გუნდებიდან მხოლოდ რუსთავის „ოლიმპმა“ამჯობინა ადგილზე დარჩენა და ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპისთვის მომზადება. ისე, თურმე, მაინცდამაინც აუცილებელი არ ყოფილა შეკრების გასავლელად თურქეთსა და ზღვისპირა ქართულ კურორტებზე წასვლა. ამას „ოლიმპის“ მაგალითიც ადასტურებს - ვარლამ კილასონიას გუნდმა ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად გამოიყენა და არცთუ ცოტა საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. რა თქმა უნდა, ამ ამხანაგურ შეხვედრებში მთავარ მწვრთნელს შედეგზე მეტად ცალკეულ ფეხბურთელთა ფუნქციონალური მდგომარეობა აინტერესებდა; თუმცა ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ იანვარში ჩატარებული ექვსი საკონტროლო მატჩიდან „ოლიმპმა“ ხუთი მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა (ბურთების სხვაობა - 16:3). გუშინვე ვწერდით, რომ „ოლიმპს“ ბოლო მატჩი თბილისის „ამერთან“ ჰქონდა. შეხვედრის მეორმოცე წუთზე რუსთაველთა მცველმა თენგიზ ჩიკვილაძემ ულამაზესი გოლი გაიტანა და საბოლოოდ „ოლიმპმა“ ამ ბურთის წყალობით იმარჯვა. არადა, გია მეგრელაძესა და გაგა ჩხეტიანს რამდენიმე მშვენიერი მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ისიც უნდა ითქვას, რომ მატჩი ერთობ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა - ძლიერი ქარის გამო მოთამაშეებს ბურთის დამორჩილება უჭირდათ.

აქვე გაგაცნობთ „ოლიმპის“ შემადგენლობას: მ. ალავიძე - გ. ონიანი (46. თ. ლონლაძე), მაჭავარიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე (46. რეხვიაშვილი) - სეთურიძე (30. მიქაბერიძე), დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (60. კაკულია), დეკანოსიძე - მიკუჩაძე (46. გ. ჩხეტიანი), მეგრელაძე.

ახლა კი, ალბათ, დროა, რომ „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელს ვარლამ კილასონიას მოვუსმინოთ, ვისაც გუშინ შევხვდით და მოსამზადებელი ეტაპის შეჯამება ვთხოვეთ.

- თავდაპირველად, ანთალიაში წასვლა გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ, მიზეზთა გამო, ეს ვარიანტი ჩაიშალა. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო საქართველოს შავიზღვისპირეთის რომელიმე კურორტზე წავსულიყავით, მაგრამ აქ, ადგილზე დარჩენა ვამჯობინეთ.

**- მერე, რამდენად გაამართლა ამ არჩევანმა?**

- ვფიქრობ, რომ გაამართლა - იმავე ურეკსა ან ჩაქვში 10-12 დღე უნდა ვყოფილიყავით; აქ კი, 10 იანვრიდან ნაყოფიერი მზადება დავიწყეთ და ვარჯიშებს დღემდე ვაგრძელებთ. ადრეც გითხარით, რომ რუსთავში ერთობ კომფორტული ბაზა გვაქვს, ალარაფერს ვამბობ კეთილმოწყობილ კვების ბლოკზე. ამასთან, სატრენაჟორო დარბაზიც გვაქვს და უამინდობის შემთხვევაში ხელოვნურსაფარიან მოედანზეც ვივარჯიშებდით.



ვარლამ კილასონია

**- ისე, ამინდებმა ხელი არ შეგიშალათ...**

- გეთანხმებით - ამ მხრივ პრობლემა არ გვქონია. თანაც, ალბათ, წელანვე უნდა მეთქვა: ინფორმაცია გვქონდა, რომ აზერბაიჯანული გუნდი თბილისში აპირებდა შეკრების გავლას და ორი საკონტროლო მატჩიც დავგეგმეთ.

**- საკონტროლო მატჩები ახსენეთ და აუცილებლად უნდა გკითხოთ: „ოლიმპმა“ ოც დღეში ექვსი შეხვედრა ჩაატარა; ანუ, ბევრი ხომ არ იყო?**

- შესაძლოა, ვინმეს მართლაც ბევრი მოეჩვენოს; თუმცა მე საპირისპირო აზრი მაქვს - ამ შეხვედრების ერთ-ერთი დანიშნულება ხომ გუნდის პოტენციური ახალწვეულების გასინჯვა გახლდათ. სხვათა შორის, ამ პერიოდის განმავლობაში დღეში ორი ვარჯიში გვქონდა. გამონაკლისი მხოლოდ თამაშის დღეები იყო - თუ მატჩი დილით გვქონდა, სალამოთი ვვარჯიშობდით; თუ შეხვედრა სალამოს იყო, მაშინ დილით ვვარჯიშობდით და ასე შემდეგ.

**- მოკლედ, მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ხართ.**

- წინასწარ რაც დავგეგმეთ, ყველაფერი შევასრულეთ და უკმაყოფილების მიზეზი ნამდვილად არ მაქვს. ანუ, მიმაჩნია, რომ გადამწყვეტი მეორე ეტაპისთვის გუნდმა ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გაიარა.

**- პოტენციურ ახალწვეულებზეც უნდა გკითხოთ - „ოლიმპის“ საკონტროლო მატჩებში ბევრ ახალ სახეს ვხედავდით.**

- ვერ დაგეთანხმებით: პირიქით, გასინჯვაზე ცოტა ფეხბურთელი გვყავდა. ჯერ ერთი, ამისთვის დროც არ იყო ბევრი და ვცდილობდით ისეთი ფეხბურთელები გაგვესინჯა, გუნდში არსებულ რამდენიმე პრობლემატურ პოზიციაზე რომ გამოგვადგებოდნენ.

**- მაშინ, გუნდიდან წასული თუ ახალი ფეხბურთელებიც დაგვისახელეთ.**

- მირზა მერლანზე უკვე იცით - ეს მეკარე სხვაგან აპირებს კარიერის გაგრძელებას; ახალი ინფორმაციაა, რომ გიორგი ფეიქრიშვილი ყაზახეთის ერთ-ერთ გუნდში ჩაირიცხა. სამწუხაროდ, დღემდე გაურკვეველია გოგა ფიფიას საკითხი - აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებენ.

**- გიორგი გაბიდაურს საკონტროლო მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია...**

- გაბიდაური კლუბმა ტრანსფერზე დააყენა, თუმცა მთელი მოსამზადებელი ეტაპი გუნდთან ერთად ვარჯიშობდა.

**- სხვა წამსვლელი აღარავინ არის?**

- ჩემთვის გაუგებარია, თუ საიდან გაჩნდა ზოგიერთ ქართულ სპორტულ გაზეთში ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს გიორგი ონიანი, გიორგი სეთურიძე და თეიმურაზ ლონლაძე სხვადასხვა გუნდებში აპირებდნენ გადასვლას. კონკრეტული გუნდებიც იყო დასახელებული: ავსტრიის „შტურმი“, რუსეთის „ტორპედო“ და აზერბაიჯანის „ხაზარი“...

სამივე ეს ფეხბურთელი „ოლიმპშია“ და მინიმუმ სეზონის ბოლომდე წასვლას არსად აპირებს!

**- ახალწვეულებზე არაფერი გითქვამთ.**

- ერთწლიანი პაუზის მერე „ოლიმპს“ დაუბრუნდა მეკარე ალავიძე, ბოლოს აზერბაიჯანულ „სტანდარდში“ რომ თამაშობდა. რეხვიაშვილი „მგლებში“ იჯარით იყო და ისევ ჩვენთან არის. ასევე არენდის მერე დაგვიბრუნდა ხუბუა, თუმცა მისი საკითხი ღიად რჩება - ყოველ შემთხვევაში, მესამე დღეა ვარჯიშებზე არ გამოჩენილა. ამას გარდა, დავიმატეთ ჭაბუკი ფეხბურთელი კაკულია, ვინც „ნორჩ დინამოელში“ თამაშობდა.

**- „ოლიმპს“ არც პირველ ეტაპზე ჰქონდა გრძელი სათადარიგოთა სკამი. ახლაც, გამოდის, რომ ფაქტობრივად გუნდში 18 კაცი იქნება...**

- რა თქმა უნდა, ძნელია, რომ მთელი სიმძიმე, 18 ფეხბურთელზე გადაივლის. თუმცა, ნუ გავიწყდება ტრავმირებული გილაურიც, ვის გამოჯანმრთელებასაც მალე ველოდებით. კი, არც ტრავმებისგან ვართ დაზღვეული და შესაძლოა, ზოგჯერ დისკვალიფიკაციის გამოც ვინმე გამოგვაკლდეს; მაგრამ, ამასთან, ქართველი კაცის ბუნებაც უნდა გავითვალისწინოთ.

**- ეს როგორღა გავიგოთ?**

- ზოგს მართლაც ეთაკილება სათადარიგოთა სკამზე ჯდომა; ზოგს მოტივაცია და ძირითადში ადგილის მოპოვებისთვის საჭირო ბრძოლის ჟინი ეკარგება. ამას გარდა, ხანდახან ისეც ხდება, რომ თადარიგში ყოფნით განაწყენებული ფეხბურთელი გუნდში არაჯანსაღ გარემოს ქმნის...

**- მეორე ეტაპის საწყის ტურებში „ოლიმპს“, ერთი შეხედვით, იოლი მეტოქეები ჰყავს და დიდი ალბათობაა, რომ თებერვალში გუნდმა მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს.**

- ვიცი, რომ ჩვენი გუნდის ქომაგებიც ამ აზრის არიან და მეც მიმაჩნია, რომ თავდაპირველად შედარებით სუსტი მოწინაალმდეგეები გვყავს. თუმცა გამორიცხულია, რომ რომელიმე მეტოქესთან ნაკლებად კონცენტრირებულნი გამოვიდეთ. ბოლოს და ბოლოს, პირველ ეტაპზე ხომ იმავე „ბორჯომთან“ და „გაგრასთან“ დასანანი ქულები დავკარგეთ.

**- გუნდის მიზანი უცვლელია?**

- ჩემპიონობას არავინ გვთხოვს, თუმცა პირველ სამეულში მოსახვედრად ბოლომდე ვიბრძოლებთ. იმავეს თქმა შემიძლია თასის გათამაშებაზეც: „ოლიმპი“ ნახევარფინალშია გასული და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ. მოკლედ, ჩემპიონატიდან თუ თასიდან უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ.

**- მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ბევრი გუნდი დააზარალა, მათ შორის - ჩვენთანაც. ამ მხრივ „ოლიმპში“ რა მდგომარეობაა?**

- საბედნიეროდ, ჩვენ ეს პრობლემა არ გვაწუხებს და ამისთვის გუნდის სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რუსთავის მეტალურგიული კომბინატის დირექტორს ვილი ელიგულაშვილს. იმავეს ვიტყოდი ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დავით კირკიტაძესა და ქალაქ რუსთავის მერზე მამუკა ჩიქოვანზე. სხვათა შორის, სწორედ ქალაქის ხელმძღვანელთა დახმარებით იყო, რომ „ოლიმპს“ გასვლით მატჩებში რუსთაველი ქომაგები დაჰყვებოდნენ და ფეხბურთელებს ამხნევებდნენ. როგორც ვიცი, ასე გაგრძელდება მეორე ეტაპზეც...

**- დაბოლოს, კითხვა, რომელიც, ალბათ, ადრე უნდა დაგვესვა: მეორე ეტაპის სტარტამდე „ოლიმპში“ რაიმე ცვლილებას კიდევ უნდა ველოდოთ?**

- „სატრანსფერო ფანჯრის“ დახურვამდე გამორიცხული არაფერია; ანუ, დიდია ალბათობა, რომ „ოლიმპში“ შესაძლოა ვინმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდეს. იმედია, არავინ მიწყენს და ვერ დავკონკრეტდები. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ეს ფეხბურთელი ქომაგებისთვის უცნობი კი არა, საკმაოდ ნაცნობი სახე...

**- მოკლედ, ინტრიგას გვიტოვებთ?**

- ჩათვალეთ, რომ - მასეა; უფრო ზუსტად, შესაძლოა მინიმუმ ერთი ფეხბურთელი დავიმატოთ...

**გია ტუხაშვილი**

ვიტ ჯორჯია

ინტერვიუ რამაზ მუმლაძესთან

# კუპერმა ბოდიში მოგვიხადა და წავიდა...

## ძნელი იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ. მუმლაძე ანთალიური შეკრებით კმაყოფილია



რამაზ მუმლაძე

**„ზამთრის ჩემპიონმა“ თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ თურქული შეკრება დაასრულა და ახლა დედაქალაქში ატარებს მზადების დასკვნით ნაწილს. ამ არდადეგებზე „ვეტერინარებმა“ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, მცველი ნიკოლოზ მგელაძე დაიმატეს. არ შედგა მცველ დავით ლომაიას ტრანსფერი უკრაინაში, საიდანაც ის ისევ „ვიტ ჯორჯიაში“ დაბრუნდა და ახალი კონტრაქტიც გააფორმა.**

**4 მატჩიდან 2 მოგება, თითო ფრე და წაგება - ასეთია რამაზ მუმლაძის გუნდის შედეგები ანთალიურ შეკრებაზე. ალსანიშნავია ისიც, რომ „ვეტერინართა“ თავკაცმა თურქეთში დუბლშემადგენლობიდანაც იახლა რამდენიმე ფეხბურთელი. ერთ-ერთი ანთალიური მატჩის შემდგომ კომენტარში ვიტელთა დამრიგებელმა ახალგაზრდებს გარჯა საგანგებოდაც შეუქო.**

**საინტერესოა, როგორ გამოიყენა „ვიტ ჯორჯიამ“ მოსამზადებელი პერიოდი, რა აზრისაა ახალბედებსა და სტაჟიან ჯორჯიელებზე... სწორედ ამის თაობაზე გავესაუბრეთ ლიდერთა მწვრთნელ რამაზ მუმლაძეს...**

**- ბატონო რამაზ, საუბარი ანთალიური შეკრების შეფასებით დავიწყოთ...**

- პირდაპირ გეტყვით, რომ შეკრებით კმაყოფილი ვარ. მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერად გავიარეთ და სათანადოდაც გამოვიყენეთ. კარგ პირობებში ვიყავით, ჩინებული მოედნები იყო, სპარინგპარტნიორებიც ნორმალური გვყავდა... ერთი ეგ იყო, ამინდმა ცოტა ხელი შეგვიშალა, ძლიერი წვიმები იყო, მაგრამ საკონტროლო თამაშები მაინც გავმართეთ. ერთი სიტყვით, მოსამზადებელი ეტაპი გეგმის მიხედვით წარვმართეთ.

**- საკონტროლო მატჩებმა რა დაგანახვათ?**

- შევადარე, რა მდგომარეობაში იყო გუნდი შეკრების წინ და ანთალიიდან თბილისში გამომგზავრებამდე. კონდიციების ამაღლებასთან ერთად, ტაქტიკაზეც ვმუშაობდით. გამძლეობასა და სისწრაფეზეც გავაკეთეთ აქცენტი. საქმეში ვნახე ახალგაზრდა ფეხბურთელები, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო.

**- ოთხი ამხანაგური მატჩიდან ორი მოიგეთ, ერთი ფრედ ითამაშეთ და ერთშიც დამარცხდით. ნორმალური შედეგია?**

- საკონტროლო მატჩებში შედეგზე მეტად სხვა ფაქტორებს ვანიჭებ უპირატესობას. ამჯერადაც, სხვა კომპონენტებზე გავამახვილეთ ყურადღება. მთავარია, რომ გუნდი სხვადასხვა სტილით მოთამაშე მეტოქეების წინააღმდეგ გამოვცადე. მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთელებმა ეს გამოცდა კარგად ჩააბარეს, მე კმაყოფილი ვარ.

**- ოთხ ამხანაგურ შეხვედრაში 5 გოლი გაიტანეთ და ამდენივე გაუშვით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის მატჩებში შედეგი მნიშვნელოვანი არ არის, აღნიშნული სტატისტიკა არ დაგაკმაყოფილებდათ...**

- ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ფეხბურთელთა კონდიციები იმ ზღვრამდე მიგვეყვანა, როგორც ის წლის ბოლო საჩემპიონატო მატჩში იყო. მეტნაკლებად, ეს ამოცანაც გადავჭერით.

**- ყოველი პაუზის შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ მეტოქეებს ტაქტიკურ ნოვაციებს სთავაზობს. მსგავსს ახლაც უნდა ველოდოთ?**

- ტრადიცია უთუოდ გაგრძელდება. თუ რა ნოვაციები და სიურპრიზები იქნება, ამას სეზონის განახლების შემდეგ ნახავთ.

**- თურქეთში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გყავდათ წაყვანილი. თუ არ ვცდები, მთავარ გუნდთან ერთად ისინი პირველად იყვნენ უცხოურ შეკრებაზე...**

- დიახ, ასეა... ზაქრაძე, როსტიაშვილი, ვასაძე, ჯანელიძე... ნიჭიერი ფეხბურთელები არიან. ეს „ვიტ ჯორჯიის“ ხვალინდელი დღეა. მათ მონდომება არ აკლდათ, ყველა საკონტროლო შეხვედრაში მაქსიმალურად გაისარჯნენ...

**- ოთხ შეხვედრაში გატანილი 5 გოლიდან, ორი სწორედ ბექა ზაქრაძეზე მოდის. რას გვეტყოდით მასზე?**

- ნიჭიერი ფორვარდია. იმედი მაქვს, საკუთარ თავზე მუშაობას გააგრძელებს და ძლიერ თავდამსხმელად ჩამოყალიბდება. მის გარდა, ტალანტი სხვა ახალგაზრდებსაც არ აკლიათ, თუნდაც როსტიაშვილი ავილოთ - მან შარშან 19-წლამდელთა ნაკრებშიც იასპარეზა. ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა, თორემ ახლა უკეთეს ფორმაში იქნებოდა... მოხარული ვარ, რომ დუბლებში ასეთი კარგი ფეხბურთელები გვყავს. ისინი ჩვენს გუნდში კიდევ უფრო გაზრდიან კონკურენციას და თუ პროგრესს გააგრძელებენ, მთავარ გუნდში დამკვიდრებაზეც ექნებათ ჯანსაღი პრეტენზია.

**- ახალწვეულ ნიკა მგელაძეზე რა აზრის ხართ?**

- კარგი მცველია, ისიც კარგად წარმოჩნდა საკონტროლო მატჩებში. სეზონის პირველ ნახევარში, ლექსო კვახაძისა და დათო ლომაიას ტანდემი დაცვის ცენტრში სტაბილურად თამაშობდა, საიმედოდ გამოიყურებოდა... კარგია, რომ ლომაია კვლავ ჩვენთანაა. ერთი სიტყვით, გუნდში კონკურენცია დიდია. ახლა მთავარია, ფეხბურთელები ამა თუ იმ კონკრეტული მატჩისთვის სათანადოდ მოვამზადოთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რათა პოზიციები არ დავთმოთ.

**- პოზიციები კი საკმაოდ კარგი გაქვთ...**

- კი, მაგრამ მოდუნება არ შეიძლება. წინ კიდევ არაერთი რთული მატჩი გველის. ჩემპიონობისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ. ვიცით, რომ ეს ძნელი იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ.

**- სტაჟიან ვიტჯორჯიელებზეც ვთქვათ. მათი მდგომარეობით თუ ხართ კმაყოფილი?**

- კმაყოფილი ვარ, მაგრამ ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ახალგაზრდებს მაგალითი მისცეს.

**- ანთალიაში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ კუპერიც ბრძანდებოდა. ხომ არ გისაუბრიათ?**

- არა, კონკრეტული საუბარი არ გვქონია. ის „ტობოლთან“ თამაშზე მოვიდა... საშინელი წვიმა იყო. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ფეხზე იდგა და მატჩს უყურებდა. მეორე ტაიმის დროს წვიმა გაძლიერდა, მოედანზე საშინელი სიტუაცია შეიქმნა, ეს უკვე ფეხბურთი აღარ იყო. ჰოდა, კუპერმაც ბოდიში მოგვიხადა და წავიდა. ის „ლუბლიანასთან“ ამხანაგურ მატჩსაც უნდა დასწრებოდა, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო თამაშზე მისვლა ვერ მოახერხა.

**დავით ცაბაძე**

სიონი — ინტერვიუ მიხეილ ბობოხიძესთან



მიხეილ ბობოხიძე

# ალარც მინდა ამის გახსენება...

## ...მალე ძველ ბობოხიძეს იხილავთო. 27 წლის ფორვარდი კარიერას თავიდან იწყებს

**იყო დრო,** როცა ფორვარდი მიხეილ ბობოხიძე ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეული ფიგურა იყო და ახალგაზრდულ ნაკრებშიც სტაბილურად უწევდა თამაში. სწორედ ბობოხიძის მიერ გატანილი ერთადერთი გოლით გამოჰგლიჯა „დინამომ" „ლოკომოტივს" სუპერთასი ბათუმურ მატჩში. მას მერე ბობოხიძე შიგადაშიგ თუ გამოანათებდა. გასულ ჩემპიონატში „ლოკომოტივში" თამაშობდა, მიმდინარე სეზონს კი... ახლა, „სიონით" დაიწყებს. ბობოხიძე ბოლნისელებს ქობულეთის შეკრებაზე შეუერთდა. 27 წლის თავდამსხმელი თვლის, რომ უთამაშებლობის გამო, ჩვეულ ფორმაში არაა, მაგრამ მზადაა, კარიერის ალმართს ხელახლა შეუდგეს. „სიონის" ახალწვეულს გუშინ დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

**- დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოხვდით „სიონში". ბოლნისელები დაგიკავშირდნენ?**

- ინიციატივა ორივე მხრიდან იყო, ვისაუბრეთ და გუნდს ქობულეთში, მოსამზადებელ შეკრებაზე შევუერთდი და სამ საკონტროლო შეხვედრაშიც ვითამაშე - „ბათუმთან", ფოთის „კოლხეთთან" და ცხინვალის" სპარტაკთან". რა დასამალია და, ჯერ კიდევ არ ვარ სასურველ ფორმაში. თუმცა ამ სამი მატჩის შემდეგ აშკარად უკეთ გამოვიყურები.

**- კონდიციების ალდგენას რამდენ ხანში შეძლებთ?**

- საამისოდ თებერვალიც მეყოფა. ამ თვის ბოლოს უკვე კარგ ფორმაში ვიქნები.

**- მიმდინარე სეზონში ჯერ არ გითამაშიათ. რატომ?**

- გასულ სეზონში თბილისის „ლოკომოტივში" ვთამაშობდი... მერე უცხოურ ვარიანტს ველოდი, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ვერც სხვა ქვეყანაში წავედი და ქართულ გუნდშიც ვერ გავაგრძელე კარიერა... ალარც მინდა ამის გახსენება... ისე მოხდა, რომ ნახევარი სეზონი გამიცდა. ჩემპიონატს ახლალა ვიწყებ.

**- „სიონში" რამდენ ხანს დარჩებით?**

- ამ სეზონს ჩავამთავრებ და მერე ვნახოთ. წინასწარ ლაპარაკი არ მინდა, ჩემპიონატი დასრულდება და მერე გადავწყვეტ.

**- ახალ გუნდზე რა წარმოდგენა შეგექმნათ?**

- კარგი გუნდია, შემადგენლობით ერთ-ერთი გამორჩეულიც. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ ამ კონტინგენტით „სიონი" ბევრ გუნდს ჯობია.

**- კარიერის განმავლობაში არა ერთ მწვრთნელთან გიმუშავიათ. ოთარ კორლალიძეზე რას გვეტყოდით?**

- კორლალიძესთან პირველად მიწევს მუშაობა. აშკარად ჩანს, რომ კარგი მწვრთნელია - ზამთრის პაუზისას რამდენიმე ფეხბურთელი აიყვანა და გუნდი საგრძნობლად გააძლიერა.

**- ფორვარდი ხართ და თამაშის დროს უმთავრესად შემტევი სტილის ფეხბურთელებთან მოგიწევთ ურთიერთობა. ვისთან უფრო უკეთ შეთამაშდით?**

- დავითაშვილი, შენგელია, გოცირიძე, რუსეიშვილი... მეც... ჩვენ ვართ „სიონის" ფორვარდები. ამ ოთხეულიდან, ბოლოხანს, კლუბში არც ერთთან არ მითამაშია. 18-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებში რეზო გოცირიძესთან ერთად ვთამაშობდი. ბავშვობაში კი მე და ირაკლი შენგელია ვიყავით ერთად. თუმცა თამაშის დროს შეთამაშების პრობლემას ვერ ვხედავ. ქობულეთში სამ საკონტროლო მატჩი ჩავატარე და ყველა მათგანთან მომიწია ტანდემში თამაშმა.

**- ამ ოთხეულიდან მხოლოდ რუსეიშვილია, რომელზეც თითქმის არაფერი ვიცით. რას გვეტყვით მასზე?**

- კარგი მოთამაშეა. ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ მშვენიერი მონაცემები აქვს. თუ ზრდას გააგრძელებს, მისგან კარგი ფორვარდი დადგება.

**- რა მიზნისთვის იბრძოლებთ?**

- მაქსიმუმ ჩემპიონობისთვის, მინიმუმ - ბრინჯაოსთვის. ერთი სიტყვით, საპრიზო სამეულს არ უნდა ჩამოვცდეთ. შემადგენლობა კარგი გვყავს და ამ მიზნის ხორცშესხმა შეუძლებელი ნამდვილად არ არის.

**- იყო დრო, როცა ეროვნულ ჩემპიონატშიც გამორჩეული იყავით და ახალგაზრდული ნაკრების სასტარტოშიც ხვდებოდით...**

- მოკლედ გიპასუხებთ: ეს დროც მალე დაბრუნდება. ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი ძველ ბობოხიძეს ისევ ნახავს.

**- თქვენი მეგობრები და ყოფილი თანაგუნდელები თითქმის ყველა ლეგიონერია...**

- კი, ყველა უცხოეთში თამაშობს. ერთადერთი, ვიტალი დარასელიაა აქ და როგორც გავიგე, ფეხბურთს თავი დაანებაო. მეწყინა... მას კიდევ შეეძლო ეროვნულ ჩემპიონატში თამაში... მეც შემეძლო გალეგიონერება, მაგრამ... არ გამოვიდა. თუმცა ხელი არ ჩამიქნევია. ფეხბურთელის ცხოვრებაში ასეც ხდება ხოლმე. ზოგჯერ ხელახლა გიწევს კარიერის შენება. სამწუხაროდ, ამას ვერ ავცდი, მეც თავიდან ვიწყებ...

**- მზად ხართ საამისოდ? ამ საქმეში ფსიქოლოგიური ფაქტორი გადამწყვეტია...**

- მართალია, ფსიქოლოგიურად მზად თუ არ ხარ, გაგიჭირდება. მე ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ და საერთოდ - ყველანაირად.

**- ამ სეზონში ბობოხიძის პირველ გოლს როდის უნდა ველოდოთ?**

- თებერვალშივე... ორს თუ არა, ერთს მაინც გავიტან.

**- ჩემპიონატს ცხინვალის „სპარტაკთან" საშინაო მატჩით განაახლებთ. ამ გუნდს მოსამზადებელ შეკრებაზე უკვე შეხვდით...**

- შევხვდით და 2:0-ც მოვუგეთ. თუმცა ის საკონტროლო მატჩი იყო. ჩემპიონატში სხვა თამაში იქნება, ბევრად უფრო დაძაბული. „სპარტაკი" ბოლო ადგილზეა, ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის და ყოველი ქულისთვის იბრძოლებს. სხვათა შორის, ცხინვალელთა გუნდი ზამთრის პაუზისას გაძლიერდა. ასე რომ, კვირას რთული მატჩი და დიდი ბრძოლა გველის...

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# გრიგალავა მოსკვაში

გუშინ დილით რუსული საინფორმაციო წყაროები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ 19 წლის გია გრიგალავა ნუთი-წუთზე „მოსკვასთან" გააფორმებდა კონტრაქტს. „სპორტ-ექსპრესი წერდა:

*„გია გრიგალავასთან პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია. მოსალაპარაკებელი დარჩა უმნიშვნელო დეტალები, ასე რომ, ფეხბურთელი დღესვე გააფორმებს კონტრაქტს. ასეთ შემთხვევაში, ის შეძლებს გუნდთან ერთად დღესვე გაემგზავროს თურქულ შეკრებაზე. გრიგალავა ჰოლანდიურ „აიაქსში" იყო სინჯებზე და ყოფილი ევროპული გრანდი მისთა[illegible]"*

ეს ინფორმაცია „მოსკვას" [illegible] იგორ **დმიტრიევმაც** დაადასტურა. თუმცა გუშინ თურქეთს „მოსკვას" 26 ფეხბურთელი გაფრინდა და გრიგალავა მათ შორის არ ყოფილა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეთანხმება ჩაიშალა. ახალი ინფორმაციით - „გრიგალავა გუნდს უახლოეს ხანებში თურქეთში შეუერთდება". პირველი საპარინგმატჩი „მოსკვას" 5 თებერვალს აქვს დაგეგმილი. მისი მეტოქე გერმანული „მაგდებურგი" იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შვილი ქართველად გავზარდე, როგორ გემეტებათ დასაკარგად?!

## რატომ თქვა უარი 19 წლის ქართველმა აიაქსსა და ფიორენტინაზე?

გუშინ **ალექსანდრე ამისულაშვილმა** რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და საქართველოს ნაკრებს გულისტკივილით დაუქნია ხელი. მანამდე, ეროვნული გუნდის კარი **ლევან გვაზავასთვის** ჩაირაზა და მანაც ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო. დაგვეთანხმებით, მცირერიცხოვანი საქართველოსთვის, რომელიც საფეხბურთო ტალანტებს ლამის სანთლით ეძებს, ორი ნიჭიერი ფეხბურთელის დაკარგვაც კი საცოდაობაა...

რა თქმა უნდა, ნაკრებში ყველა ვერ მოხვდება, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგა ნამდვილად არ არის ისეთი სუსტი, რომ იქ მოთამაშე ფეხბურთელს იგნორირება გაუკეთო. არის საშიშროება, რომ მათი ბედი **გია გრიგალავამაც** გაიზიაროს. „მოსკვაში" ჩარიცხვის შემდეგ თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით. ამ დროს ის თვითმფრინავში ჩასაჯდომად ემზადებოდა და ხეირიანად დალაპარაკება ვერც მოვახერხეთ. თუმცა ეს კი გვითხრა:

- მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრებიდან მიწვევას სიამოვნებით მივიღებ. ამას დიდი ხანია ველი. დანარჩენზე მერე ვისაუბროთ...

გია გუშინ მოსკოვიდან ანთალიაში გაემგზავრა და თავის ახალ კლუბს შეუერთდა. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად, გიას მამას, ქუთაისის „აიას" ყოფილ მორაგბე **ალეკო გრიგალავას** შევეხმიანეთ. აი, რა გავიგეთ მისგან:

- გია ერთწლიანი იჯარით „მოსკვაში" ითამაშებს. 6 თვის შემდეგ როსტოვის სკა, რომელსაც დღემდე ეკუთვნის, და „მოსკვა" ხელახლა დაილაპარაკებენ.

**- „აიაქსში" რატომ არ დატოვეს?**

- თავად არ ისურვა დარჩენა. სიმართლე გითხრათ, არც მჯეროდა, რომ პირველი ლიგის შემდეგ უცებ შეძლებდა ასეთ ცნობილ კლუბში დამკვიდრებას. არადა, მისი მენეჯერი ანატოლი ტიმოშჩუკისა და ნემანია ვიდიჩის მენეჯერიცაა. გია ერთადერთი მოთამაშეა, რომელიც მან პირველი ლიგიდან აიყვანა. „აიაქსში" მწვრთნელებს თავი მოაწონა, მაგრამ ელოდებოდნენ ვან ბასტენის გადაწყვეტილებას. მან კი დამატებით დაკვირვება გადაწყვიტა და ნახევარი წლით მეორე გუნდში დარჩენა შესთავაზა. ეს ჩვენ არ გვაწყობდა, რადგან რუსეთში გიას ბევრი ძლიერი გუნდი იწვევდა - მოსკოვის „სპარტაკი", „მოსკვა", „ამკარი", „ტომი"... ყველას ვერც ვიხსენებ. სხვათა შორის, „აიაქსის" შემდეგ მენეჯერმა „ფიორენტინაში" გასინჯვაც შემოგვთავაზა, მაგრამ ამაზეც უარი ვთქვით, რადგან ჩვენი მოთხოვნა იყო - კონტრაქტი ყოველგვარი სინჯების გარეშე! ამგვარი წინადადებები კი რუსული კლუბებიდან მოდიოდა. გიამ გეზი მოსკოვისკენ აილო, რადგან იქ ფეხბურთელი უფრო კარგად ჩანს. სამწუხაროდ, მენეჯერი მოსკოვის „სპარტაკს" ვერ შეუთანხმდა, კარპინმა ფინანსური საკითხების მოგვარება ვერ შეძლო. არადა, ლაუდრუპსა და ლედიახოვს მისი დატოვება სურდათ. ეს ჩვენთვისაც საკმაოდ მისაღები ვარიანტი იყო, მაგრამ არ გამოვიდა და გიამ „მოსკვაში" წასვლა გადაწყვიტა, სადაც ცნობილი სპეციალისტი ბოჟოვიჩი მუშაობს. მის ხელში პერმის „ამკარი" შარშან მეოთხე ადგილზე გავიდა. ასეთ მწვრთნელთან ფეხბურთელი გაიზრდება და ეს იყო სწორედ ჩვენი არჩევანის მთავარი მოტივი. კიდევ კარგი, დროზე გამოექცა „როსტოვს", სადაც მწვრთნელად ოლეგ დოლმატოვი დანიშნეს. მასთან ადრეც მუშაობდა. ტრავმირებულს, დოლმატოვი ნემსებით აიძულებდა თამაშს... მოკლედ, ასეა - დღეს გია „მოსკვას" შეკრებაზე შეუერთდა.

**- მოდით, მთავარზე ვთქვათ: საქართველოს ნაკრებში თამაშს არ აპირებს?**

- რას ჰქვია, არ აპირებს?! გია ქართველია, ქართველად გავზარდე და სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშის სურს. უბრალოდ, პროცედურაა ასეთი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა დაუძახოს და მერე ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით. შარშან სკა-ში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და ამიტომაც დაინტერესდნენ რუსული კლუბები. სხვათა შორის, სკა-სთან კონტრაქტში ეწერა კიდეც, რომ საქართველოს ნაკრებში მიწვევის შემთხვევაში, კლუბი პრობლემას არ შეუქმნიდა. როგორ გგონიათ, კონტრაქტში ეს რომ ჩაიწერა, ამის მერე გია სამშობლოზე უარს იტყოდა? 17 წლისამ ითამაშა პრემიერლიგაში და ყურადღება არ მიაქციეს. გიას საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში სურს, ისევე, როგორც გოჩა ხოჯავას, მაგრამ... მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს.

**- თქვენ არ გიცდიათ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან დალაპარაკება?**

- უბრალოდ, თავმოყვარეობის საქმეა. საერთოდ, ფედერაციამ უნდა დაურეკოს მოთამაშეს და არა - პირიქით. არ იციან, რომ გრიგალავა რუსეთში თამაშობს? ფეხბურთის ფედერაციაში ნებისმიერ ქართველ მოთამაშეზე უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია. იქნებ, ის მაინც არ იციან, რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებში რომ ითამაშა? არა ერთხელ თქვა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს და მეტი რალა ქნას?! არ ვიცი, ქართველი ფეხბურთელი დასაკარგად როგორ ემეტებათ?!

**მერაბ მამულაშვილი**

გუშინ...

U 17. ამხანაგური მატჩი. სლოვენია-საქართველო 3:2. გოლები: ძალამიძე, ჩაფიძე

**ამხანაგური მატჩი. დინამო-შეტისუ 1:0**

1:0 ჯუისი (32)

დინამო: ოვონო (46. ლორია), თომაშვილი (83. მინდორაშვილი), კაკუბავა, კრშკო, ჩარასი, შ. კაშია, დილმელაშვილი, ხმალაძე (72. ნემსაძე), გველესიანი (58. ლომია), კოშკაძე, ჯუისი (46. ქანთარია).

დღეს: დინამო-გაბელსბერგი (17:00)

# არველაძეების ფონდმა ევროპისკენ ფანჯარა გაჭრა

<< 2

ჩვენ გარდა, ამსტერდამელებმა „ანდერლეხტი", „ბენფიკა", „ჩელსი", „ინტერი" და „ეინდჰოვენიც" მიიწვიეს. ეს იქნება საინტერესო ტურნირი და იმედია, ჩვენი ბავშვები კარგად წარმოაჩენენ თავს, რაც ცნობილ კლუბებს შემდგომში თავად გაუჩენს საერთაშორისო ტურნირებზე ჩვენი მიწვევის სურვილს. ბავშვები უზრუნველყოფილნი იქნებიან სპორტული ეკიპირებით, შეკრებებს უფასოდ გაივლიან, პლუს ამას, დავაზღვიეთ „ალდაგი ბი-სი-აი-ში". მათ სჭირდებათ ეს ხელშეწყობა და შეძლებისდაგვარად, გვერდში დავუდგებით. სტიპენდიას კონკურსის სახეც მივეცით - ვინც უკეთ ითამაშებს, ის მიიღებს და აქედან გამომდინარე, ბავშვები მეტს მოინდომებენ. ამას გარდა, მწვრთნელების გაგზავნაც გვსურს, მათ ენობრივი ბარიერის გადალახვაშიც დავეხმარებით. მაგალითად, უკვე გადაწყვეტილია, რომ მარტში გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიაში გაემგზავრება და აიაქსელ თანატოლებს შეხვდება, მეორე მეტოქის ვინაობას ახლა ვაზუსტებთ. მსურს, მადლობა გადავუხადო „საქართველოს ბანკს", „ბაგრატიონს", „ვანექსს", „ფორას", რომლებიც ამ ტურნირზე ჩვენი ბავშვების მივლინებაში გვეხმარებიან. ჩვენი გუნდის ტექნიკურ სპონსორობაზე კი ეკიპირების ფირმა „იაკო" უსიტყვოდ დაგვთანხმდა... ახლა კი მსურს, წარმოგიდგინოთ ჩვენი ფონდის ალმასრულებელი დირექტორი გიორგი კაციტაძე. აქ უამრავი საქმეა და მჯერა, ეს ადამიანი ყველაფერს თავს გაართმევს. შოთას გაცილების მატჩმა სწორედ გიორგისა და პაატა ბურჯალიანის მხრებზე გადაიარა, კაციტაძე ფედერაციაში მუშაობდა და მივხვდი, რომ საქმის მოყვარული ადამიანია. მინდა ვუსურვო, რომ გააძლიეროს ფონდის საქმიანობა.

***გიორგი კაციტაძე,*** ფონდის ალმასრულებელი დირექტორი - მადლიერი ვარ, რომ „ფონდ არველაძეების" ხელმძღვანელობამ ამხელა ნდობა გამომიცხდა. მარტო სახელის გამოც კი, წარუმატებელი მუშაობის უფლება არ გვაქვს. სამუშაო კი ბევრია, არველაძეების წყალობით კავშირები დამყარებულია. მთავარია, ეს ყველაფერი ეფექტურად გამოვიყენოთ.

***პაატა ბურჯალიანი,*** პროფლიგის გენერალური მდივანი - 10 დღეში თავისუფლების მოედანზე ფონდის ოფისი ამუშავდება. ამასთან, არსებული ინტერნეტმისამართის მუშაობა გამოცოცხლდება, ყოველდღიური ინფორმაციებით დაიტვირთება და დაინტერესებულ ხალხს შეეძლება, „ფონდ არველაძეების" საქმიანობას უფრო დეტალურად გაეცნოს.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# ისევ ბორჯომი და ისევ ფრე

გუშინ ზუსტად უნდა გარკვეულიყო, რა წყაროებით დაფინანსდებოდა ახალციხის „მესხეთი", მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც უნდა იყოს, უფულოდ და უპატრონოდ მიტოვებულმა კლუბმა ცოტათი თვალებში გამოიხედა და სეზონის მეორე ეტაპზეც ითამაშებს.

გუშინ კი ახალციხელებმა საკონტროლო შეხვედრა გამართეს - „ბორჯომს" ბორჯომში 4 გოლი გაუტანეს და ამდენივე გაუშვეს. ეს გუნდები ერთმანეთს რამდენიმე დღის წინაც გაეჯიბრნენ და მაშინაც ფრედ ითამაშეს - 2:2. გუშინ „მესხეთის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ძამუნაშვილი - მემარნიშვილი, ქურდაძე, ლ. მერებაშვილი, ვ. ხორგუაშვილი - პ. ხორგუაშვილი, ვაშაკიძე, თედიაშვილი, ლეკიშვილი - ქებაძე - სამადაშვილი.** შეცვლაზე შევიდნენ: **ქოჩორაშვილი, სუდაძე, ყულიჯანიშვილი, ნაჭყებია.**

ახალციხელთაგან გოლები **სამადაშვილმა, ლეკიშვილმა, თედიაშვილმა და ნაჭყებიამ** გაიტანეს.

დავით **თავართქილაძე**

ლეგიონი

# კანკავამ გაიტანა, გოცირიძე დაბრუნდა




უკრაინულმა „დნიპრომ" ისრაელში ბოლო სპარინგი გამართა და რუსულ „როსტოვს" დაუზავდა - 2:2. ამ შეხვედრაში თავი **ჯაბა კანკავამ** გამოიჩინა. მას ანგარიშის გახსნა მე-2 წუთზევე შეეძლო, თუმცა თავურით პრაქტიკულად ცარიელ კარს ააცილა ბურთი.

32-ე წუთზე პირველი გოლიც გავიდა: მარცხენა ფლანგზე **კალინიჩენკომ** მეტოქე მოატყუა და ცენტრში ბურთი კანკავას გადააწოდა - ასე დაწინაურდნენ უკრაინელები. კანკავამ პირველი ტაიმი ითამაშა, **ბექა გოცირიძემ** კი - მეორე. ბექამ ერთხელ შექმნა სახიფათო მომენტი, მაგრამ მისი ფლანგური გარღვევა პარტნიორმა გოლით ვერ დაასრულა. თურქეთში მიღებული ტრავმის შემდეგ გოცირიძემ პირველად ითამაშა. **სანდრო კობახიძე** კი საერთოდ არ გამოჩენილა. „როსტოვის" რიგებში მეორე ტაიმი ითამაშა სინჯებზე მყოფმა **კახა მჟავანაძემ** (რუსებმა მეორე ტაიმი 1:0 მოიგეს). აღთქმული მიწიდან „დნიპრო" შინ დღეს დაბრუნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# სირაძის პირველი გოლი და მოდებაძის შანსი


ირაკლი მოდებაძე


დავით სირაძე

რუსული „ტერეკი" თურქულ შეკრებაზე უკრაინულ „ზარიას" დაუზავდა - 1:1. ჩეჩნური კლუბიდან გოლის ავტორი სინჯებზე მყოფი **დავით სირაძეა**. 37-ე წუთზე სწორედ მან გახსნა ანგარიში. „ზარიას" რიგებში მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა **გიორგი ციმაკურიძე**. სამწუხაროდ, უცნობია, ითამაშა თუ არა ამ სპარინგში „ტერეკის" ახალწვეულმა **ლევან გვაზავამ**.

ოდესის „ჩერნომორეცში" ქართველი ფორვარდი **ირაკლი მოდებაძე** ვარჯიშობსო, - იუწყება „მეზღვაურთა" კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. მოდებაძე ჯერ სინჯებზეა, ის „ჩერნომორეცს" ოდესაში მას მერე, დახვდა რაც ეს კლუბი თურქული შეკრებიდან დაბრუნდა. 24 წლის ქართველ ფორვარდს ტრავმის გამო 2007 წლის მერე არსად უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ასათიანი მარტო დარჩა

ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, შესაბამისად, მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლებში გადასროლილი და ტრანსფერზე დაყენებული ოთხი ფეხბურთელი უმუშევარი დარჩა, მათ შორის, ერთი - საქართველოს ნაკრების ლიდერთაგანი **მალხაზ ასათიანია.** „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა **ნიკოლაი ნაუმოვმა** არ გამორიცხა, რომ ეს კვარტეტი სხვა რუსულ კლუბში გადავა:

*„მცველები ემირ სპაჰიჩი და მალხაზ ასათიანი, ნახევარმცველები ჰამინ დრამანი და გილერმო პერეირა, ალბათ, სხვა რუსულ კლუბში გააგრძელებენ კარიერას. ჯერჯერობით, ისინი მოსკოვში ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. ჩვენ ვეძებთ მათი მოწყობის ვარიანტებს, როგორც რუსეთში, ასევე ისეთ ქვეყნებში, სადაც სატრანსფერო პერიოდი ჯერ არ დასრულებულა",* - განუცხადა ნაუმოვმა „სოვეტსკი სპორტს".

აქედან ჩანს, რომ მალხაზ ასათიანი ან რუსეთის რომელიმე კლუბში გადავა, ან რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ანდაც ზაფხულამდე უფეხბურთოდ მოუწევს ყოფნა. „ლოკომოტივში" მისი დარჩენის ისედაც მცირე შანსი სლოვაკი მცველის, **იან დურიცას** გუშინდელმა ტრანსფერმა საბოლოოდ მოსპო. დრო კი არ ითმენს - დღეიდან, მალხაზს ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშის „ფუფუნებაც" აღარ აქვს, რადგან „ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობა ხოსტაში წინასასეზონო შეკრებაზე გაემგზავრა.

## გიგიაძის გოლი და ბურდულის ტაიმი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა სიმფეროპოლის „ტავრიამ" ლუბლინის (პოლონეთი) „ზაგლებიესთან" ორი სპარინგი გამართა და ორივეჯერ დიდი ანგარიშით აჯობა. პირველ შეხვედრაში უკრაინელებმა 4:0 მოიგეს. ამ მატჩში „ტავრიას" ქართული დუეტიდან **ვასილ გიგიაძემ** ითამაშა. 27-ე წუთზე მან პენალტის ნიშნულიდან ანგარიში 3:0 გახადა. გიგიაძე 57-ე წუთზე შეცვალეს. მეორე მატჩში (3:0 „ტავრიას" სასარგებლოდ) მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა **ლადო ბურდულმა.** 5 თებერვალს „ტავრიას" ქართველებს თანამემამულეებთან მოუწევთ დაპირისპირება - მომდევნო მეტოქე თბილისის „დინამოა".

## დღეიდან ამისულაშვილი რუსია

ცოტა ხნის წინ გამცნეთ, რომ **ალექსანდრე ამისულაშვილი** რუსეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებდა. ასეც მოხდა - „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველმა კაპიტანმა რუსული პასპორტი აიღო და დღეიდან რუსეთის ჩემპიონატში ლეგიონერად აღარ ჩაითვლება, კავკასიურ კლუბს კი უცხოელებზე ლიმიტის გამკაცრებასთან დაკავშირებით, პრობლემები შეუმსუბუქდება. შეგახსენებთ, რომ მცველ ამისულაშვილის გარდა, ნალჩიკის გუნდში კიდევ ერთი ქართველია - **გოგიტა გოგუა,** რომლის გასხვისებაც „სპარტაკი" აქტიურად ცდილობს.

## ჩაშლილი სინჯები

რუსული პრემიერლიგის ბინადარ „ხიმკიში" სინჯებზე მყოფმა **ვალერი აბრამიძემ** ისრაელში მყოფი კლუბის სავარჯიშო ბაზა დატოვა. ის არ დაუწუნებიათ, უბრალოდ, გამოცდილი ქართველი მცველი ავადმყოფობის (მაღალი ტემპერატურა) გამო ვარჯიშს ვერაფრით მოახერხებდა, არადა, „აზერისპორტს" თუ დავუჯერებთ, „ხიმკი" მასთან ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა.

## აზერბაიჯანი საქართველოს სჯობსო...

აზერბაიჯანული პროფლიგის პრეზიდენტმა **რამინ მუსაევმა** „აზერისპორტს" ინტერვიუ მისცა. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია და ამით არ დავინტერესდებოდით, რომ არა ერთი დეტალი - მუსაევმა ერთმანეთს საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონატები შეადარა. ჟურნალისტმა მას დაუსვა კითხვა, რომლის მოტივიც ეს იყო - ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგში ჩვენი უმაღლესი ლიგა გვარიანად უსწრებს აზერბაიჯანულ პრემიერლიგას.

*„საქართველოში დავიბადე და ეს ქვეყანა ჩემთვის სულაც არ არის უცხო. რაც იქ ხდება, ყველაფერი მაინტერესებს, მათ შორის, საფეხბურთო ამბებიც. ვერასოდეს დავიჯერებ, რომ საქართველოს ჩემპიონატი აზერბაიჯანისას სჯობს. ეს ტყუილია, სტატისტიკის ფედერაციას რაც უნდა, ის წეროს, მთავარი კი ისაა, რომ ჩვენი პროგრესის ფიფასა და უეფას სჯერა",* - აცხადებს რამინ-ეფენდი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



**ინდივიდუალური მომზადება ქარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ინტერვიუ

# გიორგი დემეტრაძე

# იქნებ, კუპერმა ნაკრებში დამაბრუნოს

„ბაქოს" ოფიციალურ ვებგვერდზე თურქულ შეკრებაზე მყოფი გიორგი დემეტრაძის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ის ანთალიურ პერიპეტიებზე, კლუბის გეგმებზე, საქართველოს ნაკრებსა და კახა კალაძესთან მეგობრობაზე საუბრობს...

**- არ იყო ძნელი აზერბაიჯანიდან წინადადების მიღება?**

- ქართველი მოთამაშეებისგან ვიცოდი, რომ აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი ინვესტიციები ჩაიდო. როცა მენეჯერი ჩემთან ასეთი წინადადებით მოვიდა, არ მიყოყმანია და ამას არც ახლა ვნანობ - „ბაქო" საინტერესო გუნდია, ჩემპიონატშიც ბევრი პრინციპული დაპირისპირებაა... მოკლედ, აქ ყველაფერი საჩემოდაა.

**- ანთალიური შეკრებაც სრულდება...**

- მწვრთნელს სურდა, მისი გუნდის პოტენციალის ნახვა. სპარინგმატჩებმა ის იმედიანად განაწყო, ახალწვეულებმა გუნდი გააძლიერეს, რაშიც აზერბაიჯანული პრემიერლიგის განახლებისთანავე ყველა დარწმუნდება.

**- შეძლებთ ჩემპიონობის მოპოვებას?**

- „ბაქო" აზერბაიჯანული ფეხბურთის მოწინავე გუნდია - როგორც ფინანსურად, ისე საფეხბურთო ასპექტში. როცა ჩვენი ახალწვეულები გუნდს კარგად შეერწყმებიან, ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იქნება. ისე, კონკურენტებიც ძალზე სერიოზული გვყავს.

**- დიდი ხნის განმავლობაში იყავით საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი. ორიოდ სიტყვით, როგორ შეაფასებთ თქვენს სანაკრებო კარიერას?**

- ბევრი მოგონება დამრჩა, სასიამოვნოც და არცთუ კარგად გასახსენებელი. მართალია, ჩვენს გუნდს დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ ზოგჯერ ქართველ ხალხს დიდ სიხარულს ვანიჭებდით და ამაში ჩემი დამსახურებაც იყო. ექტორ კუპერი ნაკრებში არ მიწვევს, მაგრამ ეს მისი ბრალი არ არის, ბოლოს ტრავმა მაფერხებდა. ჩვეულ ფორმაში რომ შევალ, იქნებ დამაბრუნოს კიდეც ნაკრებში...

**- ამბობენ, თითქოს ეს არდადეგები კახა კალაძესთან ერთად გაატარეთ მილანში...**

- კახა ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია. ძალიან გახარებული ვარ მისი მილანური წარმატებებით, ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# კუპერში სისტემურობა დავინახე

[illegible]

**- ელქაბიძის გარდა, თბილისის „ამერიდან" თურქულ შეკრებაზე კიდევ ერთი ფეხბურთელი წაიყვანეთ - თავდამსხმელი ბესიკ ჩიმაკაძე. როგორ გადაწყდა მისი საკითხი?**

- ელქაბიძე და ჩიმაკაძე „ამერს" დაუბრუნდნენ. ამ ფეხბურთელებმა შეკრებაზე სერიოზულად იმუშავეს, მათი ვარჯიშით ძალიან კმაყოფილი დავრჩით, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. მადლობელი ვარ „ამერის" ხელმძღვანელობის, ამ ფეხბურთელებზე დაკვირვების შესაძლებლობა რომ მომცა.

**- შეიძლება ითქვას, რომ „ზესტაფონმა" ამ სეზონში სელექცია დასრულდა?**

- არის პოზიციები, რომელთაც გამაგრება სჭირდება. სელექციას ვაგრძელებთ, სატრანსფერო ფანჯარა ხომ 1 მარტამდე ღიაა.

**- რა კონკრეტული მიზანი ექნება „ზესტაფონს" ამ სეზონში?**

- უეფას თასის საგზურის მოპოვება. ვიბრძოლებთ ჩემპიონობისთვისაც, თუმცა ეს ძალიან რთული ამოცანაა.

**- „ზესტაფონის" გარდა, თურქეთში კიდევ ორი ქართული გუნდი ემზადებოდა - „დინამო" და „გაგრა". საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ კუპერი იქ ქართულ გუნდებზე დასაკვირვებლად იყო ჩასული. შეხვდით მას?**

- დიახ და ვისაუბრეთ კიდეც. ის ჩვენი ფეხბურთელების მდგომარეობით, მოსამზადებელი გეგმით დაინტერესდა. კონკრეტულ მოთამაშეებზე კი საუბარი არ გვქონია.

**- 11 თებერვალს ირლანდიასთან მატჩისთვის „ზესტაფონიდან" 4 ფეხბურთელია გამოძახებული - ზურაბ მამალაძე, რონ კვასხვაძე, უჩა ლობჟანიძე და მურთაზ დაუშვილი. თქვენთან ახალგაზრდული ნაკრებისთვის საინტერესო არა ერთი მოთამაშეცაა. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ახალ დამრიგებელს ხომ არ შეხვედრიხართ?**

- ჯერ არა, თუმცა მზად ვარ, კახა ცხადაძესთან ნებისმიერ დროს სასაუბროდ, რათა მისთვის საინტერესო ყველა კითხვას ვუპასუხო.

**- სანაკრებო თემაზე ერთსაც გკითხავთ. კუპერი ეროვნულ გუნდში აღარ იწვევს გოგიტა გოგუას. ამ ფეხბურთელზე ამბობენ, კონფლიქტური ხასიათი აქვსო, თუმცა ასეც რომ იყოს, არ გვგონია, ეს ნაკრებში მისი არგამოძახების მთავარი მიზეზი იყოს. 2005 წელს, როცა თქვენ თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყავით, გოგუა „დინამოში" უნდა ჩარიცხულიყო, მაგრამ ტრანსფერი არ განხორციელდა. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ საინტერესოა თქვენი აზრიც - გოგუა საქართველოს ნაკრებისთვის გამოსადეგი არ არის?**

- გოგუა ნაკრებისთვის მართლაც საინტერესო ფეხბურთელია, თუმცა ვერც იმ სიას დავიწუნებ, კუპერმა საირლანდიოდ რომ მოამზადა. არგენტინელის მუშაობაში დავინახე ერთი რამ - ის სისტემური ხასიათის სამუშაოს ასრულებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნულ ჩემპიონატს, საფუძველს ქმნის ახალი გუნდის ჩამოსაყალიბებლად... ერთი ფეხბურთელის გამოძახებით სხვა დაკარგავს ადგილს ნაკრებში. დარწმუნებული ვარ, გოგუას არგამოძახების მიზეზი მისი კონფლიქტური ბუნება არ არის. ვფიქრობ, მოვა დრო და კუპერი მას ნაკრებში დააბრუნებს.

**- საქართველო ღარიბია მაღალი კლასის ფეხბურთელებით, გოგუას კი არა ერთხელ გამოუჩენია თავი ნაკრებში კარგი თამაშით...**

- გეთანხმებით, რომ ღარიბები ვართ მაღალი კლასის ფეხბურთელებით, მაგრამ შესაძლებელია, პროცესი ხელოვნურად დავაჩქაროთ და ცალკეული ფეხბურთელების კვალიფიკაცია ავამაღლოთ. თქვენ ალბათ დამისვამთ ლოგიკურ კითხვას - განა შესაძლებელია, ფეხბურთელის ზრდა ნაკრებში მოხდეს? საქმე ისაა, რომ ნაკრები და კლუბი ერთმანეთს ეხმარებიან, ანუ, მაღალ დონეზე სათამაშო პრაქტიკის შეძენა ფეხბურთელის წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, ახლა ვქმნით ქართულ ფეხბურთს - როგორც სანაკრებოს, ისე საკლუბოს...

დავით **თავართქილაძე**

ატლეტიკო

# რესინო სახლში დაბრუნდა

## ხავიერ აგირე ხესუს ხილის ვაჟის კატეგორიული მოთხოვნით გაათავისუფლეს: ხილ მარინმა დუბაიდან დარეკა, მადრიდში რომ დავბრუნდები, აგირე მანდ არ დამხვდესო

როგორც იქნა, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** ყური გამოიბერტყა და **ხავიერ აგირე** თანამდებობიდან დაითხოვა. მექსიკელი სპეციალისტი მადრიდული კლუბიდან ისე წავიდა, რომ 2009 წელს ერთი გამარჯვებაც არ მოუპოვებია. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, „ატლეტიკო“ ამ თვალსაზრისით ერთადერთი პრიმერადივიზიონური კლუბია. გუშინ „როხიბლანკოს“ მთავარ მწვრთნელად **აბელ რესინო** დაინიშნა. მადრიდული გუნდის ხელმძღვანელებმა აგირეს გაშვება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც „ვალიადოლიდთან“ საშინაო მარცხსა და კლუბში არსებულ სიტუაციაზე იმსჯელეს. დედაქალაქელებს ზედიზედ შვიდი თამაშია არ მოუგიათ. ოცნება ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაზე სულ უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელობამ აგირეს გადაყენება დააგვიანა. არავინ იცის, აბელ რესინო რას გააკეთებს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მექსიკელი სპეციალისტის ამდენ ხანს დატოვება არ შეიძლებოდა.

რესინო შემთხვევით არ შეურჩევიათ. ის შინაური კაცია და „ატლეტიკოს“ შიდა სამზარეულოს ძალიან კარგად იცნობს. „როხიბლანკოს“ ყოფილ მეკარეს მშობლიურ გუნდში მუშაობა თურმე მის დაბადების დღეზე შესთავაზეს. სენიორ რესინომ გულწრფელად განაცხადა, დაბადების დღეზე ასეთი ძვირფასი საჩუქარი ცხოვრებაში არ მიმიღიაო. ბატონი აბელი 49 წლის ასაკში უსაყვარლესი გუნდის დამრიგებელი გახდა. მანამდე ის „კასტელიონში“ მუშაობდა, მაგრამ როგორც კი ენრიკე სერესოს შეთავაზება მიიღო, სამხრეთული კლუბი მიატოვა და დედაქალაქს გაფრინდა. „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობამ მადრიდის „რეალის“ მესვეურებს მიბაძა და ახალ მწვრთნელს **ხუანდე რამოსის** მსგავსად მიმდინარე სეზონის დასრულებამდე გაუფორმა კონტრაქტი. იმ შემთხვევაში, თუ „როხიბლანკო“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად ორი წლით გახანგრძლივდება. რესინო ახლა თანაშემწეს ეძებს. ენრიკე სერესოს სურს, რომ ამ თანამდებობაზეც შინაურმა იმუშაოს. პრეზიდენტმა თანაშემწის პოსტი „ატლეტიკოს“ ლეგენდარულ ნახევარმცველს **მილინკო პანტიჩს** შესთავაზა, მაგრამ მან უარი განაცხადა. ამ მიმართულებით მუშაობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდელებს ხავიერ აგირეს გადაყენება იაფი არ დაუჯდათ. კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის გამო, მექსიკელ სპეციალისტს სოლიდური საკომპენსაციო თანხა გადაუხადეს. სენიორ სერესოს, კომპენსაციის გადახდა „კასტელიონისთვისაც“ მოუხდა. პროვინციულმა კლუბმა მწვრთნელის გაშვების სანაცვლოდ 300 ათასი ევრო მიიღო. აბელ რესინომ გუშინ პრესკონფერენციის გამართვაც მოასწრო. აი, რა განაცხადა ტოლედოელმა სპეციალისტმა: *„კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. უნდა ვაღიარო, რომ უმძიმესი პასუხისმგებლობა ვიტვირთე. გუნდში ძალიან რთულ დროს მოვედი, მაგრამ შემადგენლობის უმაღლესი ხარისხი ოპტიმიზმს მმატებს. არ დაგიმალავთ, გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მთავარი როლი სწორედ ფეხბურთელების კვალიფიკაციამ შეასრულა. როცა ასეთი შემადგენლობა გყავს, არაფრის შეგეშინდება. „ატლეტიკო“ ჩემი სახლია და ხელმძღვანელობის შეთავაზებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ასეთი შანსი ადამიანს ხშირად არ ეძლევა. იმედიანად ვარ განწყობილი. მჯერა, დასახულ ამოცანებს გადავჭრით და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ. მე სწორედ ეს მიზანი დამისახეს. გულწრფელად გეტყვით, არ მინდა, „ატლეტიკოში“ მხოლოდ მიმდინარე სეზონის დასრულებამდე ვიმუშაო. თუ ლიგის საგზურს შევწვდებით, ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება. ასე რომ, ხვალიდან ოფლის ღვრისა და შრომის ახალი ეტაპი დაიწყება. დარწმუნებული ვარ, მე და ფეხბურთელები კარგად გავუგებთ ერთმანეთს. მსურს გულშემატკივრების გასაგონად მცირე განცხადება გავაკეთო. ნურაფრის შეგეშინდებათ, „ატლეტიკოს“ ამოუწურავი პოტენციალი აქვს. ჩვენ შეუძლებელს შევძლებთ და პრიმერა დივიზიონში სიტუაციას აუცილებლად გამოვასწორებთ. ჩემპიონთა ლიგას რაც შეეხება, ამ ტურნირზე ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. კონკურენცია ძალიან დიდია, მაგრამ შევეცდებით ყველა დაბრკოლება გადავლახოთ.“*

აბელ რესინოს თავგადასავალი მომავალ კვირას, „რეკრეატივოსთან“ მატჩით დაიწყება. ხავიერ აგირესთვის კი „ატლეტიკოში“ ყველაფერი დასრულებულია. მექსიკელმა სპეციალისტმა თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას მონოლოგით დაემშვიდობა: *„მივდივარ, მაგრამ სინდისის ქენჯნას არ ვგრძნობ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ დასახული ამოცანები ვერ გადავჭერი. პასუხისმგებლობას არასოდეს გავურბოდი. ლაჩარივით გაპარვას არ ვაპირებ და სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ვაღიარებ, ის მიზნები, რომელიც სეზონის დაწყებამდე დავისახეთ, მიუღწეველი დარჩა. ამის გამო ძალიან ვწუხვარ. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა. რას ვიზამთ, ცხოვრება ამით არ მთავრდება. ახლა კარგად უნდა დავისვენო. დარწმუნებული ვარ, პენსიაში გასვლა არ მომიწევს და გარკვეული დროის შემდეგ, საინტერესო შემოთავაზებას მივიღებ. ის რაც ახლა ვერ შევძელი, მომავალში უნდა გავაკეთო. ეჭვი არ მეპარება, მოვა დრო და ყველას დავუმტკიცებ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ვარ. ფეხბურთელებს განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ. მათ არაჩვეულებრივი გაცილება მომიწყვეს. ყველა ერთად შეიკრიბა და ბაზიდან ტაშით გამომიშვეს. ბიჭები მეხვეოდნენ და მადლობას მიხდიდნენ. ამას არასოდეს დავივიწყებ. „ატლეტიკოს“ წარმატებებს ვუსურვებ. იმედია, ჩემი მემკვიდრე გუნდს დაუვიწყარ გამარჯვებებს მოაპოვებინებს.“*

„ატლეტიკოზე“ საუბარს ბოლო წამს მოსული ინფორმაციით დავასრულებთ. „დიარიო მარკას“ ვებგვერდზე გვიან ღამით დაიწერა, რომ ენრიკე სერესო აგირეს გადაყენებას კიდევ არ აპირებდა, მაგრამ საქმეში **ხესუს ხილის** შვილი, სენიორ **ხილ მარინი** ჩაერია. მამისგან მას გუნდის აქციები მემკვიდრეობით გადაეცა და „როხიბლანკოში“ უდიდესი გავლენით სარგებლობს. მადრიდელი ჟურნალისტების მტკიცებით, ხილ მარინმა დუბაიდან დარეკა და მექსიკელის გაშვება მთელი კატეგორიულობით მოითხოვა. სერესო შეეცადა კოლეგა დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ხესუსის ვაჟმა შემოთვალა, მადრიდში რომ დავბრუნდები, აგირე მანდ არ დამხვდესო. სხვათა შორის, სულმნათი ხესუსი ერთ-ერთ წინა სტატიაში გავიხსენეთ და აღვნიშნეთ, ლეგენდარული ხილი ხილი ცოცხალი რომ იყოს, აგირეს კინწისკვრით გააგდებდა-თქო. ხომ გაგიგიათ, კვიცი გვარზე ხტისო. ასე მოხდა ამჯერადაც. სენიორ ხილ მარინი დუბაიში მოლაპარაკების გასამართად გახლავთ ჩასული. ის კლუბის ახალი სტადიონისთვის მდიდარ სპონსორს ეძებს, მაგრამ მექსიკელი სპეციალისტის გადასაყენებლადაც მოიცალა.



რეალი

# ხუანდეს ვერდიქტი: ყველა დიეტაზე!

## სამეფო კლუბის თითქმის მთელ შემადგენლობას ჭარბი წონა აწუხებს



გუშინ **ხუანდე რამოსმა**, „რეალის“ ფიზმომზადების სპეციალისტმა **მარკოს ალვარესმა** და ერთ-ერთმა ექიმმა **ლუის სერატოსამ** საგანგებო თათბირი გამართეს. მათი შეხვედრის მიზანი ფეხბურთელების ფიზიკურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე საუბარი გახლდათ. სამეფო კლუბმა ზედიზედ ექვსი გამარჯვება მოიპოვა, რაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ხუანდე რამოსს შიში გაუჩნდა, რომ მისი ფეხბურთელების დიდი ნაწილი ისე არ გადაიღალოს, რომ მომდევნო ტურებში პრობლემები შეექმნას. მარკოს ალვარესმა და ლუის სერატოსამ ტიტანური სამუშაო გასწიეს. მათ უკლებლივ ყველა ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ სამეფო კლუბის მოთამაშეებს ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრებათ. ისინი ჯანზე არიან, თუმცა გამოკვლევამ ერთი საგანგაშო მდგომარეობა გამოააშკარავა. მადრიდული გრანდის თითქმის ყველა ფეხბურთელს ჭარბი წონა აწუხებს. ბუნებრივია, ეს პრობლემა ყველას ერთნაირად არ აწუხებს, ზოგს მეტი აქვს მომატებული, ზოგს ნაკლები. ყველაზე სამარცხვინო მდგომარეობაში **რაფაელ ვან დერ ვაარტია**. დაუდასტურებული ინფორმაციით მას მინიმუმ 6 კილოს დაკლება მოუწევს. „დიარიო ასის“ მტკიცებით, სამეფო კლუბის ფეხბურთელებს საშუალოდ 1.5 კილოგრამი აქვთ დასაკლები. ხუანდე რამოსი არსებული რეალობით აღშფოთებული დარჩა. ესპანელმა სპეციალისტმა საგანგებო კრება დანიშნა და საკუთარ მოთამაშეებს ძალიან მკაცრი ტონით დაელაპარაკა. მთავარი მწვრთნელი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ფეხბურთელებმა რაციონიდან კალორიული პროდუქტები ამოიღონ და წონა სასწრაფოდ დაიკლონ.

სენიორ რამოსმა თანამდებობაზე დანიშვნიდან მცირე ხანში ხმამაღლა განაცხადა, პირველი ვარჯიშის ჩატარების შემდეგ ფეხბურთელების ფიზიკური მდგომარეობით შოკირებული დავრჩიო. **ბერნდ შუსტერის** მემკვიდრემ საქმეს მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი, მაგრამ მან მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ შემადგენლობის უდიდეს ნაწილს ზედმეტი წონა აწუხებს. არადა, აშკარად ჩანს, რომ სენიორ რამოსის დანიშვნის შემდეგ სამეფო კლუბმა საგრძნობლად მოუმატა, ის ახლა ბევრად უფრო თავდაჯერებულად თამაშობს, მაგრამ პრობლემები მაინც არ ილევა. სხვათა შორის, ჭარბი წონა ესპანური გიგანტის მხოლოდ ორ წევრს არ აწუხებს. ლაპარაკია გაბრიელ ჰაინცესა და გონსალო იგუაინზე. მიუხედავად ამისა, რამოსმა კალორიული საკვების მიღება არგენტინელებს მაინც აუკრძალა. ისინიც ისეთივე რეჟიმით იცხოვრებენ, უფრო მეტს ივარჯიშებენ და ნაკლებს შეჭამენ.

ამასობაში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სამეფო კლუბის ახალი შენაძენის პრეზენტაცია მოეწყო. **ჟულიენ ფობერის** ტრანსფერმა ტრადიციული ლონისძიებების ფონზე ჩაიარა, მაგრამ მის პრეზენტაციასთან ერთი უჩვეულო გარემოება ახლდა. ფრანგი ნახევარმცველის სანახავად მადრიდული გრანდის ისტორიაში ყველაზე ცოტა ცოტა მაყურებელი, 59 ადამიანი მივიდა. დიახ, „რეალის“ არსებობის განმავლობაში ასე ცოტა მაყურებელი არც ერთი ფეხბურთელის პრეზენტაციას არ დასწრებია. გულწრფელად რომ ვილაპარაკოთ, ეს არც არის გასაკვირი, მსოფლიო დონის ვარსკვლავების მნახველი ინჩადა ფობერის პერსონით არ მოიხიბლა და სტადიონზე მისვლა დაიზარა. ამით გულნატკენი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჟულიენი დარჩებოდა, მაგრამ პრესკონფერენციაზე მან ეს არ შეიმჩნია და ამაყად ისაუბრა: *„ბედნიერი ვარ, რომ განგებამ მსოფლიოს ყველაზე დიდ გუნდში მოხვედრის საშუალება მომცა. დაუჯერებელია, მაგრამ 18-ნომრიანი მაისურა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ ალფრედო დი სტეფანომ გადმომცა. აი, ახლა აქ ვარ, მაგრამ თავი ზღაპარში მგონია, კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ დღეს მართლა ჩემი პრეზენტაციაა და სამეფო კლუბის ფეხბურთელი გავხდი. ენით გამოუთქმელ სიხარულს ვგრძნობ. ხუანდე რამოსს განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ. ჩემი ტრანსფერი მისი ინიციატივით გაიჩარხა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მწვრთნელს იმედები არ გავუცრუო. მე სათამაშოდ მზად ვარ. შემიძლია, მომავალ უქმეებზევე ვიასპარეზო. თუ შემადგენლობაში დამაყენებენ, „რასინგთან“ თავს არ დავზოგავ და იმის დამტკიცებას შევეცდები, რომ მადრიდში ტყუილად არ ჩამოვსულვარ.“*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — ედვინ ვან დერ სარი

# ნინ კიდევ ბევრი სიხარულია

## გუნდურ გამარჯვებაში საკუთარი წვლილის შეგრძნება სასიამოვნოა

ედვინ ვან დერ სარი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მეკარეა. მან ერთი თვის წინ "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა. ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ ის კარიერის დასრულებასაც გეგმავს. გარდა ამისა, ჰოლანდიელი პრემიერლიგის ყველა დროის რეკორდსმენი შეიქმნა. მან ჩელსელი პეტრ ჩეხის თითქოს მიუღწეველი რეკორდი დაამხო. 27 თებერვალს "ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრაში მან ზედიზედ მე-11 შეხვედრაში შეძლო კარის მშრალად შენახვა, თუმცა ამაზე არ შეჩერებულა და 31 იანვარს, "ევერტონთან" მატჩში რეკორდს კიდევ ერთი 90 წუთი მიამატა. დღეისთვის მისი სერია უკვე 1122 წუთს შეადგენს. წარმოიდგინეთ, გუნდმა ბოლო გოლი პრემიერლიგაში გასული წლის 8 ნოემბერს, ლონდონის "არსენალთან" თამაშში გაუშვა. როდის დაესმება წერტილი აღნიშნულ ფანტასტიკურ სერიას, ამაზე ფიქრიც კი არ გვინდა. ნუთუ შესაძლებელია ყველა დროის რეკორდთან მიახლოება? შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო სერია "ვასკო და გამას" გოლკიპერ მაზას ფილიოს ეკუთვნის. მან კარის მშრალად შენახვა 1977/78 წლების სეზონში 1816 წუთის განმავლობაში შეძლო. დარჩა 694 წუთი. ბევრია? ძალიან ბევრია, მაგრამ არა შეუძლებელი. ვან დერ საარი უაღრესად ტიტულოვანი ფეხბურთელია. მას კოლექციაში აქვს ჰოლანდიის ჩემპიონატის ოთხი ოქრო, ასევე ინგლისში მოგებული ორი ჩემპიონატი, ორჯერ აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგა. მის კოლექციაშია ასევე საკონტინენტაშორისო თასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ოქრო.

**- ძალიან ბევრი მაღალი კლასის მეკარე, მაგალითად პიტერ შმაიხელი, ფაბიენ ბარტეზი, ოლივერ კანი, იენს ლემანი, ჯანლუიჯი ბუფონი, სახელგანთქმულია თავისი კომუნიკაბელურობით. თქვენ ამ წესისგან გამონაკლისი ხართ. მიგაჩნიათ, რომ მეკარე თავის თავში ჩაკეტილი უნდა იყოს?**

- არა, ვფიქრობ, ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე. მირჩევნია კონცენტრაცია მოვახდინო საკუთარ თამაშზე.

**- ჩემპიონთა ლიგაში ორჯერ გაიმარჯვეთ. რომელი იყო უფრო ფასეული?**

- როგორც წესი, განსაკუთრებული მოგონებები პირველ გამარჯვებას ახლავს ხოლმე თან, მაგრამ ეს იმდენი ხნის წინ მოხდა, ცოტა დავიწყებაც კი მოვასწარი. ასე ხდება ხოლმე, კარიერის მიწურულს უკან იხედები და თავიდან განიცდი ყველა იმ ემოციას, რაც აქტიური ფეხბურთელობისას გამარჯვებების წყალობით შეგიგრძვნია.

**- შეგიძლიათ გაიხსენოთ ის შეგრძნება, რაც მოსკოვური თამაშის დასრულების შემდეგ დაგეუფლათ?**

- ყველაფერი კარგად იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ „ოქროს გოლამდე" არ ვთამაშობდით. გუნდებს ძირითადის დასრულების შემდეგ კიდევ 30 წუთი ჰქონდათ გამარჯვებულის გამოსავლენად. მეტოქესაც ჰქონდა ერთი-ორი შანსი, თუმცა ჩვენც შეგვეძლო რამდენჯერმე თავის გამოჩენა. ბოლოს, პენალტების სერია დაინიშნა...

**- მოგწონთ მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში მონაწილეობა?**

- რა თქმა უნდა, როცა ჩემპიონთა ლიგას იგებ, ეს შესანიშნავი სამუშაოა, მაგრამ როცა აგებ, საშინელებაა ამასთან შეგუება. ბედის მადლობელი ვარ, რომ ის ჩვენს მხარეს იყო.

**- ალბათ გახსენდებოდათ, რომ 1996 წლის ფინალში „იუვენტუსთან" სწორედ თერთმეტმეტრიანების სერიაში წააგეთ...**

- ვფიქრობდი, რომ არ მინდოდა კიდევ ერთი ფინალი წამეგო, თანაც ისევ პენალტების სერიაში. შესანიშნავი იყო, როცა ერთი დარტყმა მოვიგერიე და თასი მოვიგეთ.

**- თქვენი აზრით, ვინ იყო შარშანდელ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის" საუკეთესო ფეხბურთელი?**

- კრისტიანო რონალდო. მან უამრავი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა შარშანდელ სეზონში. თანაც ის წლიდან წლამდე უმატებს. მიუხედავად ყველაფრისა, მას არ შეეძლო ყველა ფრონტზე ერთპიროვნულად წარმატების მოპოვება. მასთან ერთად მოთამაშე ფეხბურთელებსაც მაღალ დონეზე უნდა გვეასპარეზა, ერთმანეთისთვის მხარი უნდა დაგვეჭირა.

**- 2008 წელს მცველების ოთხეული - ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ძალზე კარგად იყო შეთამაშებული. რამდენად მნიშვნელოვანია გუნდისთვის, რომ დაცვითი რედუტები მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად გამოიყურება?**

- ყოველთვის უკეთესია, თუ მეკარეს ერთსა და იმავე ოთხეულთან აქვს საქმე მთელი სეზონის განმავლობაში. თუმცა ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა. ზემოთ ხსენებული ოთხეულის გარდა დაცვაში შეიძლება ითამაშონ ჯონი ევანსმა, ჯონ ო'შიმ. ასევე გამოჯანმრთელდა გარი ნევილი. მარჯვნივ თამაში შეუძლია რაფაელსაც. ერთი სიტყვით, დიდი არჩევანი გვაქვს. მთავარია, ყველა ჯანმრთელად გრძნობდეს თავს და კმაყოფილი იყოს გუნდში მისი როლით.

**- კმაყოფილი ხართ თუ არა, რომ შარშანდელ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა" რეკორდი დაამყარა, გაუშვა რა პრემიერლიგაში სულ რაღაც 22 გოლი?**

- რა თქმა უნდა. თუმცა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მოგებული ოქროს მედლებია, რომელთა მოსაპოვებლად ძალიან ცოტაა, გუნდის კარგი დაცვა, შედეგიანი თავდასხმაც აუცილებელია. მოთამაშეა ისეთ გუნდშიც, რომელიც კიდევ უფრო ცოტას უშვებდა, მაგრამ მაშინ სეზონის ბოლოს ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავედით.

**- შეიძლება თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას ოცნების ხორცშესხმა ვუწოდოთ?**

- არა. ეს არ იყო დიდი ხნის ნაოცნებარი ტრანსფერი, მაგრამ ძალზე წარმატებული კი იყო ჩემი კარიერისთვის. ამ გუნდში გადმოსვლა გაცილებით ადრე შემეძლო, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ გვიან, მაგრამ მაინც მოვხვდი.

**- კონტრაქტის გაგრძელების გადაწყვეტილება ადვილად მიიღეთ?**

- "იუნაიტედთან" ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით მაკავშირებს და ამით კმაყოფილი ვარ. ვთამაშობ უდიდეს კლუბში, შესანიშნავ პარტნიორებთან ერთად, ასე რომ, კონტრაქტის ვადის გაგრძელებაზე ბევრი არ მიფიქრია.

**- თქვენს მდიდარ კოლექციას დეკემბერში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ოქროს მედალი მიუმატეთ. კმაყოფილი ხართ ამ მიღწევით?**

- დიახ, მოხარული ვარ. 1995 წელს „აიაქსის" შემადგენლობაში საკონტინენტაშორისო თასიც მაქვს მოგებული, მაგრამ ამ ჯერზე ყველაფერი უფრო რთულად იყო - ერთის ნაცვლად ჩვენ ორი თამაში ჩავატარეთ. თანაც, 1995 წლის შემდეგ ასაკი მომემატა და ამხელა გზაზე მოგზაურობამ მეტი ძალა წამართვა. დაღლილობაზე აღარ ვწუწუნებ, რადგან გამარჯვებამ ბევრი დადებითი ემოცია მოგვგვარა.

**- შეაფასეთ ფინალური მატჩი „ლიგა დე კიტოსთან".**

- ცოტა პანიკამ მოგვიცვა, როცა ათი ფეხბურთელით დავრჩით. იქამდე თამაშის მიმდინარეობას თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებდით. უმცირესობაშიც კი უკეთესად ვთამაშობდით. ვფიქრობ, მეტოქეს ვიდიჩის გაძევების შემდეგ უფრო უნდა ეაქტიურა. ვერ გეტყვით, შეიძლება ისინი ნერვიულობდნენ, თუმცა სიმართლე გითხრათ, მათგან მეტ ზეწოლას ველოდი ჩემს კარებზე. თამაშის მიწურულს მათ ერთი-ორჯერ სახიფათოდ დამირტყეს. საბოლოო ჯამში, ბურთს ჩვენ მეტად ვაკონტროლებდით.

**- ორჯერ მოახერხეთ გუნდის გადარჩენა ალეხანდრო მანსოს დარტყმების შემდეგ. საკუთარი თამაშით თუ დარჩით კმაყოფილი?**

- მოხარული ვარ, რომ მომენტების განმუხტვა შევძელი, რადგან ყოველთვის სასიამოვნოა, როცა საერთო გუნდურ გამარჯვებაში შენს წვლილს ხედავ. რეალურად რომ ვთქვათ, პირველ ნახევარში მხოლოდ სტატისტის როლში ვიყავი, თუმცა შესვენების შემდეგ კარის მშრალად შესანახად სერიოზული ჯაფა დამადგა.

**- როგორ დაახასიათებდით ადამიანს, რომლის ხელმძღვანელობითაც თქვენმა გუნდმა წარმატებებს მიაღწია ყველა ფრონტზე, სადაც კი იბრძოდა, - სერ ალექს ფერგიუსონს?**

- უდიდესი მწვრთნელია. ფერგიმ კლუბში ძალიან დიდი დრო გაატარა. მოახერხა ყველაფრის მოგება, რისი წარმოდგენაც კი საერთოდ შეიძლება, თუმცა ამის მიუხედავად, ახალი წარმატებებისკენ ისევ ისწრაფვის... ნინ კიდევ ბევრი სიხარული გვაქვს.

**- როგორ გაიხსენებდით გასული წლის ოქტომბერში ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნებას?**

- საერთაშორისო კარიერა ზაფხულზე, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დავასრულე, თუმცა ნაკრებში ძალიან ბევრი ტრავმირებული იყო და ნაკრებიდან მოწვევა მაინც მომივიდა. ძნელ წუთებში ჩემი ქვეყნის მთავარი გუნდის მიტოვება არ შემეძლო. ყველაფერი მშვენივრად დასრულდა. ორივე თამაში მოვიგეთ და ორივეში კარი მშრალად შევინახე. ვფიქრობ, ჰოლანდიას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად მშვენიერი შანსი აქვს.

შალვა ბიბილაშვილი



ვეტერანი



# ტურამმა სარკოზის მინისტრობაზე უარი უთხრა

## ადამიანის გონებას დიდი ევოლუცია სჭირდება იმისთვის, რომ რასიზმი სამუდამოდ და 100 პროცენტით აღმოიფხვრას

ტურინის „იუვენტუსისა" და „ბარსელონის" ყოფილმა ფეხბურთელმა **ლილიან ტურამმა** საფრანგეთის პრეზიდენტის, **ნიკოლა სარკოზის** მიერ შეთავაზებულ უმცირესობების საკითხების მინისტრის პოსტზე უარი განაცხადა. ტურამმა ეს შეთავაზება გასული წლის დეკემბრის ბოლოს მიიღო, მაგრამ მანამდე ეს საკითხი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. საიდუმლოს ლილიანმა „ლე მონდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ახადა ფარდა. ყოფილმა ფეხბურთელმა მისი გადაწყვეტილება ასე შეაფასა: *„სარკოზის რამდენჯერმე შევხვდი. მასთან ხანგრძლივი საუბრები მქონდა. ელისეს გენერალურ მდივან კლოდ გეანთანაც რამდენიმე შეხვედრა გავმართე. ისინი უმცირესობათა საკითხების მინისტრის პორტფელს მთავაზობდნენ. რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო წინადადება იყო, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, უარი მეთქვა. პოლიტიკა ფეხბურთზე გაცილებით სერიოზული სფეროა. მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსს შესაბამისი განათლება უნდა ჰქონდეს. მე მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობდი და ამისთვის არ მეცალა. ნაციონალური და რასობრივი უმცირესობების პრობლემატიკა ძალიან მაინტერესებს. შესაბამისი განათლება რომ მქონოდა, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. გადავწყვიტე, რომელიმე უნივერსიტეტში ვისწავლო და განათლება გავიღრმავო. პოლიტიკაში მოსვლას არ გამოვრიცხავ. ამ ეტაპზე არასრულფასოვანი განათლების გამო შევიკავე თავი."*

37 წლის ტურამმა ფეხბურთს 6 თვის წინ გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაანება თავი. ლილიანს ტყუილად არ უთქვამს, რომ უმცირესობების პრობლემატიკა ძალიან აინტერესებს. მან ფეხბურთის გარდა, ანტირასისტული მოღვაწეობითაც გაითქვა სახელი. ტურამი გულწრფელად წუხს, რომ 21-ე საუკუნეში ისეთი სამარცხვინო მოვლენა, როგორიც რასიზმია, დამარცხებული სულაც არ არის. ევოლუციის მიუხედავად, კაცობრიობა ბოლომდე შეთანხმებული არ არის, რომ ადამიანი კანის ფერის, რელიგიისა და ეროვნული კუთვნილების გამო არ უნდა განასხვავო, თუმცა ტურამი მიიჩნევს, რომ მრავალი პრობლემის მიუხედავად, პროგრესი მაინც თვალსაჩინოა:

*„7 წლის ვიყავი, როცა ჩემმა მშობლებმა გვადელუპედან ევროპაში ჩამომიყვანეს. მას შემდეგ 30 წელი გავიდა. სამწუხაროდ, რასიზმის პრობლემა ბოლომდე არ მოგვარებულა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ სამი ათწლეულის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რასიზმს პირველად 7 წლის ასაკში წავაწყდი. მამაჩემი პარკში მასეირნებდა. ჩვენ არავისთვის არაფერი დაგვიშავებია, მაგრამ სამი ახალგაზრდა მოვიდა და მამაჩემი აბუჩად აიგდო. მასთან ერთად მეც დამცინოდნენ. გულწრფელად მიკვირდა, ბინძურ ლორებს რატომ გვეძახდნენ. ჩვენ ხომ ყოველდღე ვიბანდით ტანს! მაშინ ბავშვი ვიყავი და პრობლემის არსს, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ ჩავწვდი. უბრალოდ, გული მომიკვდა. ჩემი აზრით, რასიზმი რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. ძირითადად განსხვავებული ადამიანის შიშით ან სიძულვილით. საბედნიეროდ, დღეს კონსტიტუცია უფრო მეტად გვიცავს, თავად საზოგადოების შეგნებაც ამაღლდა, მაგრამ საფრანგეთში ყველამ ვიცით, რომ თეთრებსა და შავებს შორის გათიშულობა მაინც არსებობს. რა თქმა უნდა, ფართო საზოგადოებას არ ვგულისხმობ. ეს პრობლემა თავისთავად არ მოგვარდება. ამისათვის სერიოზული და სწორი მუშაობაა საჭირო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიოს არაჩვეულებრივი მაგალითი მისცა. ბარაკ ობამას არჩევით ამერიკამ დაამტკიცა, რომ ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანაა. ღირებულებები თავად ხალხმა გაითავისა და შავკანიანი პრეზიდენტი აირჩია. მჯერა, მოვა დრო, როცა რასიზმის პრობლემა სამუდამოდ გაქრება. ღმერთმა ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანად შექმნა, მაგრამ ევოლუციის პროცესი ჯერ ბოლომდე არ მისულა. ადამიანის გონებას დიდი გზა სჭირდება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ რასიზმი სამუდამოდ და 100 პროცენტით აღმოიფხვრას".*

ილია ნიკოლაიშვილი

ჰერთა

# პანტელიჩი მალე დამთავრდება

## არანაირი ეიფორია, ბერლინში მხოლოდ იმედოვნებენ...



ლუსიენ ფავრს მარკო პანტელიჩი ყელში ამოუვიდა

ბერლინის „ჰერთა" - გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე უაზრო და უკონცეფციო გუნდად წოდებული საფეხბურთო კლუბი, 18 ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ეს ყველას უკვირს. თუ როგორ მოახერხეს დედაქალაქელებმა იმდენი, რომ „ბაიერნსაც" კი უსწრებენ და წესით ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ჩაბმულები არიან, არავინ იცის და ამის ახსნა თვითონ ბერლინელებსაც უჭირთ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „ჰერთა" მეორეა და მხოლოდ „ჰოფენჰაიმს" ჩამორჩება. თუმცა ბერლინში ეიფორია არ შეიმჩნევა. ფანებმა სტადიონზე სვლას უმატეს და „ოლიმპიაშტადიონიც" თითქმის ივსება, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** მოთამაშეებს ჩემპიონობაზე კი არა, ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ლაპარაკსაც კი უკრძალავს. ასე და ამგვარად, „ჰერთა" ჩუმად და შეუმჩნევლად მიიპარება.

შაბათს ფავრის შეგირდებმა ფრანკფურტის „აინტრახტი" დაამარცხეს და ბერლინელთა „მუდმივმა ტკივილმა", თავდამსხმელმა **მარკო პანტელიჩმა** დუბლი შეასრულა. სერბ თავდამსხმელს „ჰერტას" ფანები დიდად აფასებენ, მაგრამ მისი სკანდალები და თავზეხელაღებულობა თითქმის ყველას ყელში ამოუვიდა, განსაკუთრებით კი მწვრთნელს, რომელიც დისციპლინის ფანატიკოსია. „აინტრახტთან" შესრულებული დუბლი კარგია, მაგრამ სერბმა შაბათს ტრავმა მიიღო და გარკვეულია, რომ პარასკევს „არმინიასთან" ვერ ითამაშებს. ეს ერთი მხრივ ცუდია, რადგან როგორც ჩანს, პანტელიჩი კარგ ფორმაშია, მეორე მხრივ კი ძალიან კარგი, რადგან მის არყოფნაში ფავრს იმის საშუალება ექნება, რომ სხვები ათამაშოს. ეს კი უკვე აუცილებელია, რადგან გადაწყვეტილია, რომ ბერლინელები პანტელიჩს ახალ კონტრაქტს არ გაუფორმებენ და ის ზაფხულში გერმანიის დედაქალაქს დატოვებს. შვეიცარიელი მწვრთნელი შეუვალია, - თუნდაც მეორე წრეში 20 გოლი გაიტანოს, აღარ მჭირდებაო.

ფავრსა და პანტელიჩს შორის ურთიერთობა მუდმივი ომია, რომელსაც დასრულება არ უწერია. მწვრთნელმა ბევრჯერ სცადა სერბის მორჯულება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მენტალიტეტებს შორის უბრალოდ უდიდესი განსხვავებაა - პანტელიჩი ალვირახსნილი სერბია, რომელსაც არაფრის გაგონება არ სურს, ფავრი კი პრაგმატული შვეიცარიელი, რომელიც ასეთ ფეხბურთელს ვერასდროს შეეგუება. და თუ არჩევანზე მიდგა საქმე, „ჰერტას" ბოსები, რასაკვირველია, პანტელიჩის გაშვებას ამჯობინებენ, რადგან ამ უკანასკნელს ვერავინ ვერაფერი გაუგო, შეიძლება დღეს ჰეთ-თრიკი შეასრულოს, მომდევნო ხუთ მატჩში კი უბრალოდ ცუდ ხასიათზე იყოს და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულს გაუტოლდეს. ფავრი კი ის კაცია, რომელმაც „ჰერტა" ნელ-ნელა დააბრუნა იქ, სადაც დედაქალაქის გუნდის ადგილია - ცხრილის ზედა ნახევარში და უფრო მეტიც, მეორე ადგილზე. ეს წარმატება კი ერთობ გასაოცარია იმ ფონზე, რომ „ჰერტას" ნამდვილად არ ჰყავს ისეთი შემადგენლობა, რომელსაც ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე ყოფნის პრეტენზია უნდა ჰქონდეს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რაკი ახალ კონტრაქტს არ უფორმებენ, პანტელიჩი იმიტომაც ათამაშდა ასე კარგადო, რასაც ფეხბურთელი კატეგორიულად უარყოფს. *„მე არ ვარ პატარა ბიჭი, რომელსაც ფეხბურთის თამაში მხოლოდ მაშინ უნდა, როცა კონტრაქტი უმთავრდება და ახლის მიღება სურს. და არც ისეა საქმე, რომ მე ახლა უკვე ველი ახალ შემოთავაზებას მხოლოდ იმის გამო, რომ „აინტრახტთან" დუბლი შევასრულე. ყოველთვის ვამბობდი, რომ ბერლინში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ თუ აქ აღარავის ვჭირდები, სხვა სამსახურის პოვნა არ გამიჭირდება,"* - ამბობს სერბი.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ყოველი გოლი, რომელსაც პანტელიჩი სეზონის ბოლომდე გაიტანს, მის ფასს გაზრდის.

ბუნდესლიგის ტრანსფერები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეანდრო კუფრე ჰერტას ფეხბურთელი გახდა

# ჰამბურგმა ყველას აჯობა

სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს გერმანული კლუბები კიდევ გააქტიურდნენ და ბუნდესლიგაში რამდენიმე საინტერესო გარიგება შედგა. მაგალითად, „შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **ფაბიან ერნსტი** თურქეთში წავიდა, „ლევერკუზენმა" ბერძენი თავდამსხმელი **ანგელოს ხარისტეასი** ინათხოვრა. ყველაზე აქტიურები კი მთელი სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში ჰამბურგელები იყვნენ. სულ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა 5 ახალი ფეხბურთელი დაიმატა. ბოლო დღეს კი, „ჰამბურგმა" „შალკედან" **ალბერტ შტრაიტი** გადაიბირა. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტრანსფერი გაჩარხა ბერლინის „ჰერტამ" - დედაქალაქელებმა „მონაკოდან" არგენტინელი მცველი **ლეანდრო კუფრე** გადაიბირეს.

საერთო ჯამში, ბუნდესლიგურმა კლუბებმა 18 მილიონი ევრო დახარჯეს და 40-მდე ახალი ფეხბურთელი დაიმატეს. ზოგადად ბუნდესლიგა მოგებაში დარჩა, გერმანიიდან წასული მოთამაშეების საერთო ფასი 28 მილიონი ევროა. ყველაზე აქტიური კი, როგორც გითხარით „ჰამბურგი" იყო. გაიხსნა თუ არა სატრანსფერო ფანჯარა, ჩრდილოგერმანულმა კლუბმა „მანჩესტერ სიტის" **ნაიჯელ დე იონგი** 20 მილიონ ევროდ მიჰყიდა, რაც ამ სატრანსფერო პერიოდისთვის სარეკორდო შემოსავალია. ამას გარდა, „ჰამბურგმა" ბრაზილიელი ფლეიმეიქერი **ტიაგო ნევესი**, რომელიც გერმანიაში ზაფხულში გადავიდა და რომელზეც უდიდეს იმედებს ამყარებდნენ, „ალ აჰლიში" გაუშვა, ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი **ენის ბენ-ჰატირა** კი „დუისბურგში" გაანათხოვრა. სამაგიეროდ, „ჰამბურგმა" შეიძინა ფრანგი **მიკაელ ტავარესი** (პრაღის „სლავიადან") და ვენესუელელი **ტომას რინკონი** (ტაჩირადან). ბოლო დღეს კი ჰამბურგელებმა „შალკედან" შტრაიტი იყიდეს.

ბოლო დღეს გააქტიურდა „ლევერკუზენიც". „ბაიერმა" ბერძენი თავდამსხმელი **თეოფანის გეკასი** „პორტსმუთში" გაანათხოვრა და სამაგიეროდ, მეორე ბუნდესლიგური „ნიურნბერგიდან" ანგელოს ხარისტეასი ინათხოვრა. მანამდე „ფარმაცევტებმა" „ბაიერნიდან" წლინახევრით არენდის წესით აიყვანეს 19 წლის გამთამაშებელი **ტონი კროოსი**, რაც ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ტრანსფერად ჩაითვალა.

„ჰანოვერმა" უნგრეთის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **ჟაბოლჩ ჰუშტი** სტ. პეტერბურგის „ზენიტს" მიჰყიდა - 2.5 მილიონ ევროდ. ჰუშტის პოზიციას „ჰანოვერში" **იაცეკ კრჟინოვეკი** დაიკავებს, რომელიც „წითლებში" „ვოლფსბურგიდან" გადავიდა.

დაბოლოს: დორტმუნდის „ბორუსიამ" მარჯვენა მცველი **ანტონიო რუკავინა** სეზონის ბოლომდე „მიუნხენ 1860"-ს ათხოვა. 25 წლის სერბს „დორტმუნდთან" კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ვოლფსბურგი

# დიდი გაუგებრობა

## მაგათს ძაკარდო მოგეზრდა, კრჟინოვეკი და სანტანა წავიდნენ

შაბათი **კრისტიან ძაკარდოსთვის** საშინელი გამოდგა. იტალიელი მცველი მეორე წრის პირველ ტურში, „ვოლფსბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ისევ შესვენებაზე, 45 წუთის შემდეგ შეცვალა. რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ 27 წლის ძაკარდომ ისევ ძალიან ცუდად ითამაშა. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც მაგათმა ზაფხულში „პალერმოდან" 7 მილიონ ევროდ იყიდა და მასზე უდიდეს იმედებს ამყარებდა. შესაძლოა, სწორედ ფეხბურთელის დიდი ფასი იყო მიზეზი, რომ „დესპოტი ფელიქსი" თავის შეგირდს პირველ წრეში მუდმივად იცავდა კრიტიკოსებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ძაკარდომ კარგად მხოლოდ თითო-ოროლა შეხვედრაში ითამაშა, მწვრთნელი გამუდმებით იმეორებდა, მის პოტენციალში ეჭვი არ მეპარება, როცა იქნება, იმედებს აუცილებლად გაამართლებსო. მაგრამ შაბათის მატჩის (კიოლნთან) შემდეგ, მაგათსაც აევსო მოთმინების ფიალა და როცა საფინალო სასტვენის შემდეგ ძაკარდოზე ჰკითხეს, პირდაპირ თქვა, მაგის იმედი უკვე აღარ მაქვსო.



მსოფლიოს ჩემპიონმა კრისტიან ძაკარდომ ვოლფსბურგში იმედები ვერ გაამართლა. მას ზაფხულში გაყიდიან

*„დიახ, სრული სიმართლეა ის, რომ ძაკარდო აქაურობას ვერ შეეგუა,* - აღნიშნა „ვოლფსბურგის" მწვრთნელ-მენეჯერმა, - *სამწუხაროდ მე უკვე აღარ მაქვს მისი იმედი."*

იტალიელის საშუალო შეფასება 4.31 ბალია, რაც რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი მაჩვენებელია. მართალია, თვითონ ძაკარდო ამბობს, ნამდვილად არ ვარ „დიდი შეცდომაო", მაგრამ მისი თამაში სხვა ეპითეტს აშკარად არ იმსახურებს. მსოფლიოს ჩემპიონი მარჯვენა მცველია და ამ პოზიციაზე მან „ვოლფსბურგში" თავიდანვე არ გაამართლა - ზედმეტად ზანტი იყო. რაკი მაგათმაც დაინახა, რომ მარჯვენა მცველის რანგში ძაკარდო არ გამოადგებოდა, ნახევარდაცვაში გადასწია და საყრდენად, **ჟოსუეს** გვერდით გაამწესა, სადაც იტალიელმა რამდენიმე ხეირიანი შეხვედრა ჩაატარა. მაგრამ „კიოლნთან" შეხვედრაში ველარც ამ პოზიციაზე ივარგა და თანაც იმდენად ცუდად ითამაშა, რომ მაგათსაც მოთმინების ფიალა აევსო.

*„ყოველთვის მეგონა, რომ იმედებს გაამართლებდა. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ კრისტიანი ის ფეხბურთელი იყო, რომელიც „ვოლფსბურგს" გამოადგებოდა,"* - ნანობს და თავის შეცდომას აღიარებს მაგათი, რომელიც ბევრს ეცადა ძაკარდოს ძირითად შემადგენლობაში ინტეგრირებას. *„რას ვიზამთ, ასეც ხდება ხოლმე. ყოველთვის ყველა ფეხბურთელი იმედებს ვერ გაამართლებს,"* - თავს იმართლებს გამოცდილი მწვრთნელი. მისი სიტყვები კი უკვე ისე ჟღერს, რომ იტალიელს, რომელსაც „მგლებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, ვოლფსბურგელები მალე გაყიდიან.

ასე რომ, ძაკარდო მაგათის „დიდი შეცდომაა". არის თუ არა „ვოლფსბურგისთვის" ასევე დიდი შეცდომა **ჯონათან სანტანაც**, მომავალი გვიჩვენებს. ფაქტი კი ისაა, რომ „მგლებმა" პარაგვაელი ზაფხულამდე არგენტინულ კლუბ „სან ლორენცოში" გაანათხოვრეს. სანტანა „ვოლფსბურგში" 2006 წელს გადავიდა და მას მერე, პირველ სეზონში 18 მატჩი ჩაატარა, მომდევნოში 10, წელს კი მოედანზე მხოლოდ 6 შეხვედრაში იყო. მიმდინარე სეზონში მხოლოდ 4 თამაშში იასპარეზა **იაცეკ კრჟინოვეკმა**, რომელიც მაგათმა „ჰანოვერში" გაუშვა. პოლონელს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა.




ინტერვიუ

ალესანდრო დელ პიერო

# სკუდეტოსთვის ბრძოლა გრძელდება



ისტორია მეორდება, ტურინის „იუვენტუსს" მიმდინარე სეზონში მეორედ დაუდგა რთული დროება და მასმედია კვლავ ალაპარაკდა შესაძლო ცვლილებებზე. უპირველესად ეს გუნდის თავკაცს, კლაუდიო რანიერის ეხება. მის მემკვიდრედ უკვე რამდენიმე სპეციალისტის გვარმა გაიჟღერა. საუბრობენ საკადრო ცვლილებზეც, თუმცა ჯერ ყველაფერი ჭორის დონეზეა. გუშინ „კალჩო 2000"-ში საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა - ჟურნალისტი „ვეკია სინიორას" კაპიტან ალესანდრო დელ პიეროს გაესაუბრა...

**- რამ განაპირობა „კალიარისთან" მარცხი?**

- ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ასახსნელი ბევრი არაფერია. „კალიარიმ" შესანიშნავად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. სარდინიელებმა კონტრიერიშებზე ააგეს თამაში და სამი გოლი გაგვიტანეს. მინდა კომპლიმენტები ვუძღვნა მეტოქეს, მათ ორგანიზებული და გამართული ფეხბურთი შემოგვთავაზეს. ასეთ გუნდებთან თამაში ყოველთვის რთულია და ამ მარცხში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ.

**- „იუვენტუსი" აშკარა ფავორიტი იყო, ელოდით ასეთ სირთულეებს?**

- უცნაურ კითხვებს სვამთ. „კალიარი" სამოყვარული გუნდი ნამდვილად არ არის, რომ მისგან სირთულეს არ ელოდო. სარდინიელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, რომელმაც თავისი ძალა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. სერია A-ში შემთხვევითი გუნდები არ ასპარეზობენ და თითოეულთან დიდი სიფრთხილეა საჭირო. შეგახსენებთ, რომ ორიოდე ტურის წინ „კალიარიმ" რომში „ლაციო" გააკრა ბეჭებზე. ასე რომ, დაზღვეული არც ერთ შეხვედრაში არ ვართ.

**- ასეა თუ ისე, „იუვენტუსმა" სეზონი ცუდად განაახლა, ეს კრიზისია?**

- მართლაც ცუდად ვთამაშობთ და ამის უარყოფა სისულელეა. ბოლო ორი თამაში წავაგეთ და შესაძლებელი ექვსი ქულიდან, ვერც ერთი ავიღეთ. გუნდში რაღაც მოშლილია და მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებაა საჭირო. თუმცა ჩავარდნასა და კრიზისზე საუბარი მაინც ნაადრევი მგონია. ყველაფერი ჩვენს ხელშია და შეგვიძლია სკეპტიკოსები შემდეგ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებით გავაჩუმოთ. ჩვენთან ხომ ყველაფრის გაზვიადება უყვართ, ერთი მატჩი შეუძლიათ კრიზისად, ან ალმავლობის დასაწყისად მონათლონ. სინამდვილეში, ყველაფერი გაცილებით უფრო კომპლექსურია.

**- მესამე ადგილი და შვიდქულიანი სხვაობა „ინტერთან", სკუდეტოსთვის ბრძოლა რეალურია?**

- რა თქმა უნდა. სკუდეტოს მოპოვება ჯერ კიდევ ძალგვიძს და მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებთ. ბოლო კვირეები მართლაც საშინელი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები ჩამოვყარეთ და დასახულ მიზნებზე ხელი ავიღეთ. შვიდი ქულა არ არის ის ფორა, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია. „იუვეს" აქვს იმის რესურსი, რომ პირველობისთვის ბოლომდე იბრძოლოს. სეზონის ნახევარი წინ არის და დღეს ბრძოლის შეწყვეტაზე საუბარი, არამართებულია.

**- ამის თქმის საფუძველს ალბათ ის გაძლევთ, რომ არც „ინტერია" მონწოდების სიმაღლეზე.**

- ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ „ინტერის" ნაფორხილებით ვერ ვისარგებლეთ. „ნერაძურიმ" რამდენიმე ქულა დაკარგა და შეგვეძლო ახლა სულ სხვა პოზიციაში ვყოფილიყავი. თუმცა, რაც იყო, - იყო, ახლა სინანულის დრო არაა და უმჯობესია, წინ ვიყუროთ. „ინტერი" კიდევ დაკარგავს ქულებს, ჩვენ კი მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. „ინტერისგან" განსხვავებით, დაუგეგმავი ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს.

**- არაფერი გვითქვამს „მილანზე", არადა ეს გუნდი მეორე ადგილზეა.**

- „მილანი" ისეთივე კონკურენტია, როგორიც „ინტერი". „როსონერის" ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და ეს ცხადზე უცხადესია. თუმცა კონკურენტებს არ უნდა ვუყუროთ, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და მთავარი სწორედ ეს არის. უნდა ვეცადოთ, რომ თითოეულ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ. ცხრილის ყურება ჯერ ნაადრევია, ამას ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით ვამბობ.

**- რას გეუბნებათ თქვენი გამოცდილება?**

- სკუდეტო არაერთხელ მომიგია და ვიცი, რას ნიშნავს ამ მარათონში მონაწილეობა. როდესაც „იუვე" თამაშს თამაშზე იგებდა, ჩვენ კონკურენტებზე ნამდვილად არ ვფიქრობდით. უბრალოდ, უნდა გახვიდე მოედანზე და შენი თამაში მოიგო. სწორედ ასეთი ცივსისხლიანობით მოდის წარმატება. დღევანდელ „იუვენტუსს" ამის ნიშნები ნამდვილად აქვს, თუმცა ჯერ სტაბილურობა გვაკლია. დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში ეს თავისთავად მოვა.

**- სტაბილურობას კლაუდიო რანიერი მოიტანს თუ რომელიმე სხვა მწვრთნელი?**

- რანიერის წასვლაზე პრესა აქტიურად წერს, თუმცა ეს ყველაფერი ჭორი მგონია. რანიერი მშვიდად განაგრძობს მუშაობას და ბოლო წარუმატებლობისგან ტრაგედიას არ ქმნის. ასეთი რამ უკვე მეორედ ხდება ამ სეზონში და ეს მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. გახსოვთ ალბათ, რომ სეზონის სტარტზე არც თუ დამაჯერებლად გამოვიყურებოდით, შემდეგ კი მოვუმატეთ და მოგებათა ბრწყინვალე სერია გამოვაცხვეთ. მაშინაც ბევრს საუბრობდნენ რანიერის გადადგომაზე, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. კონკრეტული გვარებიც სახელდებოდა, „იუვეს" მწვთნელად ხან რობერტო დონადონის ნიშნავდნენ, ხანაც ჩირო ფერარას.

**- დავიდ ტრეზეგე მოედანს დაუბუნდა, „იუვეს" ტიფოზებისთვის ეს დიდი სტიმულია.**

- მართლაც ასეა, რადგან ტრეზეგე გოლის გარანტია. ფრანგს დიდხანს ველოდით და დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ჩვეულად ათამაშდება. საერთოდ, მიმდინარე სეზონში ტრავმებმა გაგვტანჯეს. თანამედროვე ფეხბურთში კალენდარი ძალიან გადატვირთულია და გრძელ სათადარიგოთა სკამს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ამას მოკლებულნი ვიყავით და ბუნებრივია, ამან მეტად გაგვირთულა მდგომარეობა. რომ არა ახალგაზრდა ფეხბურთელების შესანიშნავი თამაში, კიდევ უფრო დიდ პრობლემებს წავაწყდებოდით.

**- ამაური სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს?**

- ზემოთ სწორედ ფეხბურთელთა დიდ არჩევანზე ვსაუბრობდი. დიდ კლუბში როტაციის პროცესი აუცილებელია. ამაურის, ტრეზეგეს, იაკვინტას, ჯოვინკოს და თუნდაც მე, სათამაშო პრაქტიკა არ მოგვაკლდება. თითოეულ ჩვენგანს ჩვენი როლი გვაკისრია, რომელიც პირნათლად უნდა შევასრულოთ. რეჟისორი კი კლაუდიო რანიერია და როლებს სწორედ ის ანაწილებს. ბოლო შეხვედრებში, „მილანის" ძირითადში ვერ ხვდება რონალდინიო, მაგრამ განა შეიძლება ვთქვათ, რომ იგი სათადარიგო ფეხბურთელია? ვფიქრობ, რომ არა.

**- „იუვენტუსს" რამდენიმე ფეხბურთელის გვარს უკავშირებენ, მათ შორის გახლავთ ბრემენის „ვერდერის" ნახევარმცველი დიეგო.**

- რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას „ვერდერში" სურს კარიერის გაგრძელება. დიეგო ძალიან კარგი ფეხბურთელია და „იუვეს" მაისურით სიამოვნებით ვიხილავდი, თუმცა ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას მწვრთნელი განსაზღვრავს და მისთვის რჩევის მიცემას არ ვაპირებ. ბუნებრივია, მაღალი კლასის ფეხბურთელი მხოლოდ გააძლიერებს გუნდს და დიეგო სწორედ ასეთ მოთამაშეთა რიცხვს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსი" მთლიანობაში დამაკმაყოფილებელ შედეგს აჩვენებს, გაძლიერების აუცილებლობაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩვენ იმ სიმაღლეზე უნდა დავბრუნდეთ, რომელზეც კალჩოპოლამდე ვიდექით.

**- რომელმა ფეხბურთელმა გაგაოცათ მიმდინარე სეზონში?**

- ასეთი რამდენიმეა. ზემოთაც ვთქვი, რომ ახალგაზრდებმა დიდი ტვირთი ზიდეს და დღესაც ზიდავენ. შესანიშნავად გამოიყურებიან: დე ჩელიე, მარკიონი, მარკიზიო, მოლინარო, ჯოვინკო. ეს „იუვენტუსის" მომავალია, ისინი ხვალ დიდ საქმეებს დაატრიალებენ. თუმცა, რაღა ხვალ, ეს ფეხბურთელები აწმყოსაც ქმნიან. ის, რომ „იუვე" პირველობისთვის იბრძვის და ცხრილში მოწინავეთა შორის გახლავთ, პირველ რიგში, მათი დამსახურებაა.

**- არც მთლად მასეა საქმე, ამ სეზონში შეუდარებელი ხართ და ამაზე თქვენს მიერ გატანილი გოლებიც მოწმობს.**

- საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. გუნდში დიდებული ატმოსფეროა შექმნილი და ეს ჩემზეც დადებითად მოქმედებს. „იუვე" დღეს ერთ მუშტად შეკრული გუნდია და ასე, ნებისმიერი მიზნის მიღწევა ძალგვიძს. ჩავარდნა თუ კრიზისი მალე დაიძლევა და ჩვენს სათქმელს აუცილებლად ვიტყვით.

**ლაშა ნიკლაური**

გაურკვევლობა

# ვინ დაბლოკა ამაურის ბრაზილიური დებიუტი



გუშინდელი იტალიური პრესა **ამაურის** სურათებით გახლდათ აჭრელებული. საქმე ისაა, რომ **კარლოს დუნგამ** ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში კარვალიოს გამოძახება გადაწყვიტა და ფეხბურთელს პირადად შეეხმიანა. შეგახსენებთ, რომ 10 თებერვალს პენტაკამპეონები იტალიის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ფორმალურად ამაურის „სელესაოშიც" შეუძლია თამაში და „აძურაშიც". აქამდე, დუნგა კარვალიოს მიმართ ინტერესს არ იჩენდა და ფეხბურთელსაც იტალიის ღირსების დაცვა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა, გუშინდელი ამბავის შემდეგ, ყველაფერი თავდაყირა დადგა. როგორც იტალიური პრესა იუწყება, „იუვენტინომ" დუნგას წინადადება მიიღო და ყვითელი მაისურის მორგებას დათანხმდა. თუმცა აქ საქმეში „ვეკია სენიორა" ჩაერია და 10 თებერვლისთვის ფეხბურთელის გაშვებაზე უარი განაცხადა. ფიფას რეგლამენტით, „იუვეს" მესვეურებს აქვთ იმის უფლება, რომ კარვალიო ნაკრებში არ გაუშვან.

მოკლედ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამაურის სანაკრებო დებიუტი კიდევ გარკვეული დროით გადაიდოს. თუმცა, ამ ამბავს არ ურიგდება კარლოს დუნგა და საკითხის გატანას ფიფაში აპირებს. მისი თქმით, აქ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელი ურევია - აქაოდა, მათ კარვალიო „აძურასთვის" ჰყავთ შეგულებულიო. ერთი სიტყვით, ამაურის საგას ბოლო არ უჩანს და ალბათ, ყველაფერს თავად ფეხბურთელმა უნდა დაუსვას წერტილი.

**ლაშა ნიკლაური**

ბუცები ლურსმანზე

# ფილოსოფოსის კაპიტულაცია

## სანიოლი დანებდა, კარიერა დასრულებულია!

...შესაძლოა, „მონაკოში" წავიდეს და ამ გუნდის სპორტული დირექტორი გახდეს, ეპატიჟებიან ფრანგულ ტელევიზიებშიც და სატელევიზიო ექსპერტის პოსტს სთავაზობენ. ერთი რამ ფაქტია: „ბაიერნის" ფრანგი მცველი **ვილი სანიოლი** ფეხბურთს ველარასოდეს ითამაშებს. და კიდევ: მიუნხენი ყოველთვის ის ქალაქი იქნება, სადაც თავს იდეალურად იგრძნობს. გუშინწინ 31 წლის მარჯვენა მცველმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ იძულებული შეიქნა, აქტიური სპორტული კარიერა დაასრულოს. ოპერაცია მან 2008 წლის აგვისტოში გაიკეთა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ პრობლემები იმდენად სერიოზულია, რომ ექიმებმა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება ურჩიეს. მიუხედავად უდიდესი სურვილისა, მოედანზე დაბრუნებულიყო, ვილის აქტიური სპორტსმენის რანგში ველარ ვიხილავთ.



ვილი სანიოლი იძულებულია, ფეხბურთის თამაში დაასრულოს

„ბაიერნის" ხელმძღვანელები 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს გამოსათხოვარ საღამოს მაისის ბოლოს მოუწყობენ, რის შემდეგაც სანიოლი სამშობლოსკენ აიღებს გეზს. „ვილის ტრანსფერი ჩემთვის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული იყო. სანიოლი ნამდვილი პროფესიონალია, რომელიც თავის საქმეს ყოველთვის უმაღლეს დონეზე აკეთებდა, რის გამოც გახდა კიდეც ბევრისთვის მისაბაძი მაგალითი. ის, რომ კარიერის დასრულება უხდება, საშინელებაა. „ბაიერნს" მისი, როგორც დიდი ფეხბურთელის და გენიალური ადამიანის ღირსეული შემცვლელის პოვნა ძალიან გაუჭირდება," - განაცხადა რეკორდმაისტერის მენეჯერმა **ული ჰიონესმა**.

*„დეპრესიაში ვარ, რადგან კარიერის დამთავრება ძალიან არ მინდოდა. ექიმებმა მითხრეს, რომ ჩემი მოედანზე დაბრუნება გამორიცხული და დაუშვებელია. მთელი ევროპა მოვიარე, ვინ აღარ გამსინჯა, ყველა მეუბნება, რომ ბუცები ლურსმანზე უნდა ჩამოვკიდო. გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. არადა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდოდა, რომ ფეხბურთი კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში მეთამაშა. მაგრამ რას ვიზამ, ჩემს ორგანიზმს უბრალოდ აღარ შეუძლია და მეც იძულებული ვარ, აქტიურ სპორტზე უარი ვთქვა. ფეხბურთი გენიალური რამაა, მაგრამ ჯანმრთელობა ნებისმიერი ადამიანისთვის უპირველესია. ძალიან ცუდად ვარ, რადგან ჩემი კარიერის დასასრული აბსოლუტურად სხვაგვარად წარმომედგინა. „ბაიერნში" გატარებული 8 წელიწადი არასდროს დამავიწყდება,"* - ეს კი თვითონ სანიოლის სიტყვებია.

ამრიგად, „ბაიერნის" ფანების მიერ „ფილოსოფოსად" წოდებულმა ფეხბურთელმა კაპიტულაცია გამოაცხადა...

**გოტფრიდ ლენცი**

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარი სენ ჟერმენი

# შარლ ვილნევის შეცდომა

## პსჟ-ში როცა ყველაფერი ცუდად არის, მწვრთნელს აგდებენ, როცა კარგად, პრეზიდენტს

იმდღეს "პარი სენ ჟერმენმა" თასზე გასვლითი შეხვედრა 3:0 მოიგო. ეს მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი ფეხბურთელების მთელი არმია აკლდა... მაგრამ თამაშის ხარისხი, შედეგი გულშემატკივარს ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო ერთი რამ: როგორ ხასიათზე გამოვიდოდა სათამაშოდ გუნდი მას შემდეგ, რაც კლუბში პრეზიდენტის მორიგი გადადგომის ფაქტი დადასტურდებოდა. ყველამ იცის, რომ "პარი სენ ჟერმენი" ძალზე სპეციფიკური გუნდია – ცხოვრობს რა საფეხბურთო საფრანგეთის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ და, როგორც არავის მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჰყავს უთვალავი ფანი, რომელთა შორისაც ძნელად თუ შეხვდებით ცივსისხლიან წარმომადგენელს. ოქროს შუალედი ხსენებული კლუბის მიმართ არ არსებობს - ის ან ძალიან უყვართ, ან ძალიან ეჯავრებათ. ბოლო წლებში ყოველი სეზონის დაწყებამდე კლუბის ხელმძღვანელობა აკეთებს ხმამაღალ განცხადებებს, გულშემატკივარს წარუდგენს "პარი სენ ჟერმენის" განვითარების საოცრად ამბიციურ გეგმებს, რომელთა დახმარებით დედაქალაქური გრანდი, ბოლოს და ბოლოს, ღრმა კრიზისიდან უნდა გამოვიდეს და ჩემპიონატში წამყვანი პოზიციები დაიბრუნოს. თუმცა პარიზელთა სიამაყე წლიდან წლამდე საშინლად ასპარეზობს. ხანდახან საქმე იქამდეც მიდის, რომ მათ გადასარჩენად ჩემპიონატის დასრულებამდე 2-3 ტურით ადრე სასწაულია საჭირო... და მაინც, ეს სასწაული ყოველთვის ხდება და გუნდი თავს ლაფის დასხმას გაურბის.

გასული წლის მაისში "პარი სენ ჟერმენი" მორიგმა პრეზიდენტმა ჩაიბარა, ასე განსაჯეთ და, მე-12-მ კლუბის არსებობის 39-წლიან ისტორიაში. ახალი პრეზიდენტი სულითა და გულით პარიზელი, ყოფილი ჟურნალისტი, 67 წლის **შარლ ვილნევი** გახდა. ეს ადამიანი წლების განმავლობაში მუშაობდა პოპულარულ ფრანგულ ტელეარხის TF1-ზე. მოსიე შარლი კომპანიის ერთ-ერთი სახე იყო. ერთ მშვენიერ დღესაც ის სპორტული რედაქციის ხელმძღვანელად დანიშნეს. კი მაგრამ, როგორ მოხვდა გამოცდილი ჟურნალისტი "პარი სენ ჟერმენში"? მოგეხსენებათ, 2006 წელს კლუბში საშინელი ფინანსური კრიზისი მძვინვარებდა. ფრანგული ფეხბურთის ყველაზე პოპულარული წარმომადგენელი გაკოტრებისგან ამერიკულმა საინვესტიციო კომპანია ColonyCapital-მა იხსნა, რომელმაც კლუბის აქციათა 62,5 % შეისყიდა. სწორედ აღნიშნული ფირმის ევროპულ ოფისს ხელმძღვანელობდა ვილნევის ახლო მეგობარი **სებასტიან ბაზენი**. ვილნევმა არა მხოლოდ განაცხადა, კლუბში რადიკალურ რეფორმებს ვიწყებო, არამედ საქმის კეთებას შეუდგა. ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად მან კლუბში მთელი თანავარსკვლავედი გადმოიბირა: **კლოდ მაკელელე, ლუდოვიკ ჟიული**... იგეგმებოდა "ბარსელონიდან" **ლილიან ტურამის** გადმოყვანაც, მაგრამ ვეტერანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების გამო ფეხბურთთან გამოთხოვება მოუხდა. ვილნევის გათვლით, გამოცდილ ფეხბურთელებს განსაკუთრებული წესრიგი უნდა დაემყარებინათ გუნდში, ის ერთ მუშტად შეეკრათ. ამას გარდა, სასურველი იყო, ვარსკვლავები მინდორს მიღმა მთავარი მწვრთნელის **პოლ ლე გენის** მთავარ დასაყრდენ ძალად ქცეულიყვნენ. ვილნევმა ისარგებლა რა მის მიმართ სებასტიან ბაზენის განსაკუთრებული ნდობით, კლუბის დირექტორთა საბჭოს ფული დასცინცლა არა მხოლოდ გამოჩენილი ფეხბურთელების, არამედ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეებისთვისაც.

საკადრო გადაადგილებები "პარი სენ ჟერმენს" აშკარად წაადგა. ახალმა კაპიტანმა კლოდ მაკელელემ თანაგუნდელთა შორის უმალ მოიპოვა ავტორიტეტი და მკაცრად შეუდგა გუნდის შიგნით წესრიგის დამყარებას. ვილნევმა დიდი შნო გამოავლინა საორგანიზაციო საკითხებში. შედეგად, გუნდის თამაშში გაჩნდა სტაბილურობის პირველი ნიშნები. გულშემატკივარმა იმედით დაიწყო მომავლისკენ ყურება. პოლ ლე გენის შეგირდები წარმატებით გამოდიან უეფას თასზე, საფრანგეთისა და ლიგის თასებზე, უმიზნებენ ჩემპიონთა ლიგის საგზურს. ერთი სიტყვით, მოყვარე სტაბილურობით ხარობს, მტერს ამის გამო გული უსკდება. და აი, სწორედ ამ დროს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა...

ყველაფერი წერილით დაიწყო... არა, "გრაფ დე მონტე კრისტოს" სიუჟეტს არ გიყვებით. გაუგებრობები მართლა კლუბის აქციონერთა საბჭოსადმი შარლ ვილნევის წერილით დაიწყო. მოგვიანებით, აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა აღიარა, რომ ეს უმძიმესი შეცდომა იყო მისი მხრიდან. ჯობდა, წერილის ადრესატი არა ზოგადად საბჭო, არამედ მისი მფარველი სებასტიან ბაზენი ყოფილიყო. კი მაგრამ, რა ეწერა ასეთიო, იკითხავთ თქვენ. მოსიე შარლი აქციონერებს რამდენიმე კითხვას უსვამდა კლუბის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გამო. შეკითხვები თავისთავად არ გაჩენილა. ვილნევმა "პარი სენ ჟერმენის" ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის, **ჟერომ დე მეცოს** მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიში შეისწავლა, სადაც ეწერა, რომ კლუბს 15 მილიონ ევრომდე ვალი ჰქონდა დაგროვილი. ბოლოს, რეკომენდაციის სახით, მითითებული იყო, რომ სასურველი იყო, ვალის შესამცირებლად რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გაეყიდათ. მმართველთა საბჭომ, სებასტიან ბაზენის თავკაცობით, ინიციატივა აიტაცა. გაჩნდა კონკრეტული გეგმაც: უნდა გაეყიდათ უნივერსალი შემტევი ნახევარმცველი **სტეფან სესენიონი** ან ცენტრალური თავდამსხმელი **გილემ ოარო**. ვილნევი საბჭოს გადაწყვეტილებით იმდენად აღშფოთდა, რომ მოურიდებლად განაცხადა, იმის მაგივრად, რომ კლუბის შემდგომ გაძლიერებაზე იზრუნოთ, ფინანსური ღრიჭოების შესავსებად ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელებს ყიდითო. მან კატეგორიულად მოითხოვა უფლებების გაზრდა, რათა შესძლებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, სურვილის შემთხვევაში, დაებლოკა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა, კლუბის ადმინისტრაციის წევრები ერთიმეორის მიყოლებით გადადგნენ. აქციონერთა საბჭომ ვილნევს დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე შეუწყვიტა უფლებამოსილება. გადაწყვეტილება საბოლოოდ გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს. "პარი სენ ჟერმენში" აღნიშნული სხდომა გუშინდელი დღისთვის იყო დანიშნული, სადაც უნდა აერჩიათ კიდეც ახალი პრეზიდენტი.

ახლო მეგობრები ვილნევი და ბაზენი ერთი გაზეთის რედაქციიდან მეორეში, ერთი სატელევიზიო არხის ეთერიდან მეორეში მიდიან და ყველას უმტკიცებენ, რომ კლუბში ყველაფერი კარგადაა. ავტორიტეტულმა "ლე მონდმა" გაიხსენა ფრთიან ფრაზად ქცეული გამოთქმა, როცა "პარი სენ ჟერმენში" ყველაფერი ცუდადაა მწვრთნელს აგდებენ და როცა ყველაფერი კარგად მიდის, პრეზიდენტსო.

აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ პსჟ-ის ყველა პრეზიდენტის ვინაობას:

| | |
|---|---|
| 1. პიერ-ეტიენ გუიო | (1970/71) |
| 2. გი კრესანი | (1971) |
| 3. ანრი პატრელი | (1971/73) |
| 4. დანიელ ეშტერი | (1973/78) |
| 5. ფრანსის ბორელი | (1978/91) |
| 6. მიშელ დენიზო | (1991/98) |
| 7. შარლ ბიეტრი | (1998) |
| 8. ლორან პერპერი | (1998/03) |
| 9. ფრანსის გრაი | (2003/05) |
| 10. პიერ ბლაიო | (2005/06) |
| 11. ალენ კაიზაკი | (2006/08) |
| 12. შარლ ვილნევი | (2008) |



ტრანსფერი



# როგორც იქნა, გადაწყდა

## ლონდონელი მამლების უცნაური გასართობი

წუხელვე გაცნობეთ, რომ „ლივერპულმა" **რობი კინი** უკან, „ტოტენჰემს" დაუბრუნა. ზაფხულზე მერსისაიდელებმა ფეხბურთელში 20.2 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, თუმცა მან ვერაფრით დააჯერა **რაფაელ ბენიტესი**, რომ გუნდისთვის საჭირო ფიგურა შეიძლებოდა გამხდარიყო. გავრცელდა რამდენიმე ინფორმაცია სატრანსფერო თანხასთან დაკავშირებით, ყველაზე სანდო წყაროს ცნობით კი ენფილდელებმა ირლანდიელი 15 მილიონად გაყიდეს. უკვე აღვნიშნეთ, რომ „ტოტენჰემმა" ერთგვარ გართობად აქცია ცოტა ხნის წინ გაშვებული ფეხბურთელების უკან, „უაით ჰართ ლეინზე" დაბრუნება. შეგახსენებთ, რომ **ჰარი რედნაპმა** გუნდში დააბრუნა „სანდერლენდში" გასული წლის ზაფხულში გაშვებული **პასკალ შიმბონდა** და „პორტსმუთში" ერთი წლით „განათხოვრებული" **ჯერმეინ დეფო**. სამწუხაროდ, კინსა და „ტოტენჰემს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება. *„გასული წლის ზაფხულში ჩვენ ძალიან არ გვინდოდა, რომ რობის „უაით ჰართ ლეინი" დაეტოვებინა, მაგრამ გავითვალისწინეთ რა, რომ მას კლუბის წინაშე დიდი დამსახურება ჰქონდა, ნება მივეცით კარიერა „ლივერპულში" განეგრძო. დღეს კი ჩვენ მოხარულები ვართ, გაცნობოთ, რომ თავდამსხმელი დავიბრუნეთ"*, - განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **დენიელ ლევიმ**.

ლონდონურმა კლუბმა პრაღის „სლავიაში" გაანათხოვრა 19 წლის ნიჭიერი ჩეხი თავდამსხმელი **ტომაშ პეკჰარტი**. ფეხბურთელი სამშობლოში, როგორც მინიმუმ, ერთ წელიწადს გაატარებს. კონტრაქტი სწორედ ამ დროზე გახლავთ გათვლილი. გეტყვით, რომ იუნიორი ფეხბურთელი ლონდონში 2006 წელს გადაბარგდა და მას შემდეგ „ტოტენჰემის" იუნიორთა გუნდებში ასპარეზობს. პროფესიული დებიუტი „მამლების" რიგებში მას ჯერაც არ ჰქონია. იმის გათვალისწინებით, რომ კინის ყიდვის შემდეგ გუნდს ოთხი მაღალი კლასის თავდამსხმელი დაუგროვდა, **დარენ ბენტი, დმიტრი პავლუჩენკო**, ჯერმეინ დეფო და რობი კინი, ჩეხის სათამაშო პრაქტიკის საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა. შესაბამისად, მოთამაშის შემდგომი ზრდისთვის მისი „სლავიაში" იჯარით გაშვება ერთადერთი ლოგიკური გადაწყვეტილება იყო.

„ბოლტონი"-"ტოტენჰემის" მატჩში ლონდონელთა ახალწვეული ჯერმეინ დეფო არათუ სასტარტო შემადგენლობაში, სათადარიგოთა სკამზეც არ გამოჩენილა. როგორც აღმოჩნდა, წინა დღით ის სერიოზულად დაშავდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ თავდამსხმელს მარჯვენა ტერფის ძვალი აქვს გატეხილი და გუნდს 9-10 კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება... მას უახლოეს დღეებში ოპერაცია ელის. უკვე შეიძლება იმის წინასწარმეტყველება, რომ დეფო „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ინგლისის ლიგის თასის ფინალურ მატჩს გამოტოვებს, რომელიც 11 მარტს „უემბლიზე" გაიმართება.

ბრიტანულ პრესაში გუშინვე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა თანხები დახარჯეს პრემიერლიგურმა კლუბებმა იანვრის სატრანსფერო ბაზარზე. ზუსტად თქმა, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ თანხამ დაახლოებით 160 მილიონ გირვანქას მიუკაკუნა. ყველაზე მეტი „მანჩესტერ სიტიმ" დახარჯა - 50 მილიონი, მეორეზე „ტოტენჰემი" გავიდა 45 მილიონით. ინგლისელებს ისევ საამაყოდ აქვთ საქმე. ისინი ზამთრის დანახარჯებით ევროპის მასშტაბით ისევ პირველ ადგილზე არიან.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

### ფულჰემმა ვეტერანები მიიწვია

რამდენიმე დღის წინ ლონდონელებმა სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გაუფორმეს საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს, ვეტერან ნახევარმცველ **ოლივიე დაკურს**. შეგახსენებთ, რომ 34 წლის საყრდენმა ბოლო სამი წელიწადი მილანის „ინტერში" გაატარა, თუმცა „ნერაძურის" ძირითად ფეხბურთელად ის არასოდეს მიიჩნეოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან შავ-ლურჯი მაისურა სულ 34-ჯერ მოიგო. **როი ჰოჯსონის** დაჟინებული მოთხოვნით „ფულჰემმა" ორთვენახევრიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა ვეტერან ამერიკელთან, 36 წლის **ბრაიან მაკბრაიდთან**. ფეხბურთელი ამჟამად „ჩიკაგო ფაიერს" ეკუთვნის. ამ უკანასკნელის დამატება კლუბს იმ ელემენტარული მიზეზით დასჭირდა, რომ გუნდის მთავარ ბომბარდირად მიჩნეულ **ბობი ზამორას** მიმდინარე სეზონში სულ რაღაც ერთი გოლი აქვს გატანილი.

### უოლკოტი ვარჯიშს მარტში განაახლებს

„არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** გუშინწინ პრესას **თეო უოლკოტის** ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბოლო ინფორმაცია გააცნო. შეგახსენებთ, რომ თინეიჯერმა ვარსკვლავმა მხრის ტრავმა 19 ნოემბერს გერმანიასთან ამხანაგური მატჩის წინადღეს გამართულ ვარჯიშზე მიიღო. „არსენალის" ფრანგ თავკაცს ეტყობა, გული უგრძნობდა. ის ჯერ კიდევ შეგირდის დაშავებამდე აპროტესტებდა მძიმე სათამაშო გრაფიკის პირობებში არცთუ იოლი ამხანაგური თამაშის დანიშვნას. *„ოთხი კვირის შემდეგ თეო მის მკურნალ ექიმთან უნდა გამოცხადდეს. წესით, ამის შემდეგ მან უნდა მიიღოს სრული დატვირთვის ვარჯიშის ნება,"* - განუცხადა „მეთოფეთა" საიტს არსენ ვენგერმა.

ყინულის ჰოკეი | ბორჯომის თასი



# ბაკურიანმა სომხებს იოლად სძლია

**მიმინო-სომხეთი 3:0**

მიმინო: 1. ამბროლავა; 66. გეფერიძე, 13. გ. ჯეირანაშვილი, 68. გ. ჯეირანაშვილი, 55. გოგიჩაიშვილი, 99. ოგანეზიანი, 69. მინასიანი, 8. აკოპიანი, 5. ხუციშვილი, 88. მეტრეველი, 4. ოგანეზოვი.

სომხეთი: 20. ბალუიანი; 4. ბალინიანი, 16. ავეტისიანი, 18. პეტროსიანი, 10. ვასიშევი, 24. რ. ხაჩატრიანი, 5. მარგარიანი, 7. გ. სარგსიანი, 13. ა. სარგსიანი, 8. პეტროსიანი, 22. ს. ხაჩატრიანი, 21. ლ. ხაჩატრიანი, 19. გევორგიანი, 11. ხანგელდიანი, 17. მელიქსეტიანი.

**მიმინო-სომხეთის ახ. ნაკ. 3:0**

(1:0; 1:0; 1:0).

გიორგი ჯეირანაშვილი (68) - 18:54; გოჩა ჯეირანაშვილი (13) - 34:10; ამირან გეფერიძე (66) - 45:37 (ვ. გოგიჩაიშვილის (55) პასით).

გაძევება: გიორგი ჯეირანაშვილი (68); გოჩა ჯეირანაშვილი (13) მიმინო; დავით ავეტისიანი (16); გევორგ მარგარიანი (5); სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები. - 42:38 5 წთ. ჩხუბი.

კარში დარტყმები 47-7 (17-2; 17-4; 13-1)

ბორჯომის თასზე პირველი მატჩი შედგა. თამაშამდე მღელვარება შეინიშნებოდა მთელ ბაკურიანში. ყველა ინტერესით ელოდა პირველი საერთაშორისო ტურნირის პირველი მატჩის მსვლელობასა და შედეგს. ბაკურიანის „მიმინო" სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს უპირისპირდებოდა, რომელიც, მართალია, ლეგიონერების დიდ ნაწილს მოისაკლისებდა, მაგრამ მაინც დიდი შემართებით ეწვია საქართველოს.

ჟურნალისტებიც აქტიურობდნენ, ტელე თუ ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები ინტერვიუებს ილებდნენ, ოპერატორები კი ადგილებს არჩევდნენ არენის გარშემო უკეთესი კადრების მოსანადირებლად.

ზუსტად 19:00 საათზე ყინულზე ორივე გუნდი გამოჩნდა. ტურნირი საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გახსნა და მატჩის საყურებლად მოსულ საკმაოდ დიდი რაოდენობის (დაახლოებით 300) მაყურებელს მიმართა. მადლობა გადაუხადა ტურნირის სპონსორებს, ბორჯომის გამგეობასა და კომპანია „ემ-ჯი სპორტს", რომელმაც საკუთარ სასტუმროში განათავსა ტურნირის მონაწილე თბილისისა და სომხეთის გუნდები. ორიოდე სიტყვა თქვა ბორჯომის გამგებელმაც. შესავლისა და გამარჯვებულთათვის განკუთვნილი პრიზების დემონსტრირების შემდეგ, სომხეთისა და საქართველოს ეროვნული ჰიმნები აჟღერდა.

გუნდების ტრადიციული მისალმებისა და გამამხნევებელი შეძახილების მერე სასტვენის ხმაც გაისმა და მატჩიც დაიწყო. ჰოი, საოცრებავ და 54-ე წამზე პირველი გოლიც გავიდა სომხეთის ნაკრების კარში, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა, რამაც ბაკურიანელთა აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა გუნდი არ აჰყვა ემოციებს და თამაშიც გაგრძელდა. სულ ცოტა ხანი და მეორე გოლიც გავიდა, მაგრამ არც ეს გოლი ჩაითვალა, მეკარეზე უხეში თამაშის გამო.

ბაკურიანელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. იყო წუთები, როდესაც სომეხი ჰოკეისტები საერთოდ ვერ გადადიოდნენ ბაკურიანელთა ნახევარზე. ჩვენი სტუმრები პირველ წუთებში ცოტათი დაბნეულები გამოიყურებოდნენ. სამაგიეროდ „მიმინო" თამაშობდა დალაგებულად და შედეგმაც არ დააყოვნა. პერიოდის მიწურულს პირველი გათვლილი გოლი გავიდა. გიორგი ჯეირანაშვილმა (18:54) მარტომ იყოჩაღა და შორეული დარტყმით გაუტანა სომეხთა მეკარეს, რომელმაც მართლაც საოცარი თამაში აჩვენა. მთლიანობაში პირველი ტაიმი ბაკურიანელთა აშკარა უპირატესობით დასრულდა. კარში დარტყმები 17:2-ზე იყო.

მეორე პერიოდში გუნდები კიდევ უფრო საინტერესოდ და ლაღად ათამაშდნენ. ტემპი საკმაოდ მაღალი იყო მთელი თამაშის განმავლობაში. აქაც უპირატესობას ბაკურიანელები ფლობდნენ და უამრავ საგოლე მომენტს ქმნიდნენ. 34:10 წუთზე გუნდის კაპიტანმა, **გოჩა ჯეირანაშვილმა** მეორედ დალაშქრა მეტოქის კარი. მეორე ტაიმის კარში დარტყმები - 17:4.

მესამე პერიოდი უსიამოვნო, მაგრამ ჰოკეისთვის დამახასიათებელი ინციდენტით დაიწყო. 42-ე წუთზე „მიმინოს„ კაპიტანს ორჯერ ჩაარტყეს ყვანჯი ზურგში, რაზეც გოჩამ მუშტით უპასუხა. ჩხუბში მოედანზე მყოფი სხვა მოთამაშეებიც ჩაერივნენ და ძლივს დაშოშმინდნენ. 2-2 მოთამაშე ორივე გუნდიდან გააძევეს.

ამ ინციდენტიდან სულ რამდენიმე წუთში (45:37) **ვახტანგ გოგიჩაიშვილის** გადაცემით **ამირან გეფერიძემ** იხეირა და ანგარიში სამამდე გაზარდა. უპირატესობა ბოლომდე ბაკურიანელთა მხარეზე იყო, თუმცა ანგარიში არ შეცვლილა და ქართული ჰოკეის ისტორიაში პირველი ტაიმ-აუტი დაფიქსირდა. **კახა ამბროლავამ** მშრალად შეინახა კარი, თუმცა ბაკურიანელთა ერთ-ერთი მცველი ეცადა სომხების გულის გახარებას და ბორტს გასაყოლებელი შაიბა შემთხვევით საკუთარი კარისკენ გაისროლა, თუმცა მეკარემ შესაშური რეაქცია გამოამჟღავნა და იხსნა საკუთარი კარი გოლისაგან. მესამე პერიოდში „მიმინომ" 13-ჯერ დაარტყა მეტოქის კარში, ხოლო მეტოქე ოდენ 1 დარტყმას დასჯერდა.

პირველი გამარჯვება და გახარებული მოთამაშე-მაყურებელ-ჩინოვნიკი, რომელიც მრავლად ესწრებოდა თამაშს... იმედია, ჩინოვნიკთა საყვარელ გამოთქმას, ჯერ შედეგი დაგვანახვეთ და მერე ვილაპარაკოთ ხელშეწყობაზეო, ამ თამაშმა სათანადო პასუხი გასცა. მართალია, ჯერ საბოლოო შედეგზე საუბარი ნაადრევია, 6 თამაშიდან მხოლოდ ერთი ჩატარდა, მაგრამ ამ ერთმაც დაგვანახა, რომ შედეგი არის. გახარებულია ყველა, განსაკუთრებით კი ბაკურიანელები, რომლებისთვისაც „მიმინოს" თერთმეტივე მოთამაშე ნამდვილი გმირია.

3 თებერვლის თამაში გადაიდო უამინდობის გამო. ზეგ გაიმართება მორიგი მატჩი - „მიმინო" თბილისის ნაკრებს დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბაკურიანიდან

ოლიმპიზმი

# რჩეულებს სეოკ-ის სტიპენდიები

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვდნენ იმ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, რომლებსაც სეოკ-მა ყოველთვიური სტიპენდიები დაუნიშნა. ვის არ ნახავდით აქ - პეკინის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მედალოსნებს, პერსპექტიულ ათლეტებს, სულ -19 ოლიმპიური სპორტის სახეობის ასამდე წარმომადგენელს.

- თითოეულ სპორტსმენზე ყოველთვიურად დაუბეგრავი სტიპენდიების სახით 250-დან 700 ლარამდე გაიცემა იმ შედეგების გათვალისწინებით, რომლებსაც ჩვენმა ათლეტებმა საერთაშორისო სარბიელზე მიაღწიეს, - გვითხრა სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა**. - საამისოდ წლეულს 320 ათას ლარამდე დაიხარჯება. ეს იმ თანხის ნაწილია, რომელსაც ბიუჯეტიდან (მილიონ-ნახევარი ლარი) და სპონსორებისგან (მილიონი დოლარი) მივიღებთ. ჩვენი სახსრებით სპორტის იმ სახეობებსაც დავეხმარებით, რომლებსაც უწინ ყურადღება არ ექცეოდა. ესენია წყალბურთი, აფროსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, მხატვრული ტანვარჯიში და სხვა.

წყალბურთისთვის საკმაოდ დიდი თანხა მოვიზიდეთ. სტიპენდიების გარდა, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს სპორტის დეპარტამენტთან ერთად ყველა ღონისძიებას დავუფინანსებთ. სარბიელს დაუბრუნდა და ვარჯიში განაახლა აფროსანმა **გურამ ბიგანიშვილმა**. ამას წინათ მან სერიოზული წვრთნა გაიარა იტალიაში. აპენინელთა დახმარებით მისთვის უახლესი მოდელის ნავი შევიძინეთ, რომელიც რამდენიმე დღეში თბილისის ზღვაში გაშლის აფრას. მხატვრულ ტანვარჯიშში გვინდა, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ინდივიდუალურთან ერთად გუნდურშიც გვყავდეს წარმომადგენლები.

გვერწმუნეთ, რომ სტიპენდიები მართლაც ღირსეულებს დაენიშნათ. მათგან სულ მცირე 50 ქალ-ვაჟი მაინც 2012 წლის ოლიმპიადაზე იასპარეზებს. ყოველმხრივ ვეცდებით, რომ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ამ ოთხი წლის განმავლობაში საერთაშორისო სარბიელზე თავს გამოიჩენენ, სტიპენდია გავუზარდოთ და პრემიებიც მივცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სხვები ჩაენაცვლებიან.

გია ნაცვლიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ სეოკ-მა 170 ათასი ლარი გამოყო სპორტსმენთა სრული დისპანსერიზაციისთვის. ვინც შემოწმებას არ გაივლის, მას ეროვნულ პირველობაზეც კი არ დაუშვებენ.

ერთი საგულისხმო ფაქტიც: ამიერიდან მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები ერთიანი ეროვნული ფორმებით გამოვლენ. ამას წინათ ჩვენმა სახელოვანმა ჩუბინმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** მითხრა - რამდენიმე წელიწადია, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საერთაშორისო შეჯიბრებებზე ეროვნული გუნდების ერთნაირ ფორმებში გამოწყობილებს ვხედავ, ჩვენ კი რითაც მოგვიხერხდება, იმით ავდივართ კვარცხლბეკზე. სროლის საერთაშორისო ფედერაციამ რამდენჯერმე გაგვაფრთხილა, ტურნირების საზეიმო გახსნა-დახურვისას და დაჯილდოებისას ერთნაირი ეროვნული ფორმა თუ არ გეცმევათ, დაგაჯარიმებთო. სეოკ-ის ინიციატივით, ამიერიდან ეს პრობლემა ჩვენს სპორტსმენებს აღარ შეაწუხებთ.

ერთსაც დავძენთ: სტიპენდიების ჩასარიცხად მისი მფლობელებისთვის BTA ბანკი პლასტიკურ ბარათებს ორ კვირაში დაამზადებს.

**ვაჟა დანელია**



ჭადრაკი

# ძაგნიძე დაწინაურდა!

გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირში მე-7 ტური ქართველი **ნანა ძაგნიძისთვის** წარმატებული გამოდგა - შავებით დაამარცხა ინგლისელი **იოვანკა ჰოუსკა** და 5 ქულით ქალთა შორის პირველია დღეისათვის. ფინიშამდე სულ ცოტალა დარჩა და თუკი არ დამარცხდება, არა მგონია, სხვებმა გადაასწრონ, რადგანაც ვაჟთა დამარცხება და ამის ხარჯზე ქულების მოგროვება ყველა ქალბატონს უნდა გაუჭირდეს. ცხადია, არსებობს გამართლების მომენტიც, მაგალითად, ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვას** მე-8 ტურში კვლავ ქალბატონი, პოლონელი **მონიკა სოცკო** შეხვდა, რაც საჩუქარი არ არის, მაგრამ მისი დამარცხების დიდი შანსი კი აქვს. შეგახსენებთ, რომ ანტუანეტას მე-6 ტურშიც შეხვდა ქალი მოჭადრაკე - ესპანელი **მონიკა გალძეტა**, რომლის დამარცხებაც იოლად შეძლო. გუშინ მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონმა სტეფანოვამ რუსი **პეტერ სვიდლერის** შეტევებს ვერ გაუძლო და დანებდა. დამარცხდა ამერიკელი **ირინა კრუშიც**, რომელსაც ინდოელმა **შეხარ განგულიმ** მოუგო შავებით და რევანშიც აილო **ჩანდა სანდიპანის** დამარცხების გამო. შვედი **პია კრამლინგი** - თეთრებით ესპანელი **ესკალანტე ლატნიჩიოს** დამარცხებას ეცადა, მაგრამ მხოლოდ ყაიმს გამორჩა. ესკალანტე მერვე ტურში **ქეთევან არახამია-გრანტს** შეხვდება, ვისაც 4,5 ქულა აქვს და ჯერაც შერჩენია ქალთა შორის მაღალი ადგილის დაკავების შანსი.

ძაგნიძეს მთელი ტურნირი. უძლიერესი მეტოქეები ხვდებიან და ეს ერთმხრივ კარგია, მაგრამ ვინძლო სხვამ იხეიროს ამით... ბედად, ჯერჯერობით ნანა პრობლემებს თავს კარგად ართმევს და, იმედია, **მიხეილ გურევიჩსაც** დაუკარგავს მოსვენებას. გურევიჩი ბოლო წლებია თურქეთის სახელით თამაშობს და თუმცა ძველებური ძალა აღარ მოსდევს, მაინც საკმაოდ სტაბილური და ძლიერი თამაშით გამოირჩევა, რაც მის ძლევას ართულებს. თუ ნანამ იმარჯვა გურევიჩთან, ალბათ, პირველობას ველარ ჩამოართმევენ ტურნირის ლამაზმანები.

საერთო ცხრილს კი სათავეში აზერბაიჯანელი **ვუღარ გაშიმოვი** უდგას, რომელმაც 6 ქულა დააგროვა. მას მდევართა შვიდკაციანი ჯგუფი ნახევარქულიანი ჩამორჩენით მისდევს, რომელთაგან ყველაზე სახიფათოს დღეს ხვდება - პეტერ სვიდლერი რეიტინგით მეორეა ტურნირზე - 2723 ქულა აქვს. პირველი თავად გაშიმოვია, მაგრამ რეიტინგი მასაც ზუსტად იმდენივე აქვს, რამდენიც რუსს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, პირველ დაფაზე ტურის და ტურნირის ცენტრალური შეხვედრა გაიმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

წყალხტომა

# უფროსები ჩინეთში, უმცროსები ჰოლანდიაში

ქართველი წყალმხტომელები 9 თებერვალს ჩინეთის ქალაქ შენჟენში გაემგზავრებიან, სადაც მსოფლიოს გრანპრი გაიმართება. ჩინეთში **შოთა კორახაშვილი** და **ჭოლა ჭანტურია** გამოვლენ. ისინი 3 მეტრი ტრამპლიდან ხტომებში მიიღებენ მონაწილეობას, როგორც ინდივიდუალურში, ასევე სინქრონულში.

დღეს კი ახალგაზრდული ნაკრები ჰოლანდიაში გაემგზავრება, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენები სამ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენ. 12-13-წლამდელებში - **თამარ სიჭინავა**, 14-15-წლამდელებში - **თეონა ყაჭეიშვილი**, **აკაკი ივანიშვილი** და **ალექსანდრე გუჯაბიძე**, 18 წლამდელებში - **სალომე ჯუღელი**. გუნდს **ირაკლი ბართაია** უხელმძღვანელებს. ჰოლანდიაში სულ 10 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

ასაკობრივი ნაკრებები. წილისყრა



ქართველ კადეტებს ფინელ, ინგლისელ ირლანდიელ და დანიელ თანატოლებთან მოუწევთ ბრძოლა

# სკოპიეში, სარაევოსა და მადეირაზე

გერმანიის ქალაქ ფრეისინგში გაიმართა ევროპის სხვადასხვა ასაკობრივი ჩემპიონატების წილისყრა. მისი სრული შედეგები ნამდვილად არ გვაინტერესებს, რადგან საქართველოს ქალთა ასაკობრივი ნაკრებები დიდი ხანია საერთაშორისო ასპარეზზე არ გასულან. დღეს შევეხებით 20, 18 და 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებს. დიახ, შესარჩევ ეტაპებს, რადგან გასულ ზაფხულს ახალგაზრდულმა და კადეტთა ნაკრებებმა A დივიზიონში ადგილი ვერ შეინარჩუნეს და წლეულს ევროპის ჩემპიონატის ნაცვლად, შესარჩევ ტურნირში (B დივიზიონში) ითამაშებენ. დიდი ხნის შესვენების შემდეგ შეკრებილმა ჭაბუკთა ნაკრებმა შარშან ქვედა ლიგის ბარიერი ვერ დასძლია და 2009 წლის ზაფხულშიც B დივიზიონში იასპარეზებს.



წილისყრაზე...

### 20-წლამდელები

დავიწყოთ 20-წლამდელთა ნაკრებით, რომელსაც "ენერჯის" თავკაცი, **დავით უსტიაშვილი** ხელმძღვანელობს. ქვედა ეშელონის მატჩებს მაკედონიის დედაქალაქი, სკოპიე უმასპინძლებს. ტურნირი 10 დღეს გასტანს – 16 ივლისს გაიხსნება და ფინალური მატჩი 26-ში გაიმართება.

ახლა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მეტოქეებს ჩამოგითვლით, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეროვნული გუნდის მეტოქეებში აგვერია – შვედეთი, სლოვაკეთი, ლუქსემბურგი... დიახ, ახალგაზრდებსაც და კოკოშკოვის გუნდსაც ამ ნაკრებებთან მოუწევთ დაპირისპირება. გარდა ამ სამეულისა, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად A ჯგუფში პორტუგალია მოხვდა. სულ ოთხი ჯგუფია, რომელთაგან ორ-ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გადავა და ორ ჯგუფში გადანაწილდება. მეორე ჯგუფური ეტაპიდან ნახევარფინალში 4 ნაკრები მოხვდება, შემდეგ ფინალი და... ორივე ფინალისტი 2010 წელს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

პირველ ეტაპზე ორეულში თუ ვერ მოვხვდით, A დივიზიონში გადასვლის შანსი გვეკარგება... თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ამ თემაზე წერა არ მოგვიწევს.

აქვე გთავაზობთ ჩვენი ჯგუფის მატჩების განრიგს.

**A ჯგუფი**

**16 ივლისი**
საქართველო-პორტუგალია
შვედეთი-ლუქსემბურგი

**17 ივლისი**
სლოვაკეთი-შვედეთი
ლუქსემბურგი-პორტუგალია

**18 ივლისი**
საქართველო-ლუქსემბურგი
პორტუგალია-სლოვაკეთი

**19 ივლისი**
შვედეთი-პორტუგალია
საქართველო-სლოვაკეთი

**20 ივლისი**
საქართველო-შვედეთი
ლუქსემბურგი-სლოვაკეთი

### 18-წლამდელები

ჭაბუკების ტურნირიც იმავე სისტემით იმართება, როგორითაც ახალგაზრდული B დივიზიონის მატჩები. პირველი ჯგუფური ეტაპიდან შემდეგზე ორი საუკეთესო გადადის. მეორე ჯგუფური ტურნირიდან ორ-ორი ბედნიერი ბრძოლას ნახევარფინალში განაგრძობს და ფინალის საგზურის მოპოვება ავტომატურად ელიტაში ალზევებას ნიშნავს.

20-წლამდელებს ნამდვილად რთული მატჩები ელით, თუმცა გაცილებით ძნელი იქნება ჯგუფიდან გასვლა ჭაბუკებისთვის. ისინი ხომ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ მონტენეგროს უნდა დაუპირისპირდნენ. ქართველთა და პოსტიუგოსლავთა გარდა C ჯგუფში მოხვდნენ ჰოლანდია, შოტლანდია და რუმინეთი.

თუკი გავითვალისწინებთ ჩვენი გუნდის შემადგენლობას (**მეტრეველი, ტომარაძე, შენგელია...**), ორეულში მოხვედრაზე ქართველებს სერიოზული პრეტენზია უნდა ჰქონდეთ. კალენდარიც ჩვენს მხარესაა – მონტენეგროს ბოლო ტურში ვხვდებით, მანამდე ჩვენც და მათაც გარკვეული უნდა გვქონდეს მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი. ქართველ 18-წლამდელებს "სასოფლოს" თავკაცი **მიხეილ კობეშავიძე** გაწვრთნის.

არ გვითქვამს მთავარი - B დივიზიონის მატჩები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. ტურნირი 23 ივლისს დაიწყება და 2 აგვისტოს დასრულდება.

**C ჯგუფი**

**23 ივლისი**
საქართველო-შოტლანდია
მონტენეგრო-ჰოლანდია

**24 ივლისი**
რუმინეთი-მონტენეგრო
ჰოლანდია-შოტლანდია

**25 ივლისი**
საქართველო-ჰოლანდია
შოტლანდია-რუმინეთი

**26 ივლისი**
მონტენეგრო-შოტლანდია
საქართველო-რუმინეთი

**27 ივლისი**
საქართველო-მონტენეგრო
ჰოლანდია-რუმინეთი

### 16-წლამდელები

ყველაზე უკეთესი გასვლა ქართველ კადეტებს ელით. ისინი პორტუგალიის კუნძულოვან კურორტ მადეირაზე ითამაშებენ. თან, სწორედ საზღვაო სეზონში – 6-დან 16 აგვისტომდე. **გია კაზანჯიანის** შეგირდებს ისეთი მეტოქეები ერგოთ, რომ პირველ ეტაპზე ზღვაზე გარუჯვისთვის არ ეცლებათ: ფინეთი, ინგლისი, ირლანდია და დანია.

B დივიზიონის მატჩები 16-წლამდელებშიც იმავე სისტემით ტარდება, რაც უფროსებში. შესაბამისად მეორე ჯგუფური ეტაპის საგზურისთვის სამი გუნდი იჭიდავებს – საქართველო, ფინეთი და ინგლისი. საზაფხულო მატჩების განრიგი ასეთია.

**A ჯგუფი**

**6 აგვისტო**
ინგლისი-დანია
ირლანდია-საქართველო

**7 აგვისტო**
ფინეთი-ირლანდია
საქართველო-ინგლისი

**8 აგვისტო**
საქართველო-დანია
ინგლისი-ფინეთი

**9 აგვისტო**
ირლანდია-ინგლისი
ფინეთი-დანია

**10 აგვისტო**
საქართველო-ფინეთი
დანია-ირლანდია

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ერთა თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენთვის მთავარი გამარჯვებაა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში პირველ შეხვედრას 7 თებერვალს, სტუმრად გამართავს გერმანიის ნაკრებთან. გერმანელები ერთა თასზე დებიუტანტები არიან და შარშანდელი გათამაშების გამარჯვებულს კრძალვით ელიან. გერმანულ სარაგბო ვებგვერდზე www.totalrugby.de გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ნაკრების კაპიტან ირაკლი აბუსერიძესთან, რომელიც მისმა თანაკლუბელებმა ალექს ვიდიკერმა და კლემენს ვონ გრუბკოვმა აილეს.

ალექსი და კლემენსი:

**„აბუ, შენ „ორლეანში" გერმანიის ნაკრების სამ მორაგბესთან ერთად თამაშობ. სამივესთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა გაქვს. რა განწყობა გეუფლება, როდესაც იცი, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მათ წინააღმდეგ უნდა ითამაშო?**

ირაკლი:

„საკმაოდ დიდხანს ველოდებოდი და როგორც იქნა, გერმანიამ ერთა თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ოცნება მქონდა თქვენს წინააღმდეგ მეთამაშა (იცინის). სიმართლე გითხრათ, მართლა მიხარია. ეს ჩვენი ნამდვილი ბრძოლა იქნება და არა ისეთი, „ორლეანში" ვარჯიშების დროს რომ გვიწევს."

ალექსი და კლემენსი:

**„თამაში, როგორც იცი, ჰაიდელბერგში გაიმართება. შენ უკვე გითამაშია ამ ქალაქში. რას ელი ჩვენი ნაკრებისგან?**

ირაკლი:

„სულმოუთქმელად ველი ამ მატჩს. ალალად გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი შეხვედრაში რა მოხდება. მე მითამაშია გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ, ოღონდ მხოლოდ შვიდკაცა ნაკრების შემადგენლობაში. კლასიკური რაგბის ნაკრები კი, რა ძალისაა, წარმოდგენა არ მაქვს. თქვენ ჩვენთვის ახალი მოწინააღმდეგეები ხართ"

ალექსი და კლემენსი:

**„გერმანიის ნაკრები დებიუტანტია. თქვენი გუნდი კი, ერთა თასის მოქმედი ჩემპიონია. ვფიქრობთ, ჩვენი ნაკრებების ბრძოლა დავითისა და გოლიათის ბრძოლას დაემსგავსება. შენ როგორ ფიქრობ"?**

ირაკლი:

„ჩვენ რომ აშკარა ფავორიტები ვართ, ეს ცხადია. საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა საფრანგეთის ჩემპიონატის წამყვან კლუბებში ასპარეზობენ. საფრანგეთში გერმანელი მორაგბეებიც ირჯებიან, თუმცა ისინი ძალზე ცოტანი არიან. აი, თუნდაც თქვენ. იცოდეთ, თამაშისას სულ თვალთახედვის არეში მეყოლებით, ამოსუნთქვის საშუალებას არ მოგცემთ, (იცინის).

ალექსი და კლემენსი:

**„მსოფლიოს პრესა საკმაოდ დიდი ხანია საქართველოსა და რუსეთის ხანგრძლივი კონფლიქტის შესახებ წერს. არადა, რუსებთან პირისპირ მოგიწევთ მოედანზე შეხვედრა. არის თუ არა ეს კონფლიქტი დამატებითი მოტივაცია თქვენი ბიჭებისთვის?"**

ირაკლი:

„რუსების წინააღმდეგ თამაშს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ურთულეს ბრძოლებში, ყოველთვის საკმაოდ ხისტი, თავდაუზოგავი თამაშები გამოგვდიოდა. ჩვენ უკვე 15 წელიწადია რუსებთან არ წაგვიგია. ომი, ცხადია, ამ თამაშს კვალს დაატყობს. მატჩი კიდევ უფრო უშელავათო იქნება და რუსები ყველა ღონეს მიმართავენ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ჩვენს როგორც ყოველთვის, მათ არაფერს დავუთმობთ. პოლიტიკა, ცხადია, მაინტერესებს, მაგრამ ჩვენ სპორტსმენები ვართ და არა პოლიტიკოსები. მწვანე მინდორზე კი პოლიტიკურ პრობლემებს ვერ მოაგვარებ. ამ ომის გამო რუსებთან მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, უკრაინაში გაიმართება."

ალექსი და კლემენსი:

**„როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა საფრანგეთის პროფესიონალთა გუნდებში თამაშობს. ჩამოვა თუ არა თქვენი გუნდი ჰაიდელბერგში თავისი საუკეთესო შემადგენლობით?"**

ირაკლი:

„ჩვენმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა, რომელიც თავის დროზე ვოლაბებს, ბოკეს, „კლერმონსა" და „ტულონს" წვრთნიდა, შოტლანდიაში გამართული ტურნეს შემდეგ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ნებისმიერ გუნდთან, მიუხედავად მისი სიძლიერისა, აუცილებლად უძლიერესი შემადგენლობით აპირებს თამაშს. კარგად იცით, ერთა თასის ეს გათამაშება მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. გარწმუნებთ, ჩვენი ნაკრები თქვენს გუნდს ალმაცერად სულაც არ უყურებს და სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება. ჩვენთვის მთავარი გამარჯვებაა. ვისთან? ამას მნიშვნელობა არ აქვს."

**ბესიკ ჯანგავაძე**



ირაკლი აბუსერიძე

ტყვიის სროლა



ოსტატი და შეგირდი: მამა-შვილი სალუქვაძეები

# რომ არა შტაერის კაპრიზები

უკვე გაუწყეთ, რომ მიუნხენის საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** 483,7 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა. გულდასაწყვეტი ის არის, რომ ფინალში მეორე შედეგით შევიდა, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე პოზიციის შენარჩუნება ვერ შეძლო. გუშინ გერმანიიდან დაბრუნებულ ქართველ ჩუბინს ტირში ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრე.

- შარშან მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებიდან დაბრუნებისას გითხარით, რომ ტაილანდში პისტოლეტმა მიმტყუნა - მოულოდნელად ტყვიას სიჩქარე დაეკარგა. შინ ეს ხარვეზი დავარეგულირე თუ არა, სასხლეტს შეექმნა პრობლემები, რის შესახებაც ავსტრიული ფირმა „შტაერის" წარმომადგენებს ვაცნობე, რადგან პისტოლეტის თბილისში შეკეთება წარმოუდგენელი იყო. მიუნხენში ჩასვლის პირველსავე დღეს ავსტრალიელებმა პისტოლეტს გაფუჭებული მექანიზმი და ჰაერის ბალონი გამოუცვალეს. ვარჯიშებზე შევამჩნიე, რომ სასხლეტზე თითის გამოკვრასა და გასროლას სინქრონულობა აკლდა. სპეციალისტებმა მითხრეს, დეტალების ცვეთა-მორგებას დრო სჭირდებაო. ამიტომ 29 იანვარს, ფაქტობრივად, ბოლომდე გაუმართავი იარაღით გავედი ცეცხლის ხაზზე. პირველი სერია აშკარად ჩამივარდა, რადგან 100-დან მხოლოდ 93 ქულა მოვაგროვე, მართალია, მერე მდგომარეობა გამოვასწორე, მაგრამ 382 ქულით მხოლოდ მე-9 ადგილი დავიკავე. არადა, ამდენივე ქულით, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ფრანგმა სელინ გობერვილმა გამისწრო.

რაც შეეხება მეორე სტარტს, პირველ სერიაში იგივე განმეორდა. მომდევნო სამ სერიაში მაღალი მაჩვენებლები (98+99+98) მქონდა და 388 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ვიყოფდი პოლონელ მიროსლავა საგუნ-ლევანდოვსკასთან, რომელმაც პირველი შეჯიბრება მოიგო. ქულით რუსი გალინა ბელიაევა გვისწრებდა. ფინალში ისევ ცუდად ვისროლე - სულ 95,7 ქულა მოვაგროვე, არადა, პეკინის ოლიმპიადაზე ჩემი შედეგი 101,4 ქულა იყო. საბოლოოდ, როგორც იცით, მეშვიდე ადგილს დავჯერდი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სეზონის სტარტით უკმაყოფილო არ ვარ, მით უმეტეს, რომ ათი დღის წინათ საქართველოს ღია ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგები გავაუმჯობესე. ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ ორ კვირაზე მეტია დარჩენილი და ვეცდები, იარაღს უფრო გავუშინაურდე. 6 თებერვალს ნინო უჩაძესთან, თამილა ასათიანთან, თეონა იაშვილთან, ილია მაჭარაშვილთან, ლევან ქადაგიძესთან და მწვრთნელ ვახტანგ სალუქვაძესთან ერთად ერევანს გავემგზავრები. კონტინენტის პირველობამდე იქ საწვრთნელ შეკრებას გავივლით, 19-23 თებერვალს კი პრაღაში ვიასპარეზებთ. თუ ვინ გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე, ეს ერევნის შეკრების შემდეგ დაზუსტდება.

ერთიც მინდა დავძინო: ბოლო დროს საქართველოში იარაღის მაღაზიები მოგვიმრავლდა, მაგრამ არც ერთს არ აქვს ის პისტოლეტები და ვაზნები, რომლებიც ჩვენ გვჭირდება, რაც ვარჯიშებისას პრობლემებს გვიქმნის. მათი შეძენა უცხოეთში გვიხდება. არადა, ძვირია და ტრანსპორტირებაც გვიძნელდება. ამის მიუხედავად, სირთულეებს არ შევუშინდით და ახლაც მიუნხენიდან თითქმის ნახევარი წლის სამყოფი ტყვია-წამალი ჩამოვიტანეთ. სამომავლოდ ამის გაკეთება გაგვიჭირდება, ამიტომ მათ ჩამოტანაზე სახელმწიფომ ცივილიზებული მეთოდებით უნდა იზრუნოს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

# ლადო ჩიხლაძე ძირითად ბადეშია



ლადო ჩიხლაძე

23 წლის **ლადო ჩიხლაძე** (1111) კარგად ათამაშდა, მეორე კვირაა ავსტრიული ზალცბურგიდან გასახარი ამბები მოგვდის, ჩვენებურმა მოგებას მოუხშირა. გასული კვირის ტურნირში ჩიხლაძე პერსონალური მოწვევით მოხვდა ზალცბურგის ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში და იქ ნახევარფინალამდე გააღწია. ამჯერად, მას საკუთარი რეიტინგის „წყალობით" ძირითად ბადეში მოსახვედრად ბრძოლა მოუწია, ის კი არა, საკვალიფიკაციოშიც კი „უაილდ ქარდით" დაუშვეს. ლადომ თანამემამულე **ლაზარე კუხალაშვილისგან** განსხვავებით ძირითად ტურნირში გაღწევა შეძლო, გზად მან სამი მეტოქე ჩამოიცილა. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ჩიხლაძემ ორ სეტში ხორვატ **რობერტ რაგუზს** (1554) მოუგო - 6:1, 7:6 (3). ძირითადი ბადის პირველივე წრეში ქართველ ჩოგბურთელს სერიოზული მეტოქე ჰყავს - ხორვატი **ვიეკოსლავ სკენდეროვიჩი** (506), რომელიც ზალცბურგში მე-6 ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეგიონი

# დაზარალდა, მაგრამ ჯერ ვერ აღდგება

**გორის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროს ზურაბ ჩხეიძესთან სასაუბროდ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მივედით. გასული წლის აგვისტოში ამ ქალაქმა ომი გადაიტანა და თითქმის იმავდროულად, პეკინის ოლიმპიადიდან, დიდი სიხარულიც მიიღო. დაგვეთანხმებით, ქვეყნის სპორტული წარმატებები დაფინანსებაზეა დამოკიდებული, ბუნებრივია, გორი გამონაკლისი არ არის. მით უფრო, რომ ომმა ქალაქის სპორტული ცხოვრებაც შესამჩნევად უკან დახია. სპორტული კომპლექსებიდან შენობათა ნაწილი დაზიანდა, ზოგიერთში დევნილები შეასახლეს და იქ მოვარჯიშე სპორტსმენებს ადგილის გამოცვლამ მოუწიათ, იყო სხვა სახის პრობლემებიც. „ლელო" წერდა, თუ როგორ რთულ ვითარებაში ჩააგდო ომმა გორის №44 სასპორტო სკოლა. ხელისუფლებამ რემონტის პირობა მისცა სპორტსმენებს. ჩვენც ზურაბთან, პირველ ყოვლისა, იმის გასაგებად მივედით, ითვალისწინებდა თუ არა მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ დაპირების შესრულებას. ალმოჩნდა, რომ რემონტის იმედი ამაოდ ჰქონიათ სპორტის მესვეურთ. ზურაბ ჩხეიძის სამსახური ახლა თითქმის მთლიანად ატენის ხეობაში უახლოეს დღეებში ყინულის ფესტივალის ჩატარების ორგანიზებითაა დაკავებული. შესაბამისად ინტერვიუს პირველი კითხვაც ამ ფესტივალს შეეხო.**

- ყინულის ფესტივალი 8 თებერვალს ჩატარდება ატენის ხეობაში. ადგილზე მას ორგანიზაციას უწევს ქალაქის მუნიციპალიტეტი და ტურისტულ-სპორტული ცენტრი „ტონთიო", რომლის დამსახურებაცაა რამდენიმე წლის წინ ატენის ხეობაში გაყინული ჩანჩქერის ალმოჩენა. მსგავსი მოცულობის გაყინული ჩანჩქერი საქართველოში არაა, რის გამოც იგი სულ უფრო პოპულარული ხდება. შესაბამისად ახლა შარშანდელზე მეტ სტუმარს ველოდებით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასზე მეტი სტუმარი გვეწვევა, ამას დაუმატეთ ადგილობრივი მთამსვლელები, „ტონთიოს" წევრები და დამეთანხმებით, რომ ერთობ მასშტაბურ სპორტულ ღონისძიებასთან გვექნება საქმე. აქედან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ღონისძიებისთვის ფესტივალის სახე მიეცა, სპორტულ პროგრამას დაემატება სახალისო შეჯიბრებები და მუსიკალური ნომრები. გაიზრდება სანახაობრივი მხარე. რეგიონის ხელისუფლება შარშანაც უშუალოდ დაესწრო ამ ღონისძიებას და ახლაც იმავეს აპირებს.

**- მიმდინარე წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. რა შეიცვალა სპორტული ღონისძიებების და ორგანიზაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით?**

- მთავარი მიზანი იყო შეგვენარჩუნებინა სპორტული სკოლებისთვის ის დაფინანსება მაინც, რაც მათ შარშან ჰქონდათ. საბედნიეროდ, სკოლებს არათუ შევუნარჩუნეთ უწინდელი დაფინანსება, ხუთიდან ოთხი სკოლისთვის მისი მცირედით გაზრდაც მოვახერხეთ.

**- რომელ სკოლას არ გაეზარდა დაფინანსება?**

- №44-ე, ანუ ცენტრალურ სასპორტო სკოლას.

**- ბატონო ზურაბ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია ხელისუფლების მიდგომა ამ სკოლის მიმართ. სპეციალისტთა შეფასებით, იგი ქვეყნის მასშტაბით საუკეთესოთა შორისაა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მიღწევებით გორში მას ტოლს ვერავინ უდებს. სხვა თუ არაფერი მხოლოდ ამ სკოლას პეკინის ოლიმპიადაზე სამი წარმომადგენელი (გოგშელიძე, თუშიშვილი, გოჩაშვილი) ჰყავდა. აგვისტოს ომის დროს მომხდარმა აფეთქებამ კი რამდენიმე დარბაზის კედელი დაანგრია. ბოლო ხანს შეპირებული კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე ყოყმანობდნენ, ახლა ღონისძიებებისთვისაც არ გაეზარდა დაფინანსება?**

- წლის მეორე კვარტალში აუცილებლად შევეცდებით ამ დაწესებულებას გავუზარდოთ დაფინანსება. გეთანხმებით, რომ ის უდავოდ საუკეთესოა და ამას იმსახურებს.

**- რემონტი?**

- სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს ამისათვის საჭირო თანხის მოძიებას. სამაგიეროდ, აქტიურად ვმუშაობთ სხვა მიმართულებით. არის დონორი ორგანიზაცია (მასზე ჯერ ვერაფერს გაგიმხელთ), რომელიც გვპირდება ქალაქში არსებული და აგვისტოს ომისაგან დაზიანებული რომელიმე შენობის შეკეთებას. რემონტის საკითხი ალბათ ოთხ-ხუთ თვეში გაირკვევა. მთავარია, რომ ჩვენ სასპორტო სკოლის შეკეთების შეთავაზება გვაქვს გადაწყვეტილი. ცენტრალურ ხელისუფლებასთანაც ვცდილობთ სახსრების მოძიებას, მაგრამ დღესდღეობით სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარებას, გზების, ირიგაციის სისტემის რეაბილიტაციას. დღესდღეობით ერთობ ჭირს სპორტისთვის დამატებითი თანხების მოძიება.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჩოგბურთის კორტებიც გახსნისთანავე უკვე სარემონტოა. იქ, მაგალითად, მოედნის საფარია ცუდად დაგებული.**

- დიახ, იყო პრობლემები, რომლებიც ინფრასტრუქტურას შეეხებოდა. ჩვენი მითითებით ვცადეთ ვითარების გამოსწორება, რომლის შემდეგაც დედაქალაქიდან უნდა ჩამოსულიყო ხარისხის შემსწავლელი კომისია. სამწუხაროდ, ამჟამად ჩემთვის არაა ცნობილი, თუ ჩამოვიდა ეს კომისია, ან რა დასკვნა გააკეთა.

*(ჩოგბურთის სექციაში პედაგოგები და მოსწავლეები განაგრძობენ მუშაობას. არადა, წვიმისას მოედანზე გუბეები დგება და ეს თავის მხრივ მოედნის საფარს როგორ აფუჭებს საკუთარი თვალით ვიხილეთ. ვნახეთ ისიც, რომ კორტებზე, მოედნის გვერდით, კედლებიდან ნალესი უკვე იშლება - ვ.ბ).*

- რატომ, „დილაშიც" ითამაშებენ, საერთოდ, ჩვენი პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთია. აგერ წლეულსაც გავუზარდეთ დაფინანსება შესაბამის საფეხბურთო სკოლას. გვინდა წამოვიდეს თაობა, რომელიც შემდგომ ჩვენს ოსტატთა გუნდებს წაადგება.

**- ახლახან დაარსდა დევნილთა საფეხბურთო კლუბი „სამაჩაბლო", რომელიც კომპაქტური დასახლების მიმდებარე ტერიტორიასთანაა. ხელისუფლება ხომ არ ფიქრობს ფინანსურად ხელი გაუმართოს მათ?**

- მე შევხვდი ამ სკოლის ხელმძღვანელებს და ჩემი პასუხი ასეთია: ქალაქში არსებობს საფეხბურთო სკოლა, რომლის კარიც ყველასთვის ღიაა, დევნილი იქნება ის, თუ არა. სხვათა შორის, იმ ბავშვებს, რომლებიც კომპაქტურად ჩასახლებული არიან იმ ტერიტორიასთან, სადაც სკოლა „სამაჩაბლოა" - გორის საფეხბურთო სკოლაში შეუძლიათ იარონ. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ სკოლის დახმარება დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციამ აიღოს თავის თავზე. ასე თუ ისე, ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი საფეხბურთო სკოლის რჩენა ნამდვილად აღარ შეუძლია. საერთოდაც, დევნილი ბავშვებისთვის ადგილობრივებთან ადაპტირების ერთ-ერთი საუკეთესო გზა, სწორედ მათი ერთად ყოფნა იქნება.

**- მშობლიურ სახლ-კარსა და სოფლებს მოწყვეტილ ამ ბავშვებს სკოლის შემდგომი თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაც სჭირდებათ. თუნდაც ადაპტირებამდე, ისინი ქუჩაში რომ არ აღმოჩნდნენ, როგორ ფიქრობთ, მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა სპორტულ სექციაში ჩასართავად მაქსიმალურად არ უნდა იზრუნოს?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ აქ დასახლებულ ახალგაზრდებს ჩვენი სათანადო ყურადღება სჭირდებათ. იყო ბავშვების გარკვეული რაოდენობა, რომლებმაც თავად გვთხოვეს დახმარება ამა თუ იმ სპორტის სახეობაში ვარჯიშის დასაწყებად. ჯერჯერობით ამ დასახლებებში რაიმე ადმინისტრაციული დაწესებულება არ არის და ამიტომ მოცემულ ეტაპზე ჩვენი წარმომადგენლები დააკვალიანებენ მათ. მთავარია, რომ გორში ერთობ წარმატებული სასპორტო სკოლებიც გვაქვს და ყველა მათგანში სწავლა უფასოა.



გორის სიამაყედ გამოცხადებული ჩოგბურთის კორტები ახლა ასე გამოიყურება

**- შარშან, რაგბის სექციის გახსნა ამოქმედება დაიგეგმა. რა ეტაპზეა ეს საქმე?**

- ჯერჯერობით წინ არ წასულა. ველოდებით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. სტადიონისთვის ადგილი მონიშნული გვაქვს ქალაქის ერთ-ერთ უბანში, ე.წ ჭალის დასახლებაში. შარშან თითქოს შორს არ ჩანდა რაგბის აღორძინების პერსპექტივა გორში (რამდენიმე წლის წინათ აქ ცოტა ხნით იარსება რაგბის სექციამ), მაგრამ ომმა ამაზეც იმოქმედა და საქმე გადაიდო.

**- გორის „დილასთან" დაკავშირებით ხომ არაფერი შეცვლილა?**

- ნება მიბოძეთ, ამ თემაზე კომენტარისაგან თავი შევიკავო, რადგან ინფორმაციას სრულად არ ვფლობ.

**- ადგილობრივი ბიუჯეტი განაგრძობს გუნდის დაფინანსებას?**

- განაგრძობს, მაგრამ როგორ და რა მეთოდებით, დეტალურად ორიოდ კვირაში მოგახსენებთ.

**- გუნდი მთლიანად ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული და ისიც არა ადგილობრივებით. გორში ფეხბურთელები თუ იზრდებიან, სხვა გუნდებში მიდიან სათამაშოდ.**

**- დაბოლოს, არც შიდა ქართლს, არც კონკრეტულად გორს გასული წლის ლაურეატები არ გამოუვლენიათ.**

- სამწუხაროდ, ომის გამო ბევრი საშური საქმის გადავადებამ მოგვიწია. 2008 წლის საუკეთესოთა გამოსავლენად გამოკითხვის მოწყობაც ამ მიზეზით დაგვიანდა. მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ გასული წლის საუკეთესოებს მაინც გამოვავლენთ. დღეისათვის დაგზავნილი გვაქვს ანკეტები ჩვენი ქალაქის გამოჩენილ მწვრთნელებთან, სპორტსმენებთან (სულ 80-მდე ადამიანი). ამ გზით გამოვავლენთ 2008 წლის საუკეთესო მწვრთნელს, სპორტსმენს და სასპორტო სკოლას. საუკეთესოებს დავაჯილდოებთ. ვფიქრობთ, ეს მცირე, თუმცა გარკვეული სტიმული მაინც იქნება ჩვენი წარმატებული სპორტსმენებისა თუ მწვრთნელებისათვის.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კობიმ მედისონ სკვერ გარდენი დაიპყრო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ტურის მატჩი: ნიუ ორლეანი-პორტლენდი

მას შემდეგ, რაც "ნიუ ორლეანის" ლიდერი **კრის პოლი** სამწამიან ზონაში უხერხულად დაეცა და ტრავმის გამო მოედანი დატოვა, მასთან ერთად დასამარდა "ჰორნეთსის" მხრიდან გააზრებული თამაშის შესაძლებლობა. ფაქტორები, რის ხარჯზედაც მასპინძლები ორეგონელებს უგებდნენ, მოულოდნელად ნულზე დავიდა, ამან კი მომხიბვლელი ანგარიში - 72:55 (მესამე მეოთხედის დასრულებამდე წუთითა და 30 წამით ადრე) საშინელ შედეგად გადააქცია. ამასთან, ჩაგდებული ბოლო წუთები კიდევ უფრო დაამძიმა დებიუტანტ **ჯერარდ ბეილესის** ბენეფისმა - მან თავისი 19 ქულიდან 13 სწორედ მატჩის დასკვნით მონაკვეთში დააგროვა და ბოლო მოუღო უფრო გამოცდილ და დახელოვნებულ მოწინააღმდეგეებს.

არადა, კრის პოლის ტრავმამდე, "ნიუ ორლეანის" გულშემატკივრები სიამოვნებით იხსენებდნენ, რომ მათ საყვარელ გუნდს შინ ზედიზედ ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული "პორტლენდისთვის", მაგრამ მატჩის შემდეგ ეს უკვე აღარავის გახსენებია. სანამ პოლი მოედნიდან გავიდოდა, მასპინძლებს თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 50 პროცენტი ჰქონდათ, მათ ანგარიშზე 20 შედეგიანი პასი და მხოლოდ ორი შეცდომა იყო. ხოლო, როცა კომბინაციური თამაში აღარ გამოუვიდათ, "ნიუ ორლეანს" საშინლად გაუჭირდა ქულების დაგროვება. შეტევაში ცუდი თამაში დაცვის ხაზსაც გადაედო, რითაც **ნეიტ მაკმილანის** შეგირდებმა შესანიშნავად ისარგებლეს.

### ტურის გმირი: კობი ბრაიანტი

"ლეიკერსის" ლიდერმა ყველას დაანახა, თუ როგორ აპირებს "ლეიკერსი" 8-12 კვირით დამტვრეული ენდრიუ ბინუმის გარეშე ჩემპიონობისთვის ბრძოლას. სასტარტო ხუთეულში **ლამარ ოდომის** დაბრუნებითა და შეტევითი სამკუთხედის ოდნავ შეცვლით, კალიფორნიელებმა მთავარ დამრტყმელ ძალად **კობი ბრაიანტი** წარმოგვიდგინეს, რომელმაც პარტნიორებს მადლობა ფენომენალური თამაშით გადაუხადა.

"ლეიკერსის" ლიდერი ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა - იმ საღამოს მან 61 ქულა დააგროვა! ამით მან **ბერნარდ კინგსა** (60 ქულა, 1984 წელი) და **მაიკლ ჯორდანს** (55 ქულა, 1995) გაუსწრო, რომლებიც ამ ტურამდე ლეგენდარული არენის რეკორდსმენებად ითვლებოდნენ. რაც ყველაზე საინტერესოა, ბრაიანტმა კარიერაში მეხუთედ გადალახა 60-ქულიანი ზღვარი და ამ მაჩვენებლით საკლუბო ისტორიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველი ადგილი ლეგენდარულ **უილტ ჩემბერლენს** ეკუთვნის - მის კარიერაში ასეთი 33 (!) მატჩი იყო.

### ტურის ანტიგმირი: ჯამალ კროუფორდი

"გოლდენ სტეიტის" გამთამაშებელი მწვრთნელმა თითქის ყველა ამპლუაში მოსინჯა, მაგრამ **ჯამალ კროუფორდი** მუდმივად თამაშიდან იყო ამოვარდნილი. მან ვერ შეძლო რეაქტიული **ტონი პარკერის** შეჩერება და ფრანგს 23 ქულის დაგროვების საშუალება მისცა, შედეგიანი პასების დარიგებით ვერ ბრწყინავდა და პერსონალურებსა და შეცდომებს ზედიზედ აგროვებდა. ვერც თამაშიდან ტყორცნებით გამოირჩა და 10 სროლიდან მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო. მოკლედ, 46 წუთი ირბინა, მაგრამ მინიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა.

### ტურის რიცხვი: 48

სწორედ ქულათა ასეთი სხვაობით წააგო "საკრამენტომ" სტუმრად "ფინიქსთან" შეხვედრაში. როგორც აღმოჩნდა, ამ სეზონში ასეთი დიდი ანგარიშით არც ერთი გუნდი არ დამარცხებულა. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი რეგულარულის წინა ანტირეკორდიც "მეფეებს" ეკუთვნოდათ, ერთი შეხვედრა 45 ქულით დათმეს. ამასთან, "საკრამენტო" "ფინიქსის" საშინაო რეკორდის თანამონაწილე გახდა - "სანზს" საკუთარ მოედანზე ასეთი სხვაობით არასოდეს მოეგო.

### ტურის ფრაზა

*"ეს გუნდის ყველაზე წარუმატებელი თამაშია მას შემდეგ, რაც "ვაშინგტონს" სათავეში ჩავუდექი. არ იყო მოძრაობა, აზროვნება, სიცოცხლე... პასებზე, კომბინაციებსა და დაზღვევაზე ლაპარაკიც არ არის. ჩემი გუნდი თითქმის არ ეწინააღმდეგებოდა მეტოქეს. ეს არ არის კალათბურთი"*, - ასე დაახასიათა **ედ ტეპსკოტმა** თავისი "ვაშინგტონის" თამაში "მემფისის" წინააღმდეგ.

# ბინუმი მინიმუმ სამი თვე დაისვენებს

სერიოზული დანაკლისი განიცადა "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა". ამ გუნდს დაახლოებით 3-4 თვით გამოაკლდა ძირითადი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი**. მან რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში მარჯვენა მუხლი დაიზიანა. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა, ახალგაზრდა ცენტრს ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი.

არადა, ტრავმის მიღებამდე ბინუმი ბრწყინვალე სათამაშო ფორმაში შევიდა. ბოლო ხუთ მატჩში მან 26.2 ქულა, 13.9 მოხსნა და 3.2 დაფარება დააგროვა. ამასთან, ენდრიუ თამაშიდან ტყორცნების 65.3 პროცენტს იყენებდა.

შეგახსენებთ, რომ ბინუმმა შარშანდელ სეზონშიც ანალოგიური ტრავმა მიიღო და ამის გამო რეგულარული ჩემპიონატის 46 მატჩი გამოტოვა.

* * *

ამასობაში გაირკვა, რომ "ტორონტო რეპტორზის" ლიდერი **კრის ბოში** არ აპირებს თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას. კალათბურთელმა ამის შესახებ უკვე აცნობა "ტორონტოს" გენერალურ მენეჯერ **ბრაიან კოლანჯელოს**. ბოშს კანადურ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულში ეწურება.

იმავე ცნობის მიხედვით, ბოში სავარაუდოდ ტრეიდის მონაწილე გახდება. როგორც იტყობინებიან, ფორვარდზე პრეტენზიას "დალას მავერიქსი" და "მაიამი ჰიტი" აცხადებენ.

ამ სეზონში ბოში საშუალოდ მატჩში 23.1 ქულასა და 9.7 მოხსნას აგროვებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



**ორლანდო-დალასი 95:105**
27:25, 20:29, 16:23, 32:28
ო: დ. ჰოვარდი (35+11 მოხსნა), თურქოგლუ (18), ლუისი (12+8 მოხსნა).
დ: ნოვიცკი (29), ტერი (23), კიდი (13+8 პასი+4 ჩაჭრა), ჯ. ჰოვარდი (13).

**ვაშინგტონი-მემფისი 97:113**
29:32, 28:29, 24:33, 16:19
ვ: ჯეიმისონი (29+13 მოხსნა), კ. ბატლერი (21+9 მოხსნა), ნ. იანგი (13), მაკგი (11+7 მოხსნა).
მ: მაიო (33), გეი (23+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მ. გასოლი (22+11 მოხსნა), კონლი (14+3 ჩაჭრა).

**მაიამი-კლიპერსი 119:95**
30:24, 28:23, 32:26, 29:22
მ: უეიდი (32+9 პასი), ბიზლი (18+7 მოხსნა), ჩალმერსი (15+8 პასი+4 ჩაჭრა), ჰასლემი (13+7 მოხსნა), მერიონი (11+7 მოხსნა+3 დაფარება).
კ: ზ. რენდოლფი (21), კემბი (12+7 მოხსნა), ე. გორდონი (12), ფ. ჯონსი (10), ბ. დევისი (9+9 პასი+4 ჩაჭრა).

**ნიუ იორკი-ლეიკერსი 117:126**
26:31, 28:34, 32:31, 31:30
ნ-ო: ელ ჰარინგტონი (24), დ. ლი (22+12 მოხსნა), ჩენდლერი (20), რობინსონი (13), ტ. ტომასი (10), გალინარი (10), დუჰონი (8+9 პასი).
ლ: ბრაიანტი (61), პ. გასოლი (31+14 მოხსნა), არიზა (13+8 მოხსნა), ოდომი (6+14 მოხსნა+3 დაფარება).

**ნიუ ორლეანი-პორტლენდი 89:97**
25:17, 23:22, 26:20, 15:38
ნ-ო: დ. უესტი (25+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (18+4 ჩაჭრა), პოლი (12+13 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბატლერი (11).
პ: ოლდრიჯი (22+11 მოხსნა), ბეილესი (19+6 პასი), აუთლოუ (16), ფერნანდესი (15+8 მოხსნა), პრჟიბილა (2+10 მოხსნა).

**ფინიქსი-საკრამენტო 129:81**
40:19, 33:24, 30:12, 26:26
ფ: სტაუდმაიერი (25+8 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (24+6 პასი+4 ჩაჭრა), ჰილი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბარბოზა (11), შ. ო'ნილი (10+9 მოხსნა), ნეში (9+9 პასი).
ს: სალმონსი (19+7 მოხსნა), მარტინი (13), ტომპსონი (12+8 მოხსნა), გარსია (10), დუბი (10).

**იუტა-შარლოტი 105:86**
19:25, 30:26, 27:19, 29:16
ი: ოქური (22), რ. ბრიუერი (21), მილსეპი (14), პრაისი (12+3 ჩაჭრა), ჰარპრინგი (10), კორვერი (9+8 მოხსნა).
შ: ფელტონი (15+9 პასი+4 ჩაჭრა), ოკაფორი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), რ. ბელი (12), ჯ. ჰოვარდი (12), დიაო (10).

**გ. სტეიტი-ს. ანტონიო 105:110 (ო)**
25:27, 27:21, 27:27, 16:20, 10:15
გ-ს: ს. ჯექსონი (33+11 პასი+4 ჩაჭრა), ელისი ([illegible]+8 მოხსნა), მაგეტი ([illegible]), ბიედრინში (11+[illegible] მოხსნა), უოტსონი (11).
ს-ა: ჯინობილი (32), დანკანი (33+15 მოხსნა), ტ. პარკერი (23+7 პასი), კ. ტომასი (7+15 მოხსნა).

### კვირის მოთამაშეები

"ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **დევიდ ლი** და "სან ანტონიო სპურსის" მცველი **ტონი პარკერი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ლიმ საშუალოდ მატჩში 19.0 ქულა, 15.3 მოხსნა და სამი ორმაგი დუბლი დააგროვა, "ნიუ იორკმა" კი სამი შეხვედრიდან სამ მატჩში გაიმარჯვა. "ნიქსის" ფორვარდი 35 ორმაგი დუბლით მეორე ადგილზეა ლიგაში.

ზედიზედ სამ მოგებულ მატჩში პარკერმა საშუალოდ 25.0 ქულა და 6.0 პასი მიითვალა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **რაჯა ბელი** ("შარლოტი"), **ტი ჯეი ფორდი** ("ინდიანა"), **ჩარლი ვილანუევა** ("მილუოკი"), **მო უილიამსი** ("კლივლენდი"), **ელ ჯეფერსონი** ("მინესოტა"), **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო") და **ბრენდონ როი** ("პორტლენდი").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 49 | 40 | 9 | 81.6 |
| 2. კლივლენდი | 46 | 37 | 9 | 80.4 |
| 3. ორლანდო | 47 | 36 | 11 | 76.6 |
| 4. ატლანტა | 47 | 27 | 20 | 57.4 |
| 5. მაიამი | 47 | 26 | 21 | 55.3 |
| 6. დეტროიტი | 46 | 25 | 21 | 54.3 |
| 7. ფილადელფია | 46 | 23 | 23 | 50.0 |
| 8. მილუოკი | 51 | 24 | 27 | 47.1 |
| 9. ნიუ იორკი | 47 | 21 | 26 | 44.7 |
| 10. ჩიკაგო | 48 | 21 | 27 | 43.8 |
| 11. ნიუ ჯერსი | 48 | 21 | 27 | 43.8 |
| 12. ინდიანა | 48 | 19 | 29 | 39.6 |
| 13. შარლოტი | 48 | 19 | 29 | 39.6 |
| 14. ტორონტო | 49 | 19 | 30 | 38.8 |
| 15. ვაშინგტონი | 48 | 10 | 38 | 20.8 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 47 | 38 | 9 | 80.9 |
| 2. სან ანტონიო | 47 | 33 | 14 | 70.2 |
| 3. დენვერი | 47 | 31 | 16 | 66.0 |
| 4. პორტლენდი | 47 | 30 | 17 | 63.8 |
| 5. ნიუ ორლეანი | 45 | 28 | 17 | 62.2 |
| 6. ჰიუსტონი | 48 | 29 | 19 | 60.4 |
| 7. დალასი | 47 | 28 | 19 | 59.6 |
| 8. ფინიქსი | 46 | 26 | 20 | 56.5 |
| 9. იუტა | 49 | 27 | 22 | 55.1 |
| 10. მინესოტა | 46 | 16 | 30 | 34.8 |
| 11. გ. სტეიტი | 49 | 15 | 34 | 30.6 |
| 12. მემფისი | 47 | 12 | 35 | 25.5 |
| 13. ოკლაჰომა | 48 | 11 | 37 | 22.9 |
| 14. საკრამენტო | 50 | 11 | 39 | 22.0 |
| 15. კლიპერსი | 48 | 10 | 38 | 20.8 |

| ქულები | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 27.9 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.4 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.9 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.5 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 25.0 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 23.2 |
| კრის ბოში (ტორ) | 22.8 |
| ბრენდონ როი (პორ) | 22.2 |

| მოხსნები | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.9 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 13.1 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.8 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.7 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.4 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.6 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.5 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.4 |
| კრის ბოში (ტორ) | 9.7 |
| იაო მინი (ჰიუ) | 9.5 |

| პასები | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.9 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 10.1 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.3 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 8.1 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 8.0 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 7.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.0 |

| ჩაჭრები | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.1 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 2.0 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.9 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 1.9 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |

| დაფარებები | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.0 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 2.5 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.0 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-სენტ ლუისი 4:3 (ბ)**

0:0, 3:2, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 მიოლტბი-5 (კოპეცკი-7, დრეიპერი-5), 1:1 ოში-6 (კოლაიაკოვო-13, ვოივიტკა-11), 2:1 მარიან ჰოსა-25 (დაციუკი-40, კრონვალი-25), 2:2 ბერგლუნდი-16 (ბოიესი-20, პერონი-26), 3:2 მარიან ჰოსა-26 (ლეინო-1, ლიდსტრიომი-26), 3:3 ჯეკმენი-3 (კოლაიაკოვო-14, ბოიესი-21).

ბულიტები გაიტანეს: ჰუდლერი (დეტროიტი), ბოესი (სტ. ლუისი), მარიან ჰოსა (დეტროიტი).

**კოლორადო-კალგარი 4:3**

1:1, 3:2, 0:0

გოლები: 0:1 რ. ბურკი-17 (ბერტუცი-21, ლენგკოუ-23), 1:1 სვატოსი-10 (არნასონი-12), 2:1 ჰეიდუკი-19 (სვატოსი-13, რ. სმიტი-23), 2:2 ა. ოკუანი-8 (კონროი-21), 3:2 სალეი-3 (ბ. კლარკი-9, რ. სმიტი-24), 3:3 იგინლა-20, 4:3 სვატოსი-11 (მაკლეოდი-4, არნასონი-13).

**ანაჰაიმი-ბაფალო 3:2**

0:1, 1:0, 2:1

გოლები: 0:1 კალეტა-3 (ვეი-10, გოსტადი-9), 1:1 პრონგერი-9 (მონტადორი-11, დ. მილერი-4), 2:1 კუნიტცი-14 (ებეტი-10, სელიანე-14), 3:1 პერი-17 (მონტადორი-12, სელიანე-15), 3:2 რივე-1 (გოსტადი-10, პაეტში-4).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნიუ ჯერსი დევილზის" ფორვარდი **ჯეიმი ლანგენბრუნერი** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა 3 მატჩში 6 გოლი გაიტანა, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. "დევილზმა" კი სამივე შეხვედრა მოიგო, გამარჯვებათა სერია 8 მატჩამდე აიყვანა და ატლანტიკის დივიზიონის ლიდერი გახდა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდ **სიდნი კროსბის** ერგო, რომელიც გასულ კვირას მოპოვებული ქულების რაოდენობით გახდა ლიდერი. მის ანგარიშზე 8 ქულა (3 გოლი+5 პასი) მოდის.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ვაშინგტონ კეპიტალზის" მცველი **მაიკ გრინი**. მან კვირა სამი გოლითა და ოთხი შედეგიანი პასით დაასრულა და ლიგის მცველებს შორის 40 ქულით საუკეთესო ბომბარდირია.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 51 | 37 | 8 | 6 | 80 |
| 2. ვაშინგტონი | 51 | 32 | 15 | 4 | 68 |
| 3. ნიუ ჯერსი | 50 | 32 | 15 | 3 | 67 |
| 4. მონრეალი | 50 | 28 | 16 | 6 | 62 |
| 5. რეინჯერსი | 51 | 29 | 18 | 4 | 62 |
| 6. ფილადელფია | 49 | 26 | 14 | 9 | 61 |
| 7. ბაფალო | 51 | 26 | 20 | 5 | 57 |
| 8. კაროლინა | 51 | 25 | 21 | 5 | 55 |
| 9. ფლორიდა | 49 | 23 | 18 | 8 | 54 |
| 10. პიტსბურგი | 51 | 24 | 22 | 5 | 53 |
| 11. ტორონტო | 50 | 19 | 23 | 8 | 46 |
| 12. ტამპა ბეი | 50 | 17 | 23 | 10 | 44 |
| 14. ოტავა | 48 | 17 | 24 | 7 | 41 |
| 13. ატლანტა | 51 | 17 | 29 | 5 | 39 |
| 15. აილენდერსი | 49 | 15 | 29 | 5 | 35 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 48 | 36 | 7 | 5 | 77 |
| 2. დეტროიტი | 50 | 32 | 11 | 7 | 71 |
| 3. კალგარი | 49 | 30 | 15 | 4 | 64 |
| 4. ჩიკაგო | 48 | 27 | 13 | 8 | 62 |
| 5. ანაჰაიმი | 53 | 26 | 22 | 5 | 57 |
| 6. დალასი | 48 | 23 | 18 | 7 | 53 |
| 7. მინესოტა | 49 | 25 | 21 | 3 | 53 |
| 8. ედმონტონი | 49 | 25 | 21 | 3 | 53 |
| 9. კოლამბუსი | 50 | 24 | 21 | 5 | 53 |
| 10. ფინიქსი | 51 | 24 | 22 | 5 | 53 |
| 11. ვანკუვერი | 50 | 22 | 20 | 8 | 52 |
| 12. კოლორადო | 51 | 24 | 26 | 1 | 49 |
| 13. ლოს ანჯელესი | 48 | 20 | 21 | 7 | 47 |
| 14. ნეშვილი | 49 | 22 | 24 | 3 | 47 |
| 15. სტ. ლუისი | 49 | 20 | 24 | 5 | 45 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 75 (21+54) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 68 (20+48) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 65 (36+29) |
| მარკ სავარი (ბოს) | 61 (20+41) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 61 (18+43) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 59 (19+40) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 58 (29+29) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 36 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 32 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 29 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 29 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 26 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 26 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 25 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 24 |
| ფილ კესელი (ბოს) | 24 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 54 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 48 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 44 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 43 |
| მარკ სავარი (ბოს) | 41 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 40 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 40 |

# ოტავამ მწვრთნელი შეიცვალა

"ოტავა სენატორზში" დიდი ცვლილებები იგეგმება. გუნდის ხელმძღვანელობამ უკვე დაითხოვა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან 49 წლის **კრეიგ ჰარტსბურგი**. მისი გათავისუფლების მიზეზი კლუბის არასახარბიელო შედეგები აღმოჩნდა. "ოტავა" აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლოდან მესამე ადგილზე იმყოფება და პლეი ოფის ზონას 14 ქულით არის დაშორებული. არადა, ეს გუნდი 2007 წელს სტენლის თასის ფინალში თამაშობდა.

ჰარტსბურგს უკვე მოუნახეს შემცვლელი - ეს არის 39 წლის **კორი კლოუსტონი**, ვინც აქამდე "ოტავას" ფარმ-კლუბში მუშაობდა. ეს რიგით მეოთხე სპეციალისტია, რომელიც "სენატორზში" ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში დანიშნეს.

*"მწვრთნელის შეცვლა იმის გამო გადავწყვიტეთ, რომ უახლოეს პერიოდში გავარკვიოთ - რომელი მოთამაშე უნდა დარჩეს კლუბში და რომელი ველარ დაეხმარება მას მომავალში"*, - განაცხადა "ოტავას" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან მიურეიმ**.

## დოპინგი



# რუსები დოპინგს მიექცნენ

ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირმა (IBU) რუსეთის ბიატლონის ფედერაციას შეტყობინება გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სამ რუს ბიატლონისტს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს. ეს ინფორმაცია ხუთმა წყარომ დაადასტურა.

დოპინგტესტები 2008 წლის 5 დეკემბერს, შვედეთის ქალაქ ესტერსუნდში მსოფლიოს თასის ეტაპის დროს ჩაატარეს. დოპინგზე გამოჭერილი სპორტსმენებიდან ორი რუსეთის ქალთა ნაკრების წევრია, მესამე - მამაკაცთა გუნდში შედის. მათ გვარებს ჯერ არ ასახელებენ, თუმცა ცნობილია, რომ ისინი ნაკრების ლიდერები არიან და 14-22 თებერვალს, კორეის ქალაქ პიონჩანგში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. თუ რუს ბიატლონისტებს დოპინგის მიღება დაუმტკიცდათ, IBU მსოფლიოს თასის ბოლო ექვსი ეტაპის შედეგებს გადახედავს.

მსოფლიოს თასის დაწყებიდან სწორედ ექვსი ეტაპია გასული. ქალებს შორის საერთო ჩათვლაში რუსი **ეკატერინა იურიევა** ლიდერობს, **სვეტლანა სლეპცოვა** და **ალბინა ახატოვა** კი შესაბამისად მეხუთე და მეექვსე ადგილებზე არიან. კაცებს შორის საუკეთესო რუსი ბიატლონისტი - **მაქსიმ ჩუდოვი** მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილზეა, **ივან ჩერეზოვი** - მეცხრეზე.

აკრძალული პრეპარატი, რომელიც რუსებს აღმოუჩინეს, საყოველთაოდ გავრცელებული ერითროპოეტინი გახლავთ. ჯერჯერობით უცნობია, როდის ჩატარდება B სინჯების ანალიზი.

ბოლო წლებში გახშირდა ზამთრის სპორტის სახეობებში რუსი სპორტსმენების დოპინგის მიღებაში მხილების ფაქტი. 2002 წელს, ორწლიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს ცნობილმა მოთხილამურეებმა - ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლარისა ლაზუტინამ** და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლგა დანილოვამ**. შეგახსენებთ, რომ სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე ლაზუტინას 30-კილომეტრიან დისტანციაზე მოპოვებული ოქროს მედალი ჩამოართვეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოთხილამურეები უკვე ასაკოვანები გახლდნენ, მათი დისკვალიფიკაცია კარიერის დასრულების ტოლფასი გამოდგა. რუსებმა გაასაჩივრეს სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება, მაგრამ თავიანთი სიმართლე ვერ დაამტკიცეს და როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიური სპორტი დატოვეს.

რუსები სკანდალს ვერც 2006 წელს, ტურინის ოლიმპიადაზე გადაურჩნენ. ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო ბიატლონისტთა ნაკრების ლიდერმა **ოლგა პილიოვამ**. მას ორგანიზმში ფენოტროპილის კვალი აღმოუჩინეს და 15-კილომეტრიან დისტანციაზე მოპოვებული ვერცხლის მედალი ჩამოართვეს.

ბუნებრივია, სკანდალს გამოეხმაურა IBU-ს პრეზიდენტი **ანდერს ბესბერგი**, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ სპორტსმენების სხეულში აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატი ერითროპოეტინის საკმაოდ იშვიათი ნაირსახეობა გახლავთ.

*"თუ B სინჯებიც დადებით შედეგს გვიჩვენებს, ეს ანტისადოპინგო სამსახურების დიდი გამარჯვება იქნება, რადგან საქმე ეხება პრეპარატს, რომლის აღმოჩენაც აქამდე ვერ ხერხდებოდა"*, - ამბობს პრეზიდენტი.

საქმის კურსშია რუსეთის სპორტის მინისტრი **ვიტალი მუტკო**. ის ამბობს, რომ იცის დოპინგში მხილებული სპორტსმენების გვარები, მაგრამ მათი დასახელებისგან თავს იკავებს. *"ეს რომ გავაკეთო, ყველას ნამდვილი შოკი ექნება"*, - განაცხადა მინისტრმა.

რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობა კი ადასტურებს, რომ დისკვალიფიკაცია სწორედ გუნდის ლიდერებს ემუქრებათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩი | |
|---|---|
| ჰიროშიმა-ჰაიდუკი | 0:8 |
| შტურმი-სტ. გალენი | 2:2 |
| სლოვანი-სტიაუა | 1:1 |
| ციურიხი-აუსტრია (ლ) | 1:3 |
| ლოზანა-ნიონი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბრისტოლი-ჩარლტონი | 2:1 |
| პრესტონი-პლიმუტი | 1:1 |
| უენსდი-ბარნსლი | გადაიდო |
| საუთჰემპტონი-შეფილდი | 1:2 |
| ვულვზი-ნორვიჩი | 3:3 |
| **I ლიგა** | |
| ჩელტენემი-ტრანმერი | გადაიდო |
| ქრიუ-იეოვილი | გადაიდო |
| ჰადერსფილდი-ჰარტლპული | 1:1 |
| ნორთჰემპტონი-სუინდონი | გადაიდო |
| საუთენდი-სკანთორფი | გადაიდო |
| სტოკპორტი-მილტონი | 0:1 |
| უოლსოლი-ლესტერი | 1:4 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერი-როჩდეილი | 0:2 |
| ექსეტერი-პორტ ვეილი | გადაიდო |
| მორეკამბი-ბრენტფორდი | 2:0 |
| როტერჰემი-ბერი | გადაიდო |
| შრიუსბერი-აკრინგტონი | 2:0 |
| უიკომბი-ბარნეტი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| ალტრინჩემი-ნორთვიჩი | 1:0 |
| ფორესტ გრინი-ჰილსტონი | 2:2 |
| ტორკი-უეიმაუთი | გადაიდო |
| **ინგლისის თასი** | |
| ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ვიტესი-ჰერენვეენი | 1:0 |
| ვილემი-ვოლენდამი | 1:2 |
| აიაქსი-ჰერაკლესი | 2:2 |
| **II ლიგა** | |
| ჰაარლემი-როსენდალი | 2:0 |
| ვეენდამი-ომნივორლდი | გადაიდო |
| **თურქეთის თასი** | |
| შივასი-გალათასარაი | 1:1, პენ. 3:1 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ლადა-მეტალურგი (მ) | 1:1 |

**კალათბურთი**

| ევროთასი | |
|---|---|
| [illegible]-ცრ. ზვეზდა | 62:74 |
| უნიქსი-ტურკ ტელეკომი | 72:57 |
| ხიმკი-დინამო (მ) | 69:77 |
| პანელინიოსი-მარუსი | 59:71 |
| ლეტუვოს რიტასი-ბილბაო | 73:71 |
| ზადარი-ბენეტონი | 76:84 |
| ერტლანდი-შარლერუა | 82:94 |
| ვალენსია-ჰემოფარმი | 65:60 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ცსკ ვვს-ამსტერდამი | 70:74 |
| ტრიუმფი-მონსი | 76:73 |
| აელ-ურალგრეიტი | 102:75 |
| კიევი-გალათასარაი | 95:62 |
| ლიეჟი-შოლე | 70:80 |
| ეიფელ ტაუერსი-ტელეკომი | 83:63 |
| ვირტუსი-ოლდენბურგი | 81:82 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-სტრასბური | 71:72 |

**ჩოგბურთი**

| ATP. იოჰანესბურგი | |
|---|---|
| გილი-კოლერერი | 6:4, 6:0 |
| ჩიპოლა-ჩუიდიელი | 5:7, 6:1, 4:6 |
| ანდერსონი-მინარი | 6:7, 4:6 |
| ვლიეგენი-ჰატჩინსი | 7:6, 6:4 |
| ისტომინი-ვენტურა | 4:6, 6:4, 7:6 |
| ფერერი-სელა | 6:2, 6:0 |
| შარდი-ვანეკი | 6:0, 6:4 |
| ცონგა-ალვეში | 6:4, 6:1 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ბოლელი-ტროიცკი | 3:6, 4:6 |
| სტახოვსკი-ჰრბატი | 6:2, 4:6, 6:1 |
| ანდრეევი-დოდიგი | 1:6, 4:6 |
| ჰერნიხი-მეკტიჩი | 6:3, 7:5 |
| მელცერი-კოროლიოვი | 4:6, 0:6 |
| ანჩიჩი-ლაკო | 6:4, 6:7, 7:5 |
| გულბისი-ტურსუნოვი | 4:6, 6:4, 6:4 |
| კარლოვიჩი-პეტშნერი | 6:3, 6:4 |
| სეპი-ზვერევი | 6:7, 6:3, 2:6 |
| **ATP. ვინია დელ მარი** | |
| მ. გონსალესი-პაშანსკი | 6:3, 6:2 |
| ჟანკუერა-დაბული | 2:6, 7:6, 1:6 |
| ლაპენტი-კუევასი | 3:6, 6:3, 5:7 |
| ფონინი-დეკოუდი | 3:6, 5:7 |

## TV პროგრამა

**4 თებერვალი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბარსელონა.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი.
21.40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:05 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
23:55 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. სევილია-ბილბაო (LIVE).
02:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
02:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:55 ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. რეალ პოტოსი (ბოლივია)-პალმეირასი (ბრაზილია) (LIVE).
06:55 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. სევილია-ბილბაო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. რომა-უნიკახა.
09:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი.
13:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ნუმანსია-რეალი.
15:25 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. პოლონეთი-დანია. ხორვატია.
17:15 ფეხბურთი.
17:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი.
19:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. ნიცა-ვანი (LIVE).
21:55 კალათბურთი.
22:05 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
22:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
23:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
23:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. უნიკახა-პანათინაიკოსი (LIVE).
01:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:40 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. პსჟ-ბორდო.
03:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:20 სპორტული სამყარო.
04:45 ფეხბურთი.
04:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. რეალ პოტოსი (ბოლივია)-პალმეირასი (ბრაზილია) (LIVE).
07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:30 ველოსპორტი. კატარის ტური. IV ეტაპი (LIVE).
16:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:45 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. II დღე.
18:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:05 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
21:15 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. 1997-98 წლების სეზონი. ლაციო-ინტერი.
22:15 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. 2000-01 წლების სეზონი. ლივერპული-ალავესი.
23:15 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
23:45 მულტისპორტი.
23:55 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:00 გოლფი. US PGA-ის ტური.
01:00 გოლფი. ევროპის ტური.
01:30 გოლფ-კლუბი.
01:35 მულტისპორტი.
01:45 აფროსნობა. World Match. მალაიზია.
02:15 აფროსნობა. Rolex Sydney Hobart. ავსტრალია.
02:45 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:55 მულტისპორტი.
03:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. III დღე.
04:15 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. II მატჩი. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ბილბაო (ესპანეთი).
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. II მატჩი. ხიმკი (რუსეთი)-დინამო (რუსეთი).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 სნოუბორდი. ავსტრია.
18:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
19:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. II მატჩი. ხიმკი (რუსეთი)-დინამო (რუსეთი).
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. II მატჩი. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ბილბაო (ესპანეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/8 ფინალი.
00:45 კრივი. ა. აბრაჰამი (გერმანია). სპეციალური გამოშვება.
01:00 სუპერკროსი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ლონდონი.
02:00 ახალი ამბები.

## უცხოური სპორტი

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სუპერლინდსი

რომორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში მსოფლიოს პირველობა ამერიკელი **ლინდსი ვონის** ტრიუმფით დაიწყო. გუშინ, ქალებმა მედლების პირველი კომპლექტი სუპერგიგანტში გაითამაშეს და ვონმა კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი.

ამერიკელს 21-ე სასტარტო ნომერი ჰქონდა. სანამ ის სტარტზე გავიდოდა, ლიდერობას მოულოდნელად ადგილობრივი მოთხილამურე **მარი მარშან-არვიე** ინარჩუნებდა. ვონი სუპერგიგანტის აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. სამი დღის წინ, გერმანიის გარმიშ-პარტენკირხენში მან ეს დისციპლინა მოიგო და აშკარად ჩანდა, რომ თავისი სპორტული ფორმის პიკზე სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გავიდა.

აქ ლინდსის მთავარ მეტოქედ ცნობილი შვედი მოთხილამურე, სუპერგიგანტში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ანია პერსონი** ითვლებოდა, მაგრამ სკანდინაველი ურთულეს ტრასას ვერ გაუმკლავდა და დისტანციის ერთ-ერთ მონაკვეთზე კარები გამოტოვა, რის გამოც დისკვალიფიკაცია მიიღო. პერსონის ბედი გაიზიარა ლეგენდარულმა ავსტრიელმა, მსოფლიოს თასის 46 ეტაპის მომგებმა **რენატე გიოტჩლმა**, აგრეთვე ვონის თანაგუნდელმა **ჯულია მანკუზომ**. ვერ ივარგა მსოფლიოს თასზე ვონის მთავარმა კონკურენტმა, გერმანელმა **მარია რიშმა** - მან მხოლოდ მერვე დრო აჩვენა.

ასე რომ, ამერიკელს კონკურენცია იმ მოთხილამურეებმა გაუწიეს, ვისგანაც საფრთხეს ყველაზე ნაკლებად ელოდა.




ერთ-ერთი მეტოქე [illegible]. ვონმა ფრანგ მარშან-არვიეს მხოლოდ 34 მეასედი წამი მოუგო. არადა, ეს სპორტსმენი აქამდე ბევრით არაფრით ყოფილა გამორჩეული. მსოფლიოს თასზე მისი საუკეთეო შედეგი მეორე ადგილი გახლავთ, ისე კი, ფრანგს პოდიუმებზე იშვიათად ვხედავთ ხოლმე.

ფინიშის შემდეგ, მარშან-არვიე ვერცხლის მედლის მიღების გამო სიხარულს ვერ მალავდა, კონკურენტსაც აქებდა, მაგრამ იქვე ხაზს უსვამდა იმას, რომ ტრასაზე დაშვებული მცირე შეცდომა რომ არა, შესაძლოა, ოქროსთვისაც გამოეკრა ხელი.

მესამე ადგილზე გასულმა **ანდრეა ფიშბახერმა** გამარჯვებულთან 4 მეათედი წამი წააგო. ამ ავსტრიელისგანაც არ ელოდნენ ასეთ შედეგს, ვინაიდან სერიოზულ ტურნირებში დიდი ხანია წარმატებისთვის არ მიუღწევია, გასულ კვირას, გარმიშ-პარტენკირხენში კი სუპერგიგანტი 22-ე ადგილზე დაასრულა.

როგორც გითხარით, ვონმა კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოზე ოქროს მედალი. მანამდე მისი საუკეთესო შედეგი ორი მეორე ადგილი იყო, რომელიც 2007 წელს, შვედეთის არეში გამართულ ჩემპიონატში მოიპოვა.

დღეს ასევე სუპერგიგანტში პირველობას მამაკაცები გაითამაშებენ.

**სუპერგიგანტი. ქალები**

| | |
|---|---|
| 1. ლინდსი ვონი (აშშ) | 1:20.73 |
| 2. მარი მარშან-არვიე (საფ) | 1:21.07 |
| 3. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) | 1:21.13 |
| 4. ანა ფენინგერი (ავსტრია) | 1:22.01 |
| 5. ტინა მაზე (სლოვენ) | 1:22.06 |
| 6. ელიზაბეტ გოერგლი (ავსტრია) | 1:22.27 |

ცურვა

# ფელპსს შერიფი დაემუქრა



**მაიკლ ფელპსისა** და მის მიერ მარიხუანის მოწევის სკანდალური ისტორია გუშინდელ ნომერში მოგიყევით და ისიც გითხარით, რომ სპორტსმენის აღიარების მიუხედავად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო ამერიკელი მოცურავის დასჯას არ აპირებს.

მაგრამ 14-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს სხვა მხრიდან ექმნება პრობლემები. რიჩლენდის (სამხრეთ კაროლინის შტატი) ოლქის შერიფი **ლეონ ლოტი** იმუქრება, რომ ფელპსს მარიხუანის მოწევისთვის პასუხისგებაში მისცემს.

როგორც იცით, ბრიტანულ ტაბლოიდ News of the World-ში გამოქვეყნებული ფოტო სამხრეთ კაროლინის შტატის უნივერსიტეტშია გადაღებული, რომელიც რიჩლენდის საგრაფოს დედაქალაქ კოლუმბიაში მდებარეობს.

ლოტის თქმით, ფელპსის საქმე არაფრით განსხვავდება სხვა მსგავსი საქმეებისგან. შერიფი თვლის, რომ ამ შემთხვევაში სპორტსმენის ბრალეულობის დამტკიცება პრობლემა არ იქნება, რადგან არსებობს ფოტო, რომელზეც ფელპსი მარიხუანას ეწევა, რასაც მოცურავის აღიარებაც ემატება.

ადგილობრივი კანონების თანახმად, ფელპსს 30-დღიანი პატიმრობა ან 570 დოლარის ოდენობის ჯარიმა ელის.

ჩოგბურთი

# მსახიობი კუერტენი




საფრანგეთის ღია პირველობის სამგზის ჩემპიონი **გუსტავო კუერტენი** თეატრალურ კოლეჯში სწავლას იწყებს.

ბრაზილიელმა ჩოგბურთელმა კარიერა გასულ სეზონში დაასრულა და ბრაზილიის სამხრეთით, მშობლიურ ქალაქ ფლორიანოპოლისში თეატრალურ კოლეჯში შეიტანა საბუთები.

ამ დღეებში, კუერტენმა მისაღები გამოცდების შედეგები შეიტყო. გუგამ საკმარისი რაოდენობის ქულები მიიღო და 16 თებერვლიდან სწავლას შეუდგება.

# რაისის ახალი გეგმები

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი **სტეფანი რაისი** წელს ახალ დისტანციებზე აპირებს ძალების მოსინჯვას.




ავსტრალიის ჩემპიონატზე, რომელიც მარტში სიდნეიში გაიმართება, რაისი 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილითა და ბატერფლაით ცურვაში გამოვა, ამას დაემატება 100 მეტრი გულაღმა ცურვა და სამი ესტაფეტა. გარდა ამისა, სტეფანი იმ დისციპლინებშიც იასპარეზებს, რომლებშიც პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოიპოვა - 200 და 400 მეტრი კომპლექსური ცურვა (რაისმა პეკინში კიდევ ერთი ოქრო 4x200 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა, ამასთან, სამივე შემთხვევაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა).

თუმცა რაისის მწვრთნელი **მაიკლ ბოლი** არ გამორიცხავს ისეთ ვარიანტს, რომ მისმა შეგირდმა ძალების ეკონომიის მიზნით რომელიმე დისციპლინა გამოტოვოს. *"სტეფანი აუცილებლად იასპარეზებს თავის საყვარელ კომპლექსურ დისტანციებზე, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვასა და 100 მეტრზე ბატერფლაიში. დანარჩენი სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, რომ მან რაც შეიძლება მეტ ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. ეს მისთვის იქნება სასარგებლო"*, - ამბობს ბოლი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




გამოვიდა ახალი ნომერი